




ევროკავშირი საქართველოსთვის



კერძო სექტორის როლის/შესაძლებლობების
შეფასება ეროვნულ დონეზე განსაზღვრულ
წვლილში (NDC), კლიმატის ცვლილების
სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში (CSAP),
ასევე დაბალემისიანი განვითარების
გრძელვადიანი სტრატეგიის (LT-LED) პროექტში

საერთაშორისო კონსულტანტი,
ფორტუნატო კოსტანტინო





ევროკავშირი საქართველოსთვის



აბსტრაქტი

წინამდებარე ანგარიში „ევროკავშირი კლიმატისთვის“ (EU4Climate) პროექტის ფარგლებშია მომზადებული, რომელიც ამჟამად საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სხვა ადგილობრივ პარტნიორებს უწევს მხარდაჭერას კლიმატთან დაკავშირებული სხვადასხვა სტრატეგიის და პოლიტიკის შემუშავებაში, ასევე განიხილავს ზეგავლენას ან/და შესაძლებლობებს კერძო სექტორის მიმართ „ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის“ (NDC) განხორციელების პროცესში. დავალების საერთო ამოცანაა შეაფასოს NDC, CSAP და Lt-LEDS-ის პროექტი, რათა დადგინდეს, რა როლი ან/და შესაძლებლობები არსებობს კერძო სექტორისთვის NDC-ს, CSAP-ის და Lt-LEDS-ის პროექტში და გამოვლინდეს ქმედებები, რომლებიც კერძო სექტორთან თანამშრომლობას მოიცავს.

კონსულტანტმა ასევე მთელი რიგი რეკომენდაციები შეიმუშავა, რათა გამოვლენილიყო შესაძლებლობები კერძო სექტორისთვის, NDC-ის სამიზნის მიღწევაში წვლილის შესატანად.

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ავტორი და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის და გაეროს განვითარების პროგრამის შეხედულებებს.

10 იანვარი, 2023 წ.

შინაარსი

ნაწილი 1. NDC-ის, CSAP-ის, LT-LEDS-ის კონტექსტი და ზოგადი ინფორმაცია	5
1. შესავალი	5
2. ეკონომიკური ზრდა და კერძო სექტორის ჩართულობა	8
3. ინსტიტუციური მოწყობა	18
4. ზოგადი ინფორმაცია საქართველოს ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის (NDC) შესახებ	21
ნაწილი 2. ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის (NDC) შეფასება კერძო სექტორის პერსპექტივიდან	21
5. სხვადასხვა ქვეყნის ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილების ზოგადი ანალიზი მსოფლიოში	23
6. როგორ უნდა გააძლიეროს ქართულმა კერძო სექტორმა კლიმატის ქმედება? საქართველოს NDC-ის შეფასებიდან მიღებული ძირითადი შედეგები და დაკავშირებული პოლიტიკები/გეგმები	25
7. მიგნებები და დასკვნები	32
8. ზოგადი ინფორმაცია „კლიმატის ცვლილების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის“ (CSAP) შესახებ საქართველოში	35
ნაწილი 3. CSAP-ის შეფასება კერძო სექტორის პერსპექტივიდან	35
9. განხორციელების სტატუსის ანალიზი კერძო სექტორის პერსპექტივიდან – ენერჯის გენერაცია და გადაცემა	38
10. განხორციელების სტატუსის ანალიზი კერძო სექტორის პერსპექტივიდან – ტრანსპორტი	58
11. განხორციელების სტატუსის ანალიზი კერძო სექტორის პერსპექტივიდან – შენობები	73
12. განხორციელების სტატუსის ანალიზი კერძო სექტორის პერსპექტივიდან – მრეწველობა	82
13. განხორციელების სტატუსის ანალიზი კერძო სექტორის პერსპექტივიდან – ნარჩენები	87
14. განხორციელების სტატუსის ანალიზი კერძო სექტორის პერსპექტივიდან – სოფლის მეურნეობა და სატყეო მეურნეობა	92
ნაწილი 4. LT-LEDS პროექტის შეფასება კერძო სექტორის პერსპექტივიდან	104
15. შესაძლებლობები და ვარიანტები NDC-ის და გრძელვადიანი სტრატეგიების უფრო მეტად შესაბამისობის უზრუნველსაყოფად	104
ბიბლიოგრაფია	111

აკრონიმები და აბრევიატურები

AA	Association Agreement ასოციაციის შესახებ შეთანხმება
ATQ	Assessment of Transition Qualities ტრანზიციის მახასიათებლების შეფასება
BEEPS	Business Environment and Enterprise Performance Survey ბიზნეს გარემოსა და საწარმოთა მუშაობის კვლევა
CAGR	Compound annual growth rate რთული წლიური ზრდის ტემპი
CGS	Credit guarantee scheme საკრედიტო გარანტიის სქემა
CIS	Commonwealth of Independent States დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა
DCFTA	Deep and Comprehensive Free Trade Area ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შეთანხმება
EBRD	European Bank for Reconstruction and Development ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი
EEC	Eastern Europe and the Caucasus აღმოსავლეთი ევროპა და კავკასია
EIB	European Investment Bank ევროპის საინვესტიციო ბანკი
ESCO	Electricity system commercial operator ელექტროენერჯის სისტემის კომერციული ოპერატორი
EU	European Union ევროკავშირი
EUR	Euro ევრო
EPG	Economics, Policy and Governance (EBRD) ეკონომიკა, პოლიტიკა და მმართველობა (EBRD)
FDI	Foreign direct investment პირდაპირი უცხოური ინვესტიცია
FX	Foreign exchange ფორექსის საერთაშორისო ბირჟა
GCI	Global Competitiveness Index გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი
GCR	Global Competitiveness Report გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიში
GDP	Gross domestic product მთლიანი შიდა პროდუქტი
GEL	Georgian lari ქართული ლარი
GHG	Greenhouse gas სათბურის აირი
GII	Global Innovation Index გლობალური ინოვაციების ინდექსი
GNERC	Georgian National Energy and Water Supply Regulatory Commission საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია
GSE	Georgian Stock Exchange საქართველოს საფონდო ბირჟა
GSP	Generalised Scheme of Preferences პრეფერენციების განზოგადებული სისტემა
GVA	Gross value added მთლიანი დამატებული ღირებულება
GVC	Global value chain გლობალური ღირებულების ჯაჭვი
HPP	Hydroelectric power plant ჰიდროელექტროსადგური
IFI	International financial institution საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტი
IMF	International Monetary Fund საერთაშორისო სავალუტო ფონდი
LITS	Life in Transition Survey გარდამავალ პერიოდში ცხოვრების კვლევა
LLC	Limited liability company შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო
LPI	Logistics Performance Index ლოჯისტიკის ეფექტურობის ინდექსი
LSE	London Stock Exchange ლონდონის საფონდო ბირჟა

MFN	Most favoured nation უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი
MSME	Micro-, small and medium-sized enterprise მიკრო, მცირე და საშუალო საწარმო
NBG	National Bank of Georgia საქართველოს ეროვნული ბანკი
NEAP-3	Third National Environmental Action Programme of Georgia გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული გეგმა
NEET	Not in education, employment, or training განათლებისა და სამუშაო ძალის მიღმა მყოფი ახალგაზრდები
NDC	Nationally Determined Contribution ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილი
NPL	Non-performing loan უმოქმედო სესხი
NRI	Network Readiness Index ქსელური მზადყოფნის ინდექსი
OECD	Organisation for Economic Co-operation and Development ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია
PIACC	Programme for the International Assessment of Adult Competencies ზრდასრულთა კომპეტენციების შეფასების საერთაშორისო პროგრამა
PISA	Programme for International Student Assessment მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამა
PPP	Purchasing power parity მსყიდველობითი უნარის პარიტეტი
SIGMA	Support for Improvement in Governance and Management მმართველობისა და მენეჯმენტის გაუმჯობესების ხელშეწყობა
SME	Small and medium-sized enterprise მცირე და საშუალო საწარმო
SOE	State-owned enterprise სახელმწიფო საწარმო
SSO	Sectoral skills organisation დარგობრივი უნარების ორგანიზაცია
TANAP	Trans-Anatolian Gas Pipeline ტრანსანატოლიური გაზსადენი
TAP	Trans-Adriatic Pipeline ტრანსადრიატიკული მილსადენი
TFC	Total final consumption ჯამური საბოლოო მოხმარება
TIMSS	Trends in international mathematics and science მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლისა და სწავლების საერთაშორისო კვლევა
TIBR	Tbilisi Inter-Bank Rate თბილისის ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთი
TPES	Total primary energy supply მთლიანი პირველადი ენერჯის მიწოდება
TPP	Thermal power plant თბოელექტროსადგური
TVET	Technical and vocational education and training ტექნიკური და პროფესიული განათლება და ტრენინგი
UN	United Nations გაერთიანებული ერების ორგანიზაცია
UNCTAD	United Nations Conference on Trade and Development გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენცია
US	United States of America ამერიკის შეერთებული შტატები
WEF	World Economic Forum მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი
WGI	Worldwide Governance Indicators მსოფლიო მმართველობის ინდიკატორები
WJP	World Justice Project მართლმსაჯულების მსოფლიო პროექტის
WPP	Wind power plant ქარის ელექტროსადგური

ნაწილი 1

NDC-ის, CSAP-ის, LT-LEDS-ის კონტექსტი და ზოგადი ინფორმაცია

1. შესავალი

2021 წლის აპრილში, საქართველოს მთავრობამ განახლებული „ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილი“ (NDC) და 2030 წლის კლიმატის სტრატეგია და 2021-2023 წწ სამოქმედო გეგმა (CSAP) დაამტკიცა, როგორც NDC-ის განხორციელების ინსტრუმენტი.

განახლებულ NDC-ში, შერბილების თვალსაზრისით, გაზრდილია მისი უპირობო (35%) და პირობითი (50-57%) სამიზნეები სათბურის აირების ემისიების შემცირების მიმართ 2030 წლისთვის, 1990 წელთან შედარებით; ხოლო ადაპტაციის თვალსაზრისით, მასში აღებულია თავისი ადაპტაციური შესაძლებლობების გაუმჯობესების ვალდებულება კლიმატის ცვლილების მიმართ, შიდა და საერთაშორისო რესურსების მობილიზებით იმ სექტორებისთვის, რომლებიც კლიმატის ცვლილების მიმართ განსაკუთრებით მოწყვლადია.

გარდა ამისა, NDC შერბილების დარგობრივ სამიზნეებს, ასევე, გენდერსა და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ დებულებებს შეიცავს, რათა გაძლიერდეს ქალების როგორც ცვლილების აგენტების როლი გადაწყვეტილების მიღების პროცესებში მათი მონაწილეობის გზით. ის ასევე გეგმავს ნაახალისოს გენდერული ანალიზი, შესაძლებლობების განვითარება და ცოდნის გაზიარება კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული პროექტების ფარგლებში.

სათბურის აირების ინვენტარიზაციით (1990-2015 წწ.), მთელი რიგი ღონისძიებები გამოვლინდა ყველა სექტორისთვის, თითოეულ მათგანში შერბილებისთვის დადგენილი და მისაღწევი სამიზნის შეფასებისთვის. საწყისი დონე და პოლიტიკის სცენარი ეკონომიკის შვიდი დარგისთვის გამოითვალა – ტრანსპორტი, შენობები, ენერჯის გენერაცია და გადაცემა, სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, ნარჩენები და სატყეო მეურნეობა.

განახლებულ NDC-ში მითითებული შერბილების დარგობრივი მიზნები კლიმატის სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში მოცემულ დაშვებებსა და მეთოდოლოგიებს ეფუძნება.

CSAP შვიდ დარგს მოიცავს. ესენია: ენერჯის გენერაცია და გადაცემა, ტრანსპორტი, შენობები, მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ნარჩენების მართვა და სატყეო მეურნეობა. სამოქმედო გეგმა ასევე მოიცავს დარგისთვის დამახასიათებელ სპეციფიკურ მიზნებს, ამოცანებს და შემარბილებელ ზომებს, რომლებიც 2021-2023 წწ პერიოდს ეხება. გათვალისწინებულია CSAP-ის გადასინჯვა ყოველ სამ წელიწადში ერთხელ. შემდეგი ვერსია 2023 წელს მომზადდება 2024-2026 პერიოდისთვის.

ადაპტაციის მიმართ საქართველოს მიერ დასახული ამოცანა ადასტურებს ვალდებულებას, რომ გაგრძელდება ადაპტაციის შესაძლებლობების შესწავლა სხვადასხვა ეკონომიკური დარგისთვის, ასევე ადაპტაციის შესაბამისი ღონისძიებები დაიგეგმება და განხორციელდება შიდა და საერთაშორისო რესურსების მობილიზებით იმ დარგებისთვის, რომლებიც განსაკუთრებით დაუცველია კლიმატის ცვლილების მიმართ. NDC ადაპტაციის რამდენიმე ღონისძიებას მოიცავს, რომლებიც „ადაპტაციის ეროვნული გეგმის“ ნაწილის სახით უნდა იქნას მიღებული, ზემოთ აღნიშნული სამიზნის შესასრულებლად. აღნიშნული ღონისძიებები ძირითადად შეფასებებს ეხება ადაპტაციური შესაძლებლობების განვითარების მიზნით სხვადასხვა დარგისთვის, როგორცაა, მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო წარმოება, ზღვისპირა და მთიანი ეკოსისტემები, ადამიანის ჯანმრთელობა და ა.შ.

NDC-ში ასევე გათვალისწინებულია გენდერი და კლიმატის ცვლილება, კეთდება რა მიმართება გენდერული თანასწორობის შესახებ კანონთან და მოწოდებულია ინფორმაცია იმ გზების და საშუალებების შესახებ, თუ როგორ უნდა გაიზარდოს ქალების ჩართულობა კიდევ უფრო მეტად.

NDC-ის და CSAP-ის შემუშავების პროცესებში თავიდანვე იყო გათვალისწინებული მონაწილეობითი მიდგომა. ორივე დოკუმენტზე მუშაობა ოფიციალურად 2018 წლის 18 სექტემბერს „საქართველოს კლიმატის ცვლილების პირველ კონფერენციაზე“ დაიწყო. შემუშავების პროცესში სხვადასხვა კუთხით იყვნენ ჩართულები საჯარო დაწესებულებების, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, კერძო კომპანიებისა და აკადემიური წრეების წარმომადგენლები.

2020 წლის იანვარში საქართველოს მთავრობამ მაღალი დონის საკოორდინაციო მექანიზმი, „**კლიმატის ცვლილების საბჭო**“ დააარსა, რომელიც საქართველოს კლიმატის ცვლილების პოლიტიკის და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული საერთაშორისო ვალდებულებების ეფექტურად განხორციელებას უწევს კოორდინაციას. საბჭოში ათი მუდმივი წევრით არის დაკომპლექტებული საქართველოს წამყვანი სამინისტროებიდან. გარდა ამისა, საბჭოში რეგიონები და მუნიციპალიტეტებიც არის წარმოდგენილი, აჭარის და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობის მეთაურებისა და მერების შეთანხმების ხელმომწერი მუნიციპალიტეტების საკოორდინაციო ჯგუფის თავმჯდომარის მეშვეობით.

საქართველომ ფართომასშტაბიანი რეფორმები გაატარა, რაც თავისი ევროპული მისწრაფებებიდან და, ბოლო პერიოდში, ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების

შესახებ შეთანხმების განხორციელების ვალდებულებიდან გამომდინარეობს. მიუხედავად იმისა, რომ ეს რეფორმები ბოლო წლებში მნიშვნელოვნად შენედა, მათ გარდაქმნეს საქართველოს სახელმწიფო და ეკონომიკა, მისი პოტენციური ზრდის ტემპი აამალღეს და ცხოვრების დონე გააუმჯობესეს. მაშინ, როცა ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება ევროკავშირის მაჩვენებელს, ძლიერი კერძო სექტორის მიერ წარმართული ეკონომიკური გაფართოება გადამწყვეტ მნიშვნელობას ინარჩუნებს იმისთვის, რომ ქვეყნის ეკონომიკა ევროპელი მეზობლების ეკონომიკას გვერდით დაუდგეს.

ევროკავშირის ქვეყნებთან ეკონომიკური დაახლოების მიზნით, საქართველომ **კერძო სექტორთან დაკავშირებული შემდეგი შეზღუდვები უნდა განიხილოს:**

- ▶ საქართველოს საჯარო სექტორის მართვის ჩარჩოს ტრანსფორმაცია და გამოყენება ჯერ კიდევ არასრულად ხდება, რაც ხაზს უსვამს საჭიროებას, რომ **მმართველობის სტანდარტების საკითხებს** რეფორმის დღის წესრიგში **მნიშვნელოვანი ადგილი უნდა ეჭიროს.**
- ▶ **პოლიტიკური მერყეობა** გავლენას ახდენს უშუალოდ საინვესტიციო გადაწყვეტილებებზე, ისევე როგორც ქვეყნის გრძელვადიან რეფორმის პროგრესზე.
- ▶ სახელმწიფო ადმინისტრაციის, სახელმწიფო შესყიდვების და კორპორაციული მართვის სტანდარტების სუსტი მხარეები შეიძლება გაუმჯობესდეს **შემდგომი ციფრული გადაწყვეტების დანერგვით.**
- ▶ **მუშახელის უნარები** ერთ-ერთი ყველაზე მწვავე დაბრკოლებაა კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობისთვის, რაც ქვეყანაში უფრო ძლიერ ტექნიკურ და პროფესიულ განათლებასა და ტრენინგს (TVET) და ციფრული უნარების განვითარებას მოითხოვს.
- ▶ საქართველოს პროდუქტიულობა კიდევ უფრო გაიზრდება **მუდმივ ჩართულობასთან დაკავშირებული ისეთი საკითხების გადაწყვეტით**, როგორცაა გენდერული უთანასწორობა და ტერიტორიული დისბალანსი.
- ▶ უცხოურმა ინვესტიციებმა შეიძლება ხელი შეუწყოს უცხოურ ბაზრებზე შეღწევას, თუ „გრინფილდ“ ინვესტიციების **კლებადი ტენდენცია საპირისპირო მიმართულებით შეიცვლება.**
- ▶ **ფინანსებზე უკეთესი წვდომა** ქართული კომპანიების, განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო საწარმოების (SMEs) მდგრადობას და კონკურენტუნარიანობას გააუმჯობესებს. საბანკო სექტორი კარგად იმართება და რეგულირდება, კომფორტულად კაპიტალიზებულია, თანმიმდევრულად მომგებიანია და შედარებით ეფექტურია რეალური ეკონომიკის სექტორისთვის საკრედიტო არხების უზრუნველყოფის მხრივ.
- ▶ საქართველოს ენერგეტიკული სექტორი ეკონომიკაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ბოლოდროინდელი რეფორმები ევროკავშირის რეგულაციებთან დაახლოებაზე, მათ შორის, **ელექტროენერჯის ბაზრის მიმდინარე ლიბერალიზაციაზე** იყო ფოკუსირებული.
- ▶ **განახლებადი ენერჯის**, განსაკუთრებით კი არაპირობული ტექნოლოგიების **მარეგულირებელი ჩარჩოს დაზუსტება** ხელს შეუწყობს ინვესტიციების გააქტიურებას. საქართველო საუკეთესო მდგომარეობაშია იმისათვის, რომ დეკარბონიზაციით შემოთავაზებული გრძელვადიანი ბიზნეს შესაძლებლობებით ისარგებლოს.

დღეის მდგომარეობით, სულ უფრო და უფრო მეტი კერძო კომპანია დებს პირობას, რომ წვლილს შეიტანს კლიმატის ცვლილების შეჩერებაში საკუთარი სათბური გაზების ემისიების (GHG) შემცირებით.

აღნიშნული გამოწვევა ძირითადად ორი ტიპის საწარმოებისთვის არსებობს:

- ▶ **ორგანიზაციები, რომლებიც მიზნად ისახავს წმინდა ნულოვანი ემისიების მიღწევას**, რაც გულისხმობს ჰაერიდან იმდენი სათბურის აირის ამოღებას, რამდენსაც გამოყოფენ.
- ▶ **ორგანიზაციები, რომლებიც ნახშირბადის კრედიტებს გამოიყენებენ ისეთი ემისიების კომპენსირებისთვის**, რომელთა თავიდან აცილება სხვა საშუალებებით შეუძლებელია.

2. ეკონომიკური ზრდა და კერძო სექტორის ჩართულობა

საქართველოს სტაბილურად სოლიდური ეკონომიკური ზრდა სჭირდება, რათა ევროპულ ქვეყნებს დაენიოს და რეალური შემოსავლები გაზარდოს.

კოვიდ-19-ის პანდემიამ დაახლოების პროცესი დროებით შეაჩერა. გასული 15 წლის განმავლობაში, ბიზნესგარემოს რეფორმირებისთვის განეული ენერგიული ძალისხმევის შედეგად, საქართველოს ეკონომიკის პოტენციური ზრდის ტემპი დაჩქარდა.

თუმცა, ეკონომიკის უფრო მეტად ღიაობა მას უფრო მგრძობიარეს ხდის არახელსაყრელი გარე შოკების მიმართ, როგორცაა გლობალური ფინანსური კრიზისი 2008 წელს და კოვიდ-19-ის პანდემია 2020 წელს. მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკის გახსნილობა საქართველოს ასევე უკეთეს მდგომარეობაში აყენებს, რომ აღდგენაზე მიმართული შესაძლებლობებით ისარგებლოს გლობალური მოთხოვნის პირობებში, ეკონომიკის მაღალი დამოკიდებულება ტურიზმზე მისი აღდგენის სიჩქარეს კიდევ უფრო მეტ გაურკვევლობას მატებს.

უფრო ძლიერი ეკონომიკური ზრდა არის საჭირო კეთილდღეობის მხრივ არსებული განსხვავებების შესამცირებლად და რეგიონული დისბალანსის გამოსასწორებლად.

საქართველო პატარა და სწრაფად მზარდი ეკონომიკაა, რომელსაც გარდამავალი პერიოდის დასაწყისში განვითარების ძალიან დაბალი დონე ხელს უშლიდა. იმის მიუხედავად, რომ მას შემდეგ ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი სამჯერ გაიზარდა, ქვეყანაში ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი, რათა უფრო განვითარებულ ეკონომიკებს დაენიოს, როგორცაა ევროკავშირის წევრი ქვეყნები.


საქართველოს ეკონომიკა და ზრდის მოდელი შედარებით დივერსიფიცირებული და მომსახურებაზე ორიენტირებულია.

საქართველო რუსეთთან მჭიდროდ დაკავშირებული დარჩა როგორც ეკონომიკურად, ასევე პოლიტიკურად, 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, თუმცა, უფრო **ლიბერალურ კურსზე გადავიდა** 2003 წლის ნოემბრის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ.

გადასახადების და რეგულაციების შემცირება და ახალი სავაჭრო კავშირები თურქეთსა და ევროკავშირთან შიდა ინვესტიციების გასაძლიერებლად გამოიყენებოდა, განსაკუთრებით **ტრანსპორტის, კომუნიკაციების, ფინანსების, ტურიზმის და ენერჯეტიკის დარგებში** (მათ შორის, ჰიდროენერჯეტიკაში), რუსულ ნავთობსა და გაზზე დამოკიდებულების შესამცირებლად.

მომსახურება მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 70%-ს შეადგენს, სადაც ტურიზმი სწრაფად იზრდება და დარგის მხრიდან მშპ-ში შეტანილ წვლილი 23.5%-ს უტოლდება 2015 წელს.

სოფლის მეურნეობა რეფორმის შედეგად განვითარდა. მეტყევეობა და მეთევზეობა კი მთლიანი შიდა პროდუქტის ჯერ კიდევ დაახლოებით 8%-ს შეადგენს.



სოფლის მეურნეობის დომინანტური როლი დასაქმებაში და მოკრძალებული წვლილი მთლიან დამატებულ ღირებულებაში (GVA) საარსებო მეურნეობაზე მაღალ დამოკიდებულებასა და სამუშაო შესაძლებლობების ნაკლებობაზე მიუთითებს.

მრეწველობა ტრადიციულად კონცენტრირებული იყო თბილისის, რუსთავის და ქუთაისის რეგიონებში. კონფლიქტის შედეგად დაზარალებული აფხაზეთი კვლავ არ კარგავს მნიშვნელობას ინდუსტრიული თვალსაზრისით. იქ მდებარე ენგურის კაშხალი და გენერაციის კომპლექსი ელექტროენერჯის მთავარ შიდა წყაროს წარმოადგენს.

თურქეთი ახლა უკვე რუსეთზე მეტად არის წამყვანი შიდა ინვესტორი და იმპორტის წყარო, ხოლო რუსეთი და აზერბაიჯანი კვლავ ყველაზე მეტ ექსპორტს იღებენ.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (BTC) ნავთობსადენმა, რომელიც აზერბაიჯანის მთავარ ნავთობტერმინალს თურქეთის ხმელთაშუა ზღვის რეგიონში მდებარე ნავთობგადამამუშავებელ საწარმოებთან აკავშირებს, 2006 წლიდან გაზარდა ენერგეტიკული უსაფრთხოება და მნიშვნელოვანი სატრანზიტო გადასახადები წარმოშვა, ხოლო აზერბაიჯანული გაზის მიწოდება ბაქო-თბილისი-ერზერუმის (BTE) გაზსადენით ხდება. ენერჯის ექსპორტზე შემობრუნება ცენტრალური მნიშვნელობისაა ამჟამინდელი დეფიციტის შესამცირებლად.

ევროკავშირი საქართველოდან ასევე იღებს ექსპორტის დაახლოებით 30%-ს ასოცირების შესახებ შეთანხმების გაფორმების შემდეგ, რაშიც შედის „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შესახებ შეთანხმება“ (DCFTA), რომელსაც ხელი 2014 წელს მოეწერა.

წარმოების მხრივ, ზრდა საკმაოდ დივერსიფიცირებულია, თუმცა მრეწველობის მნიშვნელობა იკლებს, ხოლო იზრდება სერვისების წვლილი, მათ შორის შიდა ვაჭრობა.

საგარეო დაფინანსებაზე დამოკიდებულება არასასურველი შოკების მიმართ საქართველოს მდგრადობას ამცირებს

საქართველოში, ინვესტიციების და მშპ-ს კოეფიციენტი ერთ-ერთი ყველაზე მაღალია განვითარებად ეკონომიკებს შორის და ინვესტიციების უმეტესობა კერძო სექტორზე მოდის.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) შემოდინება, როგორც მშპ-ის წილი, მაღალი რჩება (მშპ-ს 6-12%) ბოლო 12 წლის უმეტესი პერიოდის განმავლობაში, რაც ადასტურებს, რომ **ბიზნეს გარემო კეთილგანწყობილია ინვესტიციებისთვის.**

მას შემდეგ, რაც საქართველომ კორპორაციული გადასახადის ესტონური მოდელი და-ნერგა 2017 წელს, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემადგენლობა გარკვეულწილად ახალი კაპიტალის ინვესტიციებიდან მოგებიდან მიღებული შემოსავლების რეინვესტი-ციაზე გადავიდა.


პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება საკმაოდ დივერსიფიცირებულია, მათი უმეტესობა უფრო მაღალი დამატებული ღირებულების სექტორებზე მიემართება, როგორცაა **ტრანსპორტი, კომუნიკაციები, ფინანსები, ენერჯეტიკა, წარმოება, მშენებ-ლობა და უძრავი ქონება.**

მიუხედავად იმისა, რომ **პირველი კვარტალში მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა წლი-დან წლამდე 14.4%-ით შეფასდა**, 2022 წლის პერსპექტივები გაუარესდა რუსეთსა და უკ-რაინას შორის დაწყებული ომის (და ამით გამოწვეული რეცესიების) გამო.

საქართველოში **ინფლაცია 2021 წელს თითქმის 10%-მდე გაიზარდა** პანდემიის დროს ვაჭრობის შეფერხებისა და დეფიციტის ხარჯვის ფონზე. ეს მაჩვენებელი წელს შეიძლე-ბა 11%-ს ასცდეს სურსათისა და საწვავის ფასების ზრდის გამო.

მშპ-ს ზრდის მაჩვენებელი 3%-მდე მცირდება, რაც გასული წლის მოულოდნელად ძლი-ერ ზრდას, ამავდროულად კი მკვეთრ ფისკალურ შემჭიდროებას, ექსპორტის ზრდის და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დაცემას ასახავს.

პროგნოზის მიხედვით, მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება 2023-25 წლებში, ინფლაცია სტაბილურად დაიკლებს და მშპ-ის ზრდა 6%-მდე აღდგება მომავალ წელს, ხოლო 2024 წელს დაახლოებით 5%-მდე შენარჩუნდება. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი მთელი პერიოდის განმავლობაში უფრო დიდია, ვიდრე ადრე იყო პროგნოზირებული, ხოლო ლარის გაცვლითი კურსი შესაბამისად უფრო სუსტია, თუმცა მაინც ნელ-ნელა გამყარდება აშშ დოლარის მიმართ 2023 წლიდან, როცა ინფლაცია და-იკლებს.




ყოველთვის მოსალოდნელი იყო, რომ მშპ-ს ზრდა შემცირდებოდა 2021 წლის მატების შემდეგ, პანდემიის გამო შემოღებული შეზღუდვების მოხსნის გამო, მაგრამ მისი დაღმა-ვალი ტრაექტორია გაუარესდა, როცა რუსეთი უფრო აგრესიულ საგარეო პოლიტიკას და-უბრუნდა. ზრდის ტემპის აჩქარება შესაძლებელია 2023 წელს, თუ კონფლიქტი ჩაცხრება

და, შენელებულ პირობებში საშუალოვადიანი ზრდის ტემპი 2023-24 წლებში 4%-იან ნიშნულის ზემოთ შენარჩუნდება.

გასული წლის განმავლობაში ინფლაცია მკვეთრად გაიზარდა და აპრილში 12.8%-ს მიაღწია წ/წ. ამის გამო საჭირო გახდა შემდგომი მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება პირველ კვარტალში – ეროვნული ბანკის მიერ რეფინანსირების განაკვეთი ნახევარი პროცენტით გაიზარდა და მარტის თვეში 11%-მდე ავიდა, რაც ყველაზე მაღალი ნიშნულს წარმოადგენს 2008 წლის გლობალური ფინანსური კრიზისის შემდეგ. ბანკი ინფლაციის პიკურ ავარდნებზე უკვე უფრო უარესად რეაგირებდა, ვიდრე 2015 წელს, ბოლოს კი რუსეთ-უკრაინის კონფლიქტმა ენერგეტიკის ფასების დიდი ზრდა გამოიწვია გლობალურ დონეზე.

აღმოსავლეთის პარტნიორობის სხვა ქვეყნებთან შედარებით ასეთი კარგი მაჩვენებლის მიუხედავად, ფინანსებზე წვდომა კვლავ რჩება ქრონიკულ პრობლემად საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესისთვის. ფინანსური განათლების დონე ჯერ კიდევ შეზღუდულია OECD-ის ქვეყნებთან შედარებით, ასევე შესაძლებელია კრედიტორების უფლებების უფრო უკეთესად აღსრულება. საბანკო სექტორში მეტი კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობა ასევე აუცილებელია იმისთვის, რომ მცირე და საშუალო ბიზნესს უფრო მდგრადი წვდომა ჰქონდეს ფინანსებზე.

კომპანიებისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობა რიგით მეორე უდიდესი დაბრკობელია საქართველოში.



კომპანიის ოპერაციების და ინვესტიციების დაფინანსების დომინანტური გზაა საკუთარი ფინანსური სახსრები, რასაც მოჰყვება საბანკო სესხების გაცილებით მცირე წილი. საკრედიტო შეზღუდვების გამო, კომპანიები ნაკლებად ცდილობენ ინვესტირებას, რაც პოტენციურად აფერხებს მათ ზრდის პერსპექტივებს. ერთად აღებული, მცირე და საშუალო ბიზნესის მოთხოვნა სესხებზე საქართველოში კვლავ მაღალი რჩება, თუმცა EEC რეგიონის საშუალო მაჩვენებელზე დაბალია. კომპანიების თითქმის ნახევარს სესხი ესაჭიროება და მხოლოდ ერთი მესამედი ახერხებს კრედიტის აღებას, დანარჩენებს კი ან უარს ეუბნებიან, ან თავად აღარ მიმართავენ შესაბამის დაწესებულებას.

ქვეყანაში შედარებით დაბალია საკრედიტო შეზღუდვების მქონე კომპანიების წილი, მაგრამ მაღალია უარის თქმის მაჩვენებელი, რაც უფრო მკაცრ რისკის შეფასებასა და საკრედიტო პირობებზე მიუთითებს. თუმცა, საკრედიტო შეზღუდვების შემსუბუქება არ

უნდა მოხდეს კეთილგონივრული სტანდარტების ხარჯზე, რაც საბანკო სისტემის სტაბილურობას უწყობს ხელს.

საქართველოში ბანკის სასესხო განაკვეთი წელიწადში 12.620%-ს შეადგენდა 2022 წლის მარტის მონაცემების მიხედვით.

UNIT	LAST	PREVIOUS	MIN	MAX
% p.a.	12.620 მარტი 2022	12.820 თებ 2022	10.110 დეკ 2019	25.250 იან 2009

მცირე და საშუალო ბიზნესისთვის საქართველოში დადგენილი საშუალო საპროცენტო განაკვეთი მაღალია OECD-ის სტანდარტებით, თუმცა, ეს მაჩვენებელი 2009-2010 წლებში შემცირდა. ამავდროულად, უზრუნველყოფის მოთხოვნები ისევ მაღალი რჩება.

უზრუნველყოფის მიმართ მაღალი მოთხოვნების ეფექტს კიდევ უფრო ამძაფრებს მოძრავი უზრუნველყოფის შედარებით დაბალი მიმდობა. სესხის დოლარიზაცია ასევე კვლავ მაღალია, რაც ადგილობრივ კომპანიებს უამრავ გამოწვევას უქმნის.

უპირველეს ყოვლისა, ამის მიზეზი ის არის, რომ ადგილობრივ ვალუტაზე საპროცენტო განაკვეთი სხვა პრობლემური ასპექტების დასახელების გარეშეც ძვირია და მეორეც, უკიდურესად არასტაბილური გაცვლითი კურსის გამო, ოფიციალურად 2,5-ჯერ იაფ უცხოურ ვალუტაში აღებული სესხი შეიძლება მეტი პრობლემებით დასრულდეს, ვიდრე ადგილობრივ ვალუტაში აღებული კრედიტი.

პანდემიის კრიზისამდე, მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსების ალტერნატიული წყაროების სახით, საქართველოში დაახლოებით 70 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია იყო რეგისტრირებული, რომელთა ზედამხედველობას ეროვნული ბანკი ახორციელებდა. 2010 წლიდან მოყოლებული, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მხრიდან დაკრედიტება სტაბილურად გაიზარდა. საქართველოში მიკროსაფინანსო ინსტიტუტების ძირითადი კლიენტები ისეთი მიკრო და მცირე საწარმოები არიან, რომლებსაც საბანკო კრედიტებზე ხელი არ მიუწვდებათ. გარდა ამისა, ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების მოცულობა თითქმის 50-ჯერ აღემატება იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების მოცულობას.

საქართველოს კაპიტალის ბაზართან დაკავშირებული საკანონმდებლო და მარეგულირებელი ჩარჩო ბოლო პერიოდში სხვადასხვა რეფორმების შედეგად გაძლიერდა. ასევე მიღებულ იქნა კანონმდებლობა სავალდებულო კერძო საპენსიო და საინვესტიციო ფონდების შექმნის შესახებ, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ ადგილობრივი ინსტიტუციური ინვესტიციების ბაზის განვითარებას.

კორპორაციული ობლიგაციების სეგმენტი ჯერ კიდევ არასათანადოდ არის განვითარებული და საბანკო დაკრედიტება, ფაქტობრივად, კორპორაციული სექტორის, განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო საწარმოების დაფინანსების მთავარ წყაროს წარმოადგენს.


რამდენიმე ქართულმა კომპანიამ გადაწყვიტა, რომ საერთაშორისო საფონდო ბირჟებზე განთავსებულიყო და არა საქართველოს საფონდო ბირჟაზე (GSE), სადაც ლიკვიდურობა ძალიან უმნიშვნელოა.

საქართველოს კაპიტალის ბაზრის ინფრასტრუქტურა ფრაგმენტულია, კორპორაციული და სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებისთვისაც კი ცალკე ინფრასტრუქტურული ერთეულები არსებობს.

კაპიტალის ბაზრების შემდგომი განვითარებისთვის, საერთო სტრატეგიული ხედვა და უფრო მეტი კოორდინაციაა საჭირო მთავარ დაინტერესებულ მხარეებს შორის.

კერძო სექტორი დომინირებს, რომელიც ძლიერი სამეწარმეო სულისკვეთებით ხასიათდება, მაგრამ გაციფრულების საკითხებში ჩამორჩება.

საქართველოს ეკონომიკაში კერძო სექტორი დომინირებს და მისი ღირებულების შექმნა ძირითადად დედაქალაქ თბილისში არის კონცენტრირებული.



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით: მცირე ბიზნესად ის საწარმო ითვლება, რომელსაც 50-ზე ნაკლები თანამშრომელი ჰყავს, ან/და 12 მილიონ ლარამდე წლიური ბრუნვა აქვს; საშუალო ბიზნესში დასაქმებულია 50-დან 250-მდე ადამიანი ან/და ბრუნვა 12-დან 60 მილიონ ლარამდეა; ბიზნესი, სადაც 250-ზე მეტი თანამშრომელია დასაქმებული და ბრუნვა 60 მილიონ ლარს აღემატება, მსხვილ ბიზნესს წარმოადგენს.

მცირე ბიზნესების განმარტება

კრიტერიუმები	მცირე საწარმო	საშუალო საწარმო	დიდი საწარმო
დასაქმებულების რაოდენობა	≤ 50	51 – 249	≥ 250
ბრუნვა	≤ 12 მილიონი ლარი (3.3 მილიონი ევრო)	12 – 60 მილიონი ლარი (3.3 – 16.4 მილიონი ევრო)	≥ 60 მილიონი ლარი

საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ კანონის მიხედვით, მცირე და საშუალო საწარმოს განმარტება დასაქმების ზომას და ბრუნვას ეფუძნება. ის ასევე საქართველოს სპეციფიკაზეა მორგებული და მცირე და საშუალო საწარმოს სექტორის ოფიციალური სტატისტიკის შედგენისთვის გამოიყენება. საშუალო ზომის საწარმოებში ყოველწლიურად 100-მდე ადამიანი დასაქმებული და წლიური ბრუნვა 1,500,000 ლარამდეა. მცირე საწარმოებში ყოველწლიურად 20-მდე ადამიანი დასაქმებული და წლიური ბრუნვა 500,000 ლარამდეა.

მცირე და საშუალო საწარმოების განმარტება

ტიპი	დასაქმება	ბრუნვა
მცირე	20-მდე დასაქმებული წელიწადში	500,000.0-მდე ლარი ფისკალურ წელიწადში
საშუალო	100-მდე დასაქმებული წელიწადში	1, 500,000.00-მდე ლარი ფისკალურ წელიწადში


ტიპი	სულ მთლიანი შემოსავალი
მიკრო	30,000.00 ლარამდე
მცირე	100,000.00 ლარამდე

საქართველოს საგადასახადო კოდექსი, რომელიც 2011 წლის იანვრიდან ამოქმედდა, მცირე საწარმოებისთვის განსხვავებულ განმარტებას იძლევა და ასევე კრიტერიუმებს ადგენს მიკრო ბიზნესისთვის. ეს განმარტება მხოლოდ საგადასახადო მიზნებისთვის გამოიყენება და მცირე და მიკრო ბიზნესისთვის შეღავათიანი რეჟიმის უზრუნველსაყოფად იქნა შემოღებული.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, მცირე ბიზნესის სტატუსი ენიჭებათ მენარმეებს (ფიზიკურ პირებს), რომელთა ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული მთლიანი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში 100,000 ლარს არ აღემატება. მიკრო ბიზნესის სტატუსი იმ მენარმეებს (ფიზიკურ პირებს) ენიჭებათ, რომლებიც დაქირავებულ შრომას არ იყენებენ, ეკონომიკურ საქმიანობას დამოუკიდებლად ახორციელებენ და წელიწადში სულ 30,000 ლარამდე შემოსავალს იღებენ.

მცირე ბიზნესი მათი დასაბეგრი შემოსავლის 3%-ით ან 5%-ით იბეგრება. მცირე ბიზნესის დასაბეგრი შემოსავალი 5%-ით იბეგრება, ხოლო საშემოსავლო გადასახადის 3%-იანი განაკვეთი იმ შემთხვევაში ვრცელდება, თუ მენარმეს შეუძლია დაამტკიცოს, რომ მის მიერ გაწეული ხარჯები (გარდა თანამშრომლებზე გადახდილი ხელფასის ღირებულებებისა) მთლიანი შემოსავლის 60%-ს შეადგენს. მიკრო ბიზნესი საშემოსავლო გადასახადისგან თავისუფლდება. მიკრო და მცირე ბიზნესის სტატუსის შემოღება და შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის დაწესება ორ ძირითად მიზანს ემსახურებოდა: ამგვარი ბიზნესის რეგისტრაციის ხელშეწყობა და საგადასახადო ტვირთის შემცირება. შემოსავლების სამსახურის სტატისტიკის მიხედვით, ახალი საგადასახადო კოდექსის შემოღების შემდეგ 83,231 მიკრო და მცირე საწარმო დარეგისტრირდა, აქედან 39,470 მიკრო და 43,761 – მცირე. საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, ბიზნესი, რომლის ბრუნვაც წელიწადში 100,000 ლარს არ აღემატება, დღგ-სგან თავისუფლდება. ამასთან, პირველადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მიწოდება დღგ-თი არ იბეგრება.

ბრუნვა (ბილიარდი)




მთავრობის მიერ განსაზღვრული ზოგიერთი ბიზნესი გადასახადების განაკვეთით ფასდება. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი ეკონომიკის სიდიდის მიხედვით, ეს რიცხვები შეიძლება გადაჭარბებული იყოს. მაგალითად, თუ აშშ-ში ან გერმანიაში ის კომპანია, სადაც 45 კაცია დასაქმებული, შეიძლება მცირე ბიზნესად ჩაითვალოს, საქართველოში ასეთ საწარმოებს იშვიათად განსაზღვრავენ როგორც „მცირეს“.

ასეთი სეგმენტაციის გამო, საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორის წარმომადგენელი აქტიური კომპანიების საერთო უმრავლესობა 99.8%-ს შეადგენს, ხოლო აქტიური მსხვილი კომპანიების რაოდენობა მხოლოდ 300 თუ არის.


მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორი ისეთი გამონწვევების წინაშე დგას, როგორცაა, სხვა საკითხებს შორის, მშპ-ს 18%-იანი ფინანსური სხვაობა (SME Finance Forum, 2021), ისინი მაინც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენენ საქართველოს ეკონომიკაზე და მთლიანი ბრუნვის 41%-ს, დასაქმების 58%-ს, დამატებული ღირებულების 59%-ს და მთლიანი პროდუქციის 58%-ს წარმოადგენენ. ეს ჯერ კიდევ არ ამალღებს მათი მხრიდან უზრუნველყოფილ ინკლუზიურობას და დივერსიფიკაციას ადგილობრივ ეკონომიკაში, რასაც დიდი კომპანიები ვერასოდეს მიაღწევენ.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ქვეყანაში არსებულ კარგ ბიზნეს გარემოს მეორე მხრიდან მხარს უმაგრებს ძლიერი სამეწარმეო სულისკვეთება, მას აქვს შედარებით დაბალი ციფრული მზადყოფნა და ინოვაციების კუთხით ჩამორჩება, რის შედეგადაც გამორჩეულ ადგილებს იკავებს „ქსელური მზადყოფნის ინდექსში“ 131 ქვეყანას, ხოლო „გლობალური ინოვაციის ინდექსში“ – 134 ქვეყანას შორის.

ახლად დარეგისტრირებულები შპს-ები 1,000 საშუალო ასაკის ადამიანზე, 2018



რეიტინგი 131 (ქსელური მზაობის ინდექსი) და 134 (გლობალური ინოვაციის ინდექსი) ქვეყნიდან, 2020



მაშინ, როცა შრომის მთლიანი პროდუქტიულობა თანდათან იზრდება, **დასაქმების დიდი ნაწილი ტრადიციულ და დაბალპროდუქტიულ სექტორებშია კონცენტრირებული.**

ეს შეიძლება იმაზე მიუთითებდეს, რომ საქართველოს ეკონომიკას **ნაკლებად შეუძლია მაღალკვალიფიციური სამუშაო ადგილების შექმნა** უფრო პროდუქტიულ სექტორებში, ან მაღალი ღირებულების შემქმნელი სამუშაოებისთვის საჭირო უნარები აკლია. აქტივობის მაჩვენებელი უფრო მაღალია მამაკაცებს შორის და ურბანულ ტერიტორიებზე.

დასაქმების მაჩვენებლები და ეკონომიკური აქტივობა 2020 წელს გაცილებით მაღალი იყო სოფლად, ვიდრე ქალაქებში. ასეთ შედეგებზე გავლენას ახდენს ფართომასშტაბიანი თვითდასაქმება დედაქალაქის ფარგლებს გარეთ, დიდწილად საარსებო მინიმუმის ფერმერული საქმიანობით. ქალებში უმუშევრობის დონე უფრო დაბალია ხოლმე, მაგრამ ისინი ასევე უფრო ნაკლებად აქტიურად არიან წარმოდგენილნი შრომის ბაზარზე.

კოვიდ-19-ის გავრცელების შემდეგ უმუშევრობა გაიზარდა. **არაფორმალური დასაქმება კვლავ ჯიუტად მაღალია** და არასასოფლო-სამეურნეო სექტორებში დასაქმებულთა ერთ მესამედზე ოდნავ მეტს შეადგენს.

შედეგი: სამუშაო ძალის უნარები ბიზნესის მუდმივად განვითარებად საჭიროებებს არ შეესაბამება.

ქართული კომპანიების სწრაფად მზარდი წილი აცხადებს, რომ მუშახელის დაბალი კვალიფიკაცია ბიზნესისთვის ერთ-ერთი მთავარი შემაფერხებელი ფაქტორია, რომელიც, სავარაუდოდ, იმაზე მეტყველებს, რომ სანარმოების საჭიროებები უფრო და უფრო ვითარდება, საქართველოს ეკონომიკური განვითარების კვალდაკვალ.

ჩვენი **კერძო სექტორის SWOT ანალიზი** გვჩვენებს განვსაზღვრეთ განვითარების მხრივ არსებული ძირითადი საჭიროებების რაოდენობა და პოტენციალი, რომლებზეც კონცენტრირებული უნდა იყოს საქართველოს რეგიონული პოლიტიკა მომდევნო წლებში.

შემდგომი რეფორმების განხორციელების და ადმინისტრაციული პოტენციალის განვითარების შემთხვევაში, საუკეთესო ევროპული პრაქტიკის შემდგომი დანერგვა შესაძლებლობას იძლევა, რომ განვითარებაზე მიმართული აქტივობების მასშტაბი და მოცულობა გაფართოვდეს, რაც მნიშვნელოვანია თანამედროვე რეგიონული განვითარების პოლიტიკის მიზნების მისაღწევად.

ქლივრი მხარეები	სუსტი მხარეები
<ul style="list-style-type: none"> ▶ ხელსაყრელი ბიზნეს გარემო ▶ გამარტივებული ადმინისტრაციული პროცედურები ▶ მარტივი პროცედურები ბიზნესის დასაწყებად ▶ მრჩველთა და საკონსულტაციო მომსახურება მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ▶ დაბალი საგადასახადო ტვირთი და შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმი მიკრო და მცირე ბიზნესისთვის ▶ მარტივი და იაფი წვდომა რეგიონულ და საერთაშორისო ბაზრებზე ▶ ლიბერალური საგარეო ვაჭრობის რეჟიმები: ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება (DCFTA), თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები (FTA) SIC ქვეყნებთან და თურქეთთან, შეღავათების ზოგადი სისტემა (GSP) აშშ-სთან, კანადასთან, შვეიცარიასა და ნორვეგიასთან. ▶ მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერი ინსტიტუტების არსებობა ▶ სამთავრობო პროგრამები მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობისთვის ▶ უცხო ენების ცოდნა ახალგაზრდა მოსახლეობაში 	<ul style="list-style-type: none"> ▶ ბიზნეს უნარებისა და ბიზნეს გამოცდილების ნაკლებობა ▶ კონკურენტუნარიანობის დაბალი დონე ▶ დაბალი პროდუქტიულობა ▶ ინოვაციების და R&-ის დაბალი დონე და არასაკმარისი თანამშრომლობა საჯარო R&D ინსტიტუტებსა და მცირე და საშუალო საწარმოებს შორის ▶ ტექნოლოგიის ათვისების შეზღუდული შესაძლებლობები ▶ ადამიანური რესურსების არასაკმარისი დონე ▶ ცოდნის ნაკლებობა უცხოურ ბაზრებზე ▶ ექსპორტისა და ინტერნაციონალიზაციის დაბალი შესაძლებლობები ▶ მაღალი ხარჯები ახალი ტექნოლოგიების/საწარმოო აღჭურვილობისთვის ▶ საკონსულტაციო მომსახურების მაღალი ღირებულება მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ▶ სირთულეები ბიზნესის დახურვისას
შესაძლებლობები	საფრთხეები
<ul style="list-style-type: none"> ▶ გაზრდილი წვდომა ფინანსებზე ▶ კარგად განვითარებული ალტერნატიული დაფინანსება ▶ DCFTA-ის ეფექტური გამოყენება – ექსპორტის დივერსიფიკაციის შესაძლებლობები ▶ მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა DCFTA-ის მოთხოვნებთან ადაპტაციაში ▶ ძლიერი და კარგად მოქმედი საჯარო დაწესებულების არსებობა, რომელიც პასუხისმგებელია DCFTA-ს მოთხოვნების შესრულებაზე ▶ შრომის ბაზრის მოთხოვნაზე ორიენტირებული პროფესიული განათლების სისტემა ▶ წარმოების დივერსიფიკაცია ▶ საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება და მცირე და საშუალო ბიზნესის ინტერნაციონალიზაცია ▶ კარგად განვითარებული მრჩველთა და საკონსულტაციო მომსახურება ▶ გაზრდილი ინოვაციური შესაძლებლობები და ტექნოლოგიების ათვისების პოტენციალი ▶ თანამედროვე სამეწარმეო კულტურის ჩამოყალიბება ▶ უწყვეტი სამეწარმეო სწავლის განვითარება ▶ ევროპული საწარმოების ქსელში ინტეგრაცია – საჯარო კავშირები ევროკავშირის კომპანიებთან ▶ მიზნობრივი მხარდაჭერა მცირე და საშუალო ბიზნესისთვის, მცირე და საშუალო ბიზნესის ინსტიტუტების მიერ (SME-by-SME) ▶ მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორის გაზრდილი ჩართულობა პოლიტიკის შემუშავების პროცესში 	<ul style="list-style-type: none"> ▶ შესაძლო გარე ეკონომიკური ფაქტორები (ფინანსური კრიზისი, საერთაშორისო ბაზრებზე მოთხოვნის შემცირება და ა.შ.) ▶ ეკონომიკის შესაძლო ვარდნა ▶ პოლიტიკური გაურკვეველობა ▶ მცირე ინვესტიცია მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორში ▶ არასაკმარისი საექსპორტო შესაძლებლობები ▶ მცირე და საშუალო ბიზნესის დაბალი შესაძლებლობები საერთაშორისო კონკურენციის თვალსაზრისით ▶ DCFTA-ის მოთხოვნების არასაკმარისი ცოდნა და ადაპტაციის დაბალი დონე ▶ მცირე და საშუალო ბიზნესის არასაკმარისი მონაწილეობა ბიზნეს საგანმანათლებლო პროგრამებში ▶ საექსპორტო ბაზრის მოთხოვნების არასაკმარისი ცოდნა

მწვანე ტრანზიციის ხელშეწყობა და ენერგეტიკის სექტორის მდგრადობის უზრუნველყოფა

ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერით და ენერგეტიკულ თანამეგობრობაში განეწიანებით საქართველომ თავისი ენერგეტიკული სექტორის გარდაქმნის ვალდებულება აიღო, ბლოკის მე-3 ენერგეტიკული პაკეტის შესაბამისად.

საქართველო მნიშვნელოვან ძალისხმევას ახორციელებს ევროკავშირის კანონმდებლობის ჰარმონიზაციისთვის, ევროკავშირსა და საქართველოს შორის საბაზრო წვდომის გაზრდისთვის, ელექტროენერჯის და ბუნებრივი აირის ბაზრებზე თავისუფალი და კონკურენტული ვაჭრობის ხელშეწყობისა და მიწოდების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მოთხოვნების შესასრულებლად.

ქვეყანამ **ახალი კანონი მიიღო ენერგეტიკის შესახებ**, რასაც მოჰყვა „ელექტროენერჯის ბაზრის მოდელის კონცეფცია“ 2020 წელს. დოკუმენტში ასახულია მთავრობის ხედვა საქართველოს ელექტროენერჯის ბაზრის ზოგადი სტრუქტურის, მოწყობისა და ფუნქციონირების შესახებ, გადმოცემულია მისი მომავალი სტრუქტურა და აღწერილია ბაზრის მონაწილეთა უფლებები და ვალდებულებები. კონცეფცია საქართველოში ელექტროენერჯის საბითუმო ბაზრის ორგანიზებისა და ფუნქციონირების **სახელმძღვანელო პრინციპებს** აყალიბებს, რაც ქვეყანას ენერგეტიკული გაერთიანების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში ეხმარება და მიზნად ისახავს **ინვესტიციებისთვის მიზნადგვლი გარემოს შექმნას** ელექტროენერჯის კონკურენტული და გამჭვირვალე ბაზრების განვითარების გზით (საქართველოს მთავრობა 2020 წ.).

3. ინსტიტუციური მოწყობა

საქართველო ნახევრად საპრეზიდენტო რესპუბლიკაა და სახელმწიფოს მეთაურიც პრეზიდენტია. პრეზიდენტი ნიშნავს პრემიერ მინისტრს, რომელიც მთავრობის მეთაურია და მინისტრთა კაბინეტს ხელმძღვანელობს. პრეზიდენტი და სამინისტროები ხელისუფლების აღმასრულებელ შტოს ქმნიან საქართველოში, რომელსაც საშინაო და საგარეო პოლიტიკის წარმართვა ევალება. საქართველოს პარლამენტი უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა და მთავრობის საქმიანობას უწევს ზედამხედველობას, კონსტიტუციის შესაბამისად.


2018 წლის პირველ კვარტლამდე, საქართველოს მთავრობის შემადგენლობაში 14 სამინისტრო შედიოდა, სადაც გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო (MoENRP) იყო ძირითადი ინსტიტუტი, რომელიც პასუხისმგებელი გახლდათ UNFCCC-ისა და კიოტოს მიზნების, ასევე კლიმატის ცვლილების შესახებ კანონმდებლობის, პოლიტიკისა და სტრატეგიის განხორციელებაზე, მთავარ დარგობრივ სამინისტროებსა და უწყებებთან კოორდინაციის მეშვეობით.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა სამთავრობო ცვლილებები 2017 წლის ბოლოს გამოაცხადა, რის შედეგად სამინისტროების რაოდენობა 11-მდე შემცირდა.

„გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო“ „სოფლის მეურნეობის სამინისტროს“ შეერწყა და „გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროდ“ ჩამოყალიბდა, რომელმაც „გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს“ მიერ კლიმატთან დაკავშირებით აღებული ვალდებულებები გადაიბარა.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის ახალი სამინისტროს შემადგენლობაში შედის სტრუქტურული ქვედანაყოფები, ტერიტორიული ორგანოები, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებები და სახელმწიფო მიერ მართული საჯარო იურიდიული პირები.

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს შემადგენლობაშია გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტი (CCD), რომელიც ეროვნულ დონეზე კლიმატის შერბილების და ადაპტაციის ღონისძიებების, ასევე მრავალმხრივი გარემოსდაცვითი შეთანხმებებით გათვალისწინებული დირექტივების კოორდინაციას უზრუნველყოფს და კლიმატის ცვლილების თავს ამზადებს „ეროვნულ სამოქმედო გეგმებში“ (NEAP).



გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტი განაგრძობს კოორდინაციას UNFCCC-სთვის საქართველოს მხრიდან კლიმატთან დაკავშირებული ძირითადი შუალედური შედეგების მომზადებისთვის, რაშიც შედის NC-ები, NDC-ების და BUR-ები და საქართველოს 2021-2030 წწ კლიმატის სამოქმედო გეგმის შემუშავება გარე დაინტერესებულ მხარეებთან ერთად.

გარემოს ეროვნული სააგენტო (NEA), რომელიც სახელმწიფოს დაქვემდებარებაში არსებული კიდევ ერთი იურიდიული პირია, შეტყობინებებს ავრცელებს მოსალოდნელი ბუნებრივი კატასტროფების, ან გარემოს უკიდურესი დაბინძურების შემთხვევების შესახებ. ის ასევე გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტთან მუშაობს, ადაპტაციის გრძელვადიანი ღონისძიებების განსახორციელებლად.

კლიმატთან დაკავშირებულ პროექტებში ასევე **სხვა სამინისტროებიც მონაწილეობენ:**

- ▶ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.
- ▶ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.
- ▶ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, რომელიც ინფრასტრუქტურულ პროექტებს ახორციელებს, საზოგადოებისთვის გრძელვადიანი სარგებლის მოტანის მიზნით, ნარჩენების მართვის ეროვნული სისტემის ჩათვლით.
- ▶ შინაგან საქმეთა სამინისტრო (შსს), რომელიც ზედამხედველობას უწევს პოლიტიკის და კანონის აღსრულებას საქართველოში.
- ▶ ფინანსთა სამინისტრო, რომელიც წლიურ ფისკალურ ბიუჯეტს ამზადებს, რომელიც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ძირითადი პრიორიტეტებია ასახული.

ნაწილი 2

ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის (NDC) შეფასება კერძო სექტორის პერსპექტივიდან

4. ზოგადი ინფორმაცია საქართველოს ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის (NDC) შესახებ

საქართველოში სათბურის აირების ემისია 1990-1995 წლებში 72%-ით შემცირდა (დაახლოებით 13 მგტ CO₂ეკვ.).

ყველაზე დაბალი ოდენობა 2001 წელს დაფიქსირდა 9.6 მგტ CO₂ ეკვ, ხოლო ამის შემდეგ ემისიების ზრდა დაიწყო და 2017 წელს შეადგინა 17.8 მგტ CO₂ ეკვ.

ეს ასევე გამოწვეულია **მშპ-ს ძლიერი ზრდით** (+56% 2010-2017 წლებში), სადაც **მომსახურების სექტორი დომინირებს**. გაზრდილი ეკონომიკური აქტივობით, მოსახლეობის 16%-ით კლებასთან ერთად, ერთ სულ მოსახლეზე მშპ შესამჩნევ ზრდას აჩვენებს 86%-ით, ხოლო სათბურის აირები მშპ-ზე 39%-ით არის შემცირებული.

საქართველო უპირობო ვალდებულებას იღებს, რომ 2030 წლისთვის ეროვნულ დონეზე 35%-ით შეამცირებს სათბურის აირების ემისიების მაჩვენებელს, 1990 წელს დაფიქსირებულ დონესთან შედარებით.

საქართველო იღებს ვალდებულებას, 2030 წლისთვის 50-57%-ით შეამციროს სათბურის აირების ემისიების ჯამური მაჩვენებელი, 1990 წელს დაფიქსირებულ დონესთან შედარებით. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ გლობალური ემისიების მაჩვენებლების დინა-

მიკა საშუალო ტემპერატურის ზრდის 2°C ან 1.5°C-მდე შეზღუდვის სცენარს გაჰყვება, საერთაშორისო მხარდაჭერით.

	წარდგენის თარიღი	პერიოდი	დაფარვის არეალი	ტიპი	ამოცანა	შერბილების სამიზნე (საბაზისო წელი)	სხვა სამიზნეები	ადაპტაცია
INDC	8 მაისი, 2017	2021-2030	- ყველა აირი - LU- LUCF-ის გარდა - მთელ ეკონომიკის მასშტაბით	პირობით	25% შემცირება BAU სცენარის ქვემოთ = -40% 1990 წელთან შედარებით	-40% (1990)	პირობითი და უპირობო სამიზნე ტყეებისთვის	ინფორმაცია შესულია
				უპირობოდ	15% შემცირება BAU სცენარის ქვემოთ	-32% (1990) ⁽¹⁾		
განახლებული NDC	5 მაისი, 2021	2021-2030	- ყველა აირი - LU- LUCF-ის გარდა - მთელ ეკონომიკის მასშტაბით	პირობით	- 2030 წლისთვის მთლიანი სათბურის აირების ემისიების 50-57%, 1990 წლის დონესთან შედარებით	-53% (1990) ⁽²⁾	დარგობრივი მიზნები	ადაპტაციის ღონისძიებები შესულია
				უპირობოდ	2030 წლისთვის სათბურის აირების მთლიანი შიდა ემისიის 35%-ით კლება, 1990 წელთან შედარებით	-35% (1990)		

(1) ეს მნიშვნელობა, *ხოგოც ასეთი, ახ ახის წახმოდგენილი NDC-ში, მაგამ NDC-ში მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე გამოითვლება.*

(2) INDC-ში წახმოდგენილია სამიზნე მნიშვნელობები -50-დან -57%-მდე დიაპაზონში.

(3) INDC-ში წახმოდგენილია სამიზნე მნიშვნელობები -64-დან -67%-მდე დიაპაზონში.

საქართველოს განახლებული „ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილი“ (NDC) განსაზღვრავს „კლიმატის სამოქმედო გეგმას“ შემარბილებელი ღონისძიებებისთვის, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყოს უპირობო და პირობითი შერბილების მიზნების მიღწევას. საქართველოს გადაწყვეტილებით, შემდეგი ათწლეული, 2021 წლის 1 იანვრიდან 2030 წლის 31 დეკემბრამდე, განსაზღვრულია როგორც ქვეყნის ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის განხორციელების ვადა.

CSAP შემდეგ სექტორულ სამიზნეს განსაზღვრავს, რომლებიც ასევე შესულია NDC-ში:

- ▶ სატრანსპორტო სექტორი: 2030 წლისთვის, 15%-ით შეზღუდვა საბაზისო დონის საფუძველზე გაკეთებული პროგნოზების მიმართ;
- ▶ შენობები: ენერგოეფექტური ტექნოლოგიებისა და სერვისების გამოყენების ნახალისება;
- ▶ ენერჯის გენერაცია და გადაცემა: საბაზისო დონესთან შედარებით 15%-ით ნაკლები 2030 წლისთვის;
- ▶ სოფლის მეურნეობა: კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის და აგროტურიზმის ნახალისება;
- ▶ მრეწველობა: 5%-იანი შემცირება საბაზისო დონესთან შედარებით;
- ▶ ნარჩენები: კლიმატგონივრული ინოვაციური ტექნოლოგიების და სერვისების ნახალისება, სეპარაციის პრაქტიკისა და ცირკულარული ეკონომიკის პრინციპების ეფექტური განხორციელებით;
- ▶ სატყეო სექტორი: სატყეო სექტორში ნახშირბადის შთანთქმის უნარის გაზრდა 10%-ით, 2015 წლის ენერჯის გენერაციის და გადაცემის დონესთან შედარებით.

საქართველოს ასევე აღებული აქვს ვალდებულება, რომ კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის საკუთარი შესაძლებლობები შეისწავლოს, შიდა და საერთაშორისო რესურსების მობილიზებით, **კლიმატის ცვლილების მიმართ განსაკუთრებით მონყვლადი სექტორებისთვის.**

კერძო სექტორის პერსპექტივიდან, ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილი – როგორც მოხსენიებულია | ნაწილში – ითვალისწინებს, რომ **მომსახურების სექტორი დომინანტურია** საქართველოს ეკონომიკაში და მისი წილი მთლიან ეკონომიკურ საქმიანობებში **68%-ს** შეადგენს.

მრეწველობის და სოფლის მეურნეობის წილი მთლიან ეკონომიკურ საქმიანობაში, შესაბამისად, დაახლოებით არის **24% და 8%** (წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური).

5. სხვადასხვა ქვეყნის ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილების ზოგადი ანალიზი მსოფლიოში

პარიზის შეთანხმება ყველაზე დიდი წარმატებაა, რაც კი გლობალური კლიმატის პოლიტიკაში ჯერჯერობით მიღწეულა.

როგორც UNFCCC მიუთითებს, პარიზის შეთანხმების მიღებით, მთავრობებმა კლიმატის მიმართ ამბიციები ჩამოაყალიბეს ტრანსფორმაციული მასშტაბით, რისთვისაც მიზნად დაისახეთ გლობალური დათბობის შეზღუდვა 2°C-მდე და ძალისხმევას მიმართავენ, რომ ტემპერატურის ზრდა 1.5°C-მდე შეზღუდონ, პრეინდუსტრიულ დონესთან შედარებით.

როგორც ვიცით, **ჩარჩო, რომელიც ამ ამბიციას რეალობად აქცევს, არის „ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილი“ (NDC),** სადაც თითოეულ მთავრობას სთხოვენ, რომ დაპირება გააკეთონ ემისიების შემცირების მიზნით და ეს ამბიცია დროთა განმავლობაში კიდევ უფრო გაზარდონ.

სამწუხაროდ, **NDC-ების კონცეფციას დღესაც კი მნიშვნელოვანი ხარვეზები გააჩნია.** მათი კარგად გაგება ხელს შეუწყობს იმას, რომ ქართული NDC კონსტრუქციული მიდგომით შეფასდეს.

მაგალითად (გლობალურ საფუძველზე):

- ▶ **NDC-ები არ არის ფორმულირებული თანმიმდევრული ან ადვილად შესადარებელი გზით.**

ემისიების შემცირების გაზომვის თვალსაზრისით, ბევრი განსხვავება არსებობს (აბსოლუტური ან ემისიების მიმართ ინტენსიური შემცირება); საბაზისო წლიდან გამომდინარე, რომლის მიმართაც შემცირება იზომება; NDC ეკონომიკის მასშტაბით არის დადგენილი, თუ კონკრეტული სექტორისთვის; და მოიცავს თუ არა ის ყველა სათბურის აირს, თუ მხოლოდ ნახშირორჟანგს (CO₂).

ამის გამო რთულია შეჯამდეს, თუ რა პროგრესი არსებობს გლობალურად პარიზის შეთანხმებით დადგენილი მიზნებისკენ შესრულების გზაზე. ეს ასევე ართულებს იმის გაგებას, თუ როგორ შეიძლება, რომ ოფსეტური ბაზრები ნებაყოფლობით ჩაერთონ საერთაშორისო აღრიცხვაში და გამჭვირვალობის სისტემებში პარიზის შეთანხმების ფარგლებში.

- ▶ **ბევრ NDC-ში ორი ან მეტი ამბიციის დონე არის მოცემული**

ერთი დონე, რომელსაც მთავრობა პირობას დებს, რომ ვალდებულებას დამოუკიდებლად შეასრულებს (მოხსენიებული, როგორც „უპირობო სამიზნეები“), და მეო-

რე დონე უფრო მაღალი ამბიციით, თუ უზრუნველყოფილი იქნება დამატებითი საერთაშორისო დაფინანსება კლიმატთან დაკავშირებით (მოხსენიებული, როგორც „პირობითი სამიზნეები“).

შედეგები გაურკვეველია: შეიძლება თუ არა, რომ საერთაშორისო დაფინანსება მხოლოდ მას შემდეგ შემოვიდეს, რაც მთავრობა საკუთარ NDC სამიზნეს შეასრულებს? თუ არა, რა არის სწორი გზა იმისთვის, რომ გათვალისწინებული იქნას ის ზემოქმედება, რაც უპირობო და პირობითი სამიზნეების შესრულებას შორის იარსებებს?

▶ **NDC-ები არც სამართლებრივად სავალდებულოა და არც აღსრულებადი.**

მიუხედავად იმისა, რომ პარიზის შეთანხმება მხარეებს თავიანთი კლიმატის ამბიციის გაზრდისკენ მოუწოდებს, როდესაც ისინი თავიანთ NDC-ებს განაახლებენ ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ, მთავრობას შეუძლია გადაწყვიტოს, გაზრდის თუ შეამციროს NDC-ს, რაიმე მნიშვნელოვანი შედეგების მოლოდინის გარეშე.


▶ **NDC-ების განხორციელება თანმიმდევრულად არ ხდება.**

ზოგიერთმა მთავრობამ დაიწყო სავალდებულო შიდა კანონქვემდებარე აქტების შემოღება ემისიების შესამცირებლად. სხვებს ეს ჯერ არ გაუკეთებიათ, ხოლო ზოგიერთმა ისეთი პოლიტიკები აამოქმედა, რომელიც მათი მხრიდან გაკეთებულ NDC დაპირებებს ძირეულად ეწინააღმდეგება.

2018 წლის ანგარიშის (*Nachmany and Mangan*) თანახმად, სადაც NDC სამიზნეები შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობასთან არის შედარებული, 157 მხარიდან, რომლებმაც წარადგინეს ეკონომიკის მიზნები თავიანთ NDC-ებში, მხოლოდ 58-მა გადმოიტანა სამიზნეები ეკონომიკის ყველა სფეროში თავიანთ კანონმდებლობაში, ხოლო ამ მხარეებიდან მხოლოდ 17-მა აჩვენა, რომ ქვეყანაში მიღებული სამიზნეები თავიანთ NDC-ებში მითითებული სამიზნეების შესაბამისი იყო.

ამგვარი განსხვავებები მიუთითებს, თუ რამდენად რთულია დავეყრდნოთ მხოლოდ მთავრობებს ამბიციური NDC მიზნების განსაზღვრაში, რასაც დამატებული კლიმატის პოლიტიკა და ქმედებები გაუმყარებდა საფუძველს.

ემისიებთან დაკავშირებით არსებული განსხვავებების შესახებ გაეროს მომზადებული ანგარიში (2020) ნათლად აჩვენებს, რომ ჩვენ სწორი მიმართულებით არ მივდივართ პარიზის შეთანხმებით გათვალისწინებული სამიზნეების მიღწევაში, თუნდაც NDC-ების პირობითი ვალდებულებებით, როგორც ეს ნაჩვენებია ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე.



6. როგორ უნდა გააძლიეროს ქართულმა კერძო სექტორმა კლიმატის ქმედება? საქართველოს NDC-ის შეფასებიდან მიღებული ძირითადი შედეგები და დაკავშირებული პოლიტიკები/ გეგმები

„საქართველოს დასახული აქვს ამბიციური ეკონომიკური გეგმები კლიმატის ცვლილების შეხიბდებისა და დაბადემისიანი ეკონომიკის განვითარების მიმართებით. ეს ეკონომიკური მიზნები გამყარებულია საერთაშორისო შეთანხმებებით და ვადებულებებით, მათ შორის პარიზის შეთანხმებისა და ევროკავშირთან ასოციაციის შესახებ ხელშეკრულების ფაჩვებში. **ნახშირბადით ვაჭრობის მსოფლიო ბაზაზე წვდომა ხელს შეუწყობს ამ დღის წესრიგის განხორციელებას და კლიმატისადმი მედეგი საზოგადოების მშენებლობას**“. განაცხადა სოლომონ პავლიაშვილმა, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ 2022 წლის 27 სექტემბერს თბილისში გამართულ ნახშირბადის გლობალურ ბაზარზე.

„**ნახშირბადით ვაჭრობა** ყველასთვის მომგებიანია, ხადგან, ერთი მხრივ, ემისიებს ამცირებს, ხორც მეორე მხრივ, მწვანე გახდაქმნისთვის **საჭირო დამატებით ფინანსურ ხესხებს** აძლევს საქართველოს მსგავს ქვეყნებს“, აღნიშნა ნიკ ბერესფორდმა, გაეროს განვითარების პროგრამის მუდმივმა წარმომადგენელმა საქართველოში. „მივსადგმები შვეიცარიისა და იაპონიის მზობას, რომ გახელოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად, საქართველოს გზა გაუკვადონ ნახშირბადით ვაჭრობის ბაზაზე. ჩვენი მიზანია, ამ შესანიშნავი იდეის პრაქტიკული განხორციელება დავიწყოთ“ (ცოტა ხნით ადრე, 2021 და 2022 წლებში, საქართველომ ორმხრივი ხელშეკრულებები გააფორმა შვეიცარიასა და იაპონიასთან, რომელიც შესაძლებელს გახდის ნახშირბადით ვაჭრობას, როდესაც საქართველო მზად იქნება ამ მექანიზმის გასააქტიურებლად. ნახშირბადით ვაჭრობის შემოსავლები დამატებით დაფინანსებას უზრუნველყოფს საქართველოს მდგრადი და კლიმატგონივრული განვითარებისთვის).

საქართველოს პერსპექტივები ნახშირბადის გლობალურ ბაზარზე ამჟამად გულისხმობს **ფოკუსირებას იმაზე, თუ რა ზეგავლენას მოახდენს ნახშირბადით ვაჭრობა ემისიების შემცირებაზე** და მწვანე განვითარების მიღწევაზე, ბაზარზე წვდომისთვის საჭირო ნაბიჯებზე, ასევე, **საჯარო და კერძო სექტორის ჩართულობაზე**.

ამგვარი ანალიზისთვის უკეთესი საწყისი მომენტის მოძებნა ვერც კი მოხერხდებოდა, რადგანაც შეუძლებელია NDC-ის განხორციელება, თუ ამაში კერძო სექტორი არ იქნება დაინტერესებული.

კერძო სექტორის ლიდერობა აუცილებელია იმისთვის, რომ გლობალური დათბობა პარიზის შეთანხმებით გათვალისწინებულ 1.5°C სამიზნეს არ ასცდეს. კერძო სექტორის მხრიდან კლიმატისთვის კეთილგანწყობილ ბიზნეს პრაქტიკაზე გადასვლა აუცილებელია და ბევრი რამის შეცვლა შეუძლია.

ეს დარგის ყველა სექტორს შეეხება და ქართული საწარმოები (როგორც ვნახეთ, ძირითადად ესენი მცირე და საშუალო საწარმოები იქნებიან), რომლებიც ადაპტაციას შეძლებენ, უფრო დიდ ბიზნეს შესაძლებლობებს დაინახავენ, ხოლო ისინი, ვინც ამას ჩამორჩებიან, რისკის წინაშე დადგებიან.

კერძო სექტორს საქართველოში შეუძლია და მოეთხოვება კიდევ, რომ მთავარი როლი შეასრულოს გლობალური დეკარბონიზაციის მცდელობების დაჩქარებაში. მისი ჩართულობით ეს საკითხი რამდენიმენაირად შეიძლება გადაწყდეს: არსებული პოლიტიკის მანდატების მიღმა ქმედება, რათა შემცირდეს ემისიები კომპანიების გლობალურ ოპე-

რაციებსა და ღირებულების ჯაჭვებში, ასევე, კაპიტალის გამოყოფა ემისიების შესამცირებლად ამ ღირებულების ჯაჭვების გარეთ.

თუმცა, **კერძო სექტორის მხრიდან კლიმატზე ფოკუსირებული ქმედება ჯერ კიდევ საკმაოდ მოკრძალებულია. რატომ?** ამას საკმაოდ ბევრი მიზეზი აქვს.

დაბალნახშირბადიანი ტექნოლოგია ხშირად დამატებითი ხარჯების პრობლემას აწყდება. დაბალნახშირბადიანი ინვესტიციების გაზრდისთვის საჭირო იქნება ამ ბარიერების იმგვარად დაძლევა, რომ პროექტის მიმართ ნაგულისხმევი ან რეალური რისკი შემცირდეს იმ დონეებზე, რომლის შერბილებაზეც ბაზარი შეძლებს. რომელი ბაზარი? ნახშირბადის ბაზრები? ნახშირბადის ფასები?

კერძო სექტორი ინვესტიციას იქ განახორციელებს, სადაც ადეკვატურ მოგებას მიიღებს იმ რისკისთვის, რაზეც ის მიდის ძირითადი პროექტის საქმიანობაში. ეს რისკი მრავალი ფაქტორის ფუნქციას წარმოადგენს, როგორცაა: აღქმული საინვესტიციო კლიმატი, პოლიტიკის სტაბილურობა, ფასების სიგნალები.

- ▶ ამ რისკებიდან ბევრის შერბილება შეიძლება ბაზრის მიერ; თუმცა, თუ არსებობს ხარვეზი დაფინანსებაში, ან თუ შერბილების ხარჯი ძალიან გაიზრდება, კერძო სექტორი ინვესტიციას არ ჩადებს.
- ▶ **ნახშირბადის ფასი და ნახშირბადის მდგრადი ბაზრები** შემოსავლების გაზრდას უზრუნველყოფს, რაც ემისიების შემცირებისთვის განხორციელებულ ზოგიერთ პროექტს სჭირდება შემოსავლის გენერირებისთვის, რაც კომპენსაციის სახით არის საჭირო კერძო სექტორისთვის, არსებული რისკების პირობებში.
- ▶ ასეთი ფასისა და ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, საჭირო იქნება საჯარო დაფინანსების გონივრული გამოყენება, კერძო სექტორის ინვესტიციების დაჩქარებისთვის.

ნახშირბადის ნებაყოფლობითმა ბაზრებმა შეიძლება გადამწყვეტი როლი შეასრულოს საქართველოში, რათა კერძო ფინანსები ჩადებული იქნას ტრანსფორმაციულ ნახშირბადის პროექტებში, რომელთა გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების გაზომვა და გაკვლევა მკაფიოდ იქნება შესაძლებელი.

ეს არის საქართველოს მთავრობის მოლოდინები და მოქმედების ღია მიზნები „პარიზის შეთანხმების“ ცნობილი მე-6 მუხლის განსახორციელებლად უცხო ქვეყნებთან (მაგ. იაპონია, შვეიცარია) თანამშრომლობით.

კერძო სექტორის მონაწილეობის უზრუნველყოფის მიმართ სამი ძირითადი გამოწვევა არსებობს:

1. ნახშირბადის კრედიტის მიმწოდებლებისთვის, **პრობლემას წარმოადგენს სამომავლო მოთხოვნის მრუდის არარსებობა ნახშირბადის კრედიტებზე**, რომელიც მიმწოდებლებს მინიშნებას მისცემდა, რომ ახალ პროექტებში ჩადეთ ინვესტიცია, სამომავლო მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.
2. მეორე გამოწვევა არის **ნახშირბადის კრედიტების მუდმივი დაბალი საბაზრო ფასი**, რაც გამოწვეულია ნახშირბადის კრედიტების სიჭარბით, რაც ხელმისაწვდომია **ნებაყოფლობით ბაზარზე**, და რომელიც ძირს უთხრის ბიზნესს ახალ და მაღალხარისხიან პროექტებში ინვესტირებისთვის, რათა სათანადო მოგების მაჩვენებელს მიაღწიონ.

საერთაშორისო დონეზე, სათბურის აირების ემისიების ღირებულება – სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მთავრობის მიერ დადგენილი ნახშირბადის ფასი, ჯერ კიდევ ძალიან დაბალია. ნახშირბადის ფასი, რომლის ფასიც ტონაზე დაახლოებით 5-10 აშშ დოლარია, ზუსტად არ ასახავს მის მიერ მიყენებული ზიანის ნამდვილ ღირებულებას.

რეზულტებს გარემოს, ჯანმრთელობისა და საზოგადოების დაზიანების თვალსაზრისით (წყარო: მსოფლიო ბანკი). ერთი ტონა ნახშირბადის ფასი 100 აშშ დოლარზე მეტი უნდა იყოს, რათა სწორად აისახოს მისი რეალური ღირებულება (შტიგლიცი და შტერნი, 2017).

რას ნიშნავს, თუ საქართველოს კერძო სექტორი შემარბილებელ პროექტებში ინვესტიციებით დაინტერესდება? ნახშირბადის დაბალი ფასი (რის შედეგადაც კომპანიებისთვის ემისიების ღირებულება დაბალია) ნიშნავს, რომ მწვანე პროექტები არ იზიდავს საკმარის ინვესტიციებს, რადგან მოგების კოეფიციენტი ძალიან დაბალია. თუ ამ პროექტების მიერ გამოიმუშავებული ნახშირბადის თითო კრედიტი 10 აშშ დოლარზე მეტ ფასად არ გაიყიდება, მაშინ ინვესტორები (როგორც საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები, ასევე ადგილობრივი ბანკები) არ იქნებიან დაინტერესებულნი ამ პროექტებში ინვესტიციით.

მაგალითად, ბიზნესი არაფერს არ აკეთებს დეკარბონიზაციის მცდელობების მხარდასაჭერად სოფლის მეურნეობის სექტორში, ან ნახშირბადის დონის შემცირების, უტილიზაციის და შენახვის მხრივ მაშინ, როდესაც ნახშირბადის კრედიტის ფასი დაბალია.

3. ნახშირბადის კრედიტის მოთხოვნის მხრივ, საქართველოში ბევრი კომპანიისთვის ამჟამად უცნობია, თუ როგორ მუშაობს ნახშირბადის ნებაყოფლობითი ბაზარი და როგორ შეუძლია მას როლი ითამაშოს წმინდა ნულოვანი სამიზნის მიღწევაში. დარგობრივ ორგანოებს, როგორცაა „ნახშირბადის შემცირებისა და კომპენსაციის საერთაშორისო ალიანსი“ (ICROA), ანგარიშგების სტანდარტებს, როგორცაა „მეცნიერებაზე დაფუძნებული სამიზნეების ინიციატივა“ (SBTi) და ინიციატივებს, როგორცაა „სამუშაო ჯგუფი ნახშირბადის ნებაყოფლობითი ბაზრების მასშტაბის საკითხებზე“, დახმარების განევა და ხელმძღვანელობა შეუძლიათ იმ კომპანიებისთვის, რომლებიც ნახშირბადის ნებაყოფლობით პროექტებს აფინანსებენ კორპორაციული მიზნების მისაღწევად.

კლიმატის დაფინანსების გაძლიერებაში კერძო სექტორის როლი უმნიშვნელოვანესია, განსაკუთრებით იმ მოცემულობაში, როცა მთავრობების მხრიდან განხორციელებული ქმედება არასაკმარისია პარიზის შეთანხმების განსახორციელებლად.

ენერგეტიკისა და მდგრადი განვითარების სტრატეგიის შემუშავებისას ქართველი პოლიტიკის შემმუშავებელი პირები ხშირად ამახვილებდნენ ყურადღებას უფრო დიდი კომპანიების და ბანკების როლზე დაფინანსების გამოყოფასა და განხორციელებაში.

მათ უფრო მკაფიოდ უნდა განიხილონ მცირე და საშუალო ბიზნესის როლი ეროვნული სამიზნეების მიღწევაში. აღნიშნულ სამიზნეებში უნდა შედიოდეს ისინი, რაც დაკავშირებულია როგორც ენერგოეფექტურობასთან, ასევე სხვა სახის რესურსების ეფექტურობასთან:

- ▶ მცირე და საშუალო ბიზნესების უკეთ გათვალისწინება მწვანე დაფინანსების ჩარჩოების შემუშავებისას.

არ არის ნათელი, თუ რამდენად იქნა გათვალისწინებული შედარებით პატარა მცირე და საშუალო ბიზნესები „ენერგოეფექტურობის ეროვნული სამოქმედო გეგმის“ (NEEAP) და ახლა LT-LEDS-ის პროექტის შემუშავებაში.

- ▶ მცირე და საშუალო ბიზნესების როლის გაგება ეროვნული პოლიტიკისა და მიზნების განხორციელებაში.

საქართველოს გაცხადებული აქვს ვალდებულება, რომ კლიმატის და მდგრადი განვითარების მიზნებს მიაღწიოს მთელი რიგი საჯარო და კერძო სტრატეგიების მეშვეობით. ამ ტიპის პროგრამებისთვის მცირე და საშუალო საწარმოები და მათი მონაწილეობა აშკარად უნდა იყოს გათვალისწინებული.

► **მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსების მოთხოვნების უკეთესად შეფასება, მწვანე ტრანზიციის ფარგლებში.**

საჭიროა უფრო მყარი შეფასებები, რომლებიც ეროვნულ დონეზე კლიმატის დაფინანსების სავარაუდო მაჩვენებლებს შეამცირებს, რაც NDC-ის შედეგად არის გამოვლენილი. ეს გვიჩვენებს, თუ დაახლოებით რა პროცენტის დაფინანსებას მოითხოვდა საჯარო და კერძო პირები, ასევე, მცირე და საშუალო ბიზნესი.

ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება პრიორიტეტული თემატური სფეროებისთვის, როგორცაა ენერჯოეფექტურობა, შენობების განახლება და მცირემასშტაბიანი განახლებადი ენერჯია.

მწვანე და მდგრადი ინვესტიციები ეფექტურად სიცოცხლისუნარიანი აღარ არის, როცა ქართული მცირე და საშუალო ბიზნესი უფრო დიდ გამოწვევებს აწყდება ფინანსებთან წვდომის კუთხით.

ქართულ მცირე და საშუალო ბიზნესებს ინვესტიციების ჩადება და თავიანთი ბიზნესის მოდერნიზება მოუწევთ კონკურენტუნარიანობის გასაუმჯობესებლად.

კერძო სექტორის განვითარების სტრატეგიისთვის გაცემული რეკომენდაციები ხუთ პრიორიტეტულ მოქმედებას მოიცავს:

► **სახელმწიფო გრანტების შესახებ საკანონმდებლო ჩარჩოს ცვლილება**

საქართველომ ცვლილებები უნდა შეიტანოს სახელმწიფო გრანტების გაცემის მარეგულირებელ კანონებში.

გრანტების შესახებ კანონის (PoG, 1996) ცვლილება წინაპირობაა მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის ეფექტური პოლიტიკის შემუშავებისთვის, რომელსაც ახორციელებს EDA / „აწარმოე საქართველოში“, „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიის სააგენტო“ (GITA) და სხვა ინსტიტუტები, რომლებიც იმ კომპანიებისთვის ფინანსური დახმარების განწვევას ისახავენ მიზნად, ვისაც საქართველოში საბანკო კრედიტებზე ხელი რთულად მიუწვდება.

► **მცირე და საშუალო ბიზნესის საბანკო შესაძლებლობების გაუმჯობესება**

საქართველომ თავისი საბანკო სექტორის შესაძლებლობები უნდა გააუმჯობესოს, რათა მცირე და საშუალო სანარმოებს უკეთესად მოემსახუროს.

აკეთებს რა განსაკუთრებულ აქცენტს მწვანე დაკრედიტებაზე, საქართველოს მთავრობამ მთავარ პარტნიორებთან უნდა ითანამშრომლოს, როგორცაა საქართველოს ეროვნული ბანკი და საქართველოს საბანკო ასოციაცია, რათა შემუშავებული იქნას შესაძლებლობების ამაღლების პროგრამები მცირე და საშუალო ბიზნესზე ორიენტირებული საბანკო საქმიანობის განსახორციელებლად.

► **ფინანსური განათლების ხელშეწყობა მცირე და საშუალო მენარმეებისთვის**

საქართველოს შეუძლია, რომ ფინანსური განათლების ინიციატივები განახორციელოს მენარმეების ფინანსური უნარების გასაუმჯობესებლად.

მცირე და საშუალო სანარმოებს მეტი ცოდნა სჭირდებათ ბაზარზე არსებული ფინანსური პროდუქტების შესახებ, აგრეთვე იმაზე, თუ როგორ უნდა მოამზადონ დამატებითი ბიზნესგეგმები და გონივრული ფინანსური უწყისები სესხის განაცხადებისთვის.

„აწარმოე საქართველოში“ უკვე დგამს გარკვეული პოზიტიურ ნაბიჯებს. შემდგომი მხარდაჭერის ორგანიზებაც არის შესაძლებელია რეგიონული სავაჭრო პალატების მეშვეობით და, სავარაუდოდ, საქართველოს ეროვნული ბანკის და საბანკო ასოციაციის მონაწილეობით.

- ▶ **საკრედიტო გარანტიის სქემების გაფართოება, როგორც რისკების გაზიარების მექანიზმი კრედიტორებს (ბანკებს), მსესხებლებს (მცირე და საშუალო საწარმოები) და თავდებში მყოფ მხარეს (სახელმწიფო ან კერძო სუბიექტს) შორის.**

საქართველოს მთავრობამ ახალი საკრედიტო საგარანტიო სქემა (CGS) შემოიღო, რათა ხელი შეუწყოს მცირე და საშუალო ბიზნესის ფინანსურ ჩართულობას და უზრუნველყოფასთან დაკავშირებული რთული მოთხოვნები გადაიჭრას. ამ სქემის ბიუჯეტი საკმაოდ მოკრძალებულია და მისი შემდგომი კორექტირება თუ გაფართოება შესაძლებელია.

საკრედიტო საგარანტიო სქემა ეფექტურად ქმნის ბაზარზე დაფუძნებულ სტიმულებს ბანკებისთვის, რათა კერძო სექტორზე უფრო მეტი სესხი გასცენ.

- ▶ **ალტერნატიული არასაბანკო და კაპიტალის დაფინანსების გაუმჯობესება მცირე და საშუალო ბიზნესისთვის.**

ვენჩურული კაპიტალის გარემო საქართველოში კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს, რათა ხელი შეუწყოს კაპიტალზე გაუმჯობესებულ წვდომას კერძო და პერსპექტიული ბიზნესებისთვის. ფონდი კატალიზატორის როლს ითამაშებს კერძო კაპიტალისთვის და ადრეული ინვესტიციების ერთობლივად განხორციელებას უზრუნველყოფს მაღალი ზრდის პოტენციალის მქონე მცირე და საშუალო საწარმოებში.

საჯარო სექტორის ჩართულობა შეიძლება ეტაპობრივად შეწყდეს, კერძო ბაზრების მომნიჭების პარალელურად. მთავრობას ასევე შეუძლია ხელი შეუწყოს აქტივებზე დაფუძნებული დაფინანსების ალტერნატიულ ფორმებს. ეს შეიძლება იყოს ლიზინგი და ფაქტორინგი (ანუ დებიტორული დავალიანების მიყიდვა მესამე მხარისთვის). გარდა ამისა, მას შეუძლია ხელი შეუწყოს ინფორმირებულობის ამაღლებას საინვესტიციო შესაძლებლობების შესახებ და მხარი დაუჭიროს „ბიზნესის ანგელოზთა“ ქსელის შექმნას, რათა უზრუნველყოს ექსპერტიზა და კაპიტალი მიზნობრივი ღონისძიებების მეშვეობით.

„დონორთა დაფინანსების პოტენციური წყაროები“ და „დონორების მხრიდან თანადაფინანსების შეფასება“ ევროკავშირის დაფინანსებას მოიცავს ერთობლივ პრიორიტეტულ სფეროებში, როგორცაა დაბალანსებული ტერიტორიული განვითარება, მწვანე ინიციატივები და ჯანმრთელობა. დაფინანსების პოტენციური შესაძლებლობები რეგიონულ დონეზე შეიძლება იყოს შესწავლილი ისეთ სფეროებში, როგორცაა ფინანსებზე წვდომა, ციფრული ტექნოლოგიები და მწვანე განვითარება.

„მწვანე ქალაქების პროგრამის“ ფარგლებში, რომელსაც მწვანე კლიმატის ფონდი (GCF) უჭერს მხარს, დაფინანსება შეიძლება გამოიყოს ტექნიკური დახმარებისა და ინვესტიციების მხარდასაჭერად ისეთი მიმართულებით, როგორცაა მუნიციპალური ინფრასტრუქტურა, ტრანსპორტი, შენობები, მრეწველობა, ენერჯეტიკა, წყალი, მყარი ნარჩენები და მიწათსარგებლობა.

ასევე შეიძლება დამატებითი მხარდაჭერის მოძიება მულტიდონორული ანგარიშებიდან. დაფინანსების პოტენციურ წყაროებში შედის „გარდაქმნის ადრეულ ეტაპზე მყოფი ქვეყნების ფონდი“ (ETC) და „მცირე ბიზნესზე ზემოქმედების ფონდი“ (SBIF), მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისა და ზრდის მხარდასაჭერად. E5P (აღმოსავლეთი ევროპის ენერჯოეფექტურობის და გარემოს დაცვის პარტნიორობა) საქართველოში მდგრადი ინფრასტრუქტურული პროექტების საგარანტო დაფინანსების კიდევ ერთი პოტენციური წყაროა. საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობის დონე ქვემოთ არის შეჯამებული სექტორის და წვლილის ტიპოლოგიის მიხედვით:

EBRD ბიზნესის სფეროები														
		სექტორები										ურთიერთგადასაყვანი თემები		
		მრეწველობა, კომერცია და აგრობიზნესი					მდგრადი ინფრასტრუქტურა		საფინანსო ორგანიზაციები			სტრატეგიული ინიციატივები		
საორიენტაციო საშუალო წლიური ინვესტიციები/გრანტები (მლნ. ევრო, 2016-2020)		აგრობიზნესი	წარმოება და სერვისები	ქონება და ტურიზმი	TMT	ბუნებრივი რესურსები	ელექტროენერჯია	ინფრასტრუქტურა	საბანკო მომსახურება	არასაბანკო საფინანსო ორგანიზაციები	მწვანე ეკონომიკა	ინკლუზიური და სქესი	ადგილობრივი ვალუტა და კაპიტალის ბაზრები	მცირე ბიზნესი
ADB *	308	€					€	€	€			€	P	
EIB	270	€					€	€	€					€
AFD **	203						€					€		€
KfW	188						€	€				€		
World Bank	123	€		€	€			€			€	€		
EU	120	€	€					€			€	€	€	€
USAID	47	€						€				€	P	€
IFC	47		€				P		€	€	€			€
AIIB	45						€	€	€					€
BSTDB	32						€		€					€
EBRD	300	€	€	€	€	€	€	€	€	€	€	€	€	€

€ მნიშვნელოვანი ინვესტიციების სფერო

P მნიშვნელოვანი პოლიტიკური ჩართულობის სფერო

აქცენტი უმეტესწილად კერძო სექტორზე

აქცენტი უმეტესწილად სახელმწიფო სექტორზე

მცირე და საშუალო ბიზნესის კლასიფიკაციამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს იმაზე, თუ საით წარიმართება მწვანე მწვანე ფინანსები ქართული ეკონომიკის შიგნით, კერძოდ, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების (IFIs) მიერ.

როგორც პირველ ნაწილში აღინიშნა, ბოლო დრომდე, საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განსაზღვრისათვის „საქართველოს საგადასახადო კოდექსი“ და „კანონი ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ“ გამოიყენებოდა, თუმცა, ეს განმარტებები ერთმანეთისგან განსხვავდებოდა.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა ბიზნესები სხვა მიდგომით აღრიცხა. ამ განმარტებების თანმიმდევრულობის უზრუნველსაყოფად, 2017 წლის მარტში სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა მცირე და საშუალო ბიზნესის აღრიცხვის ახალი მეთოდოლოგია დაამტკიცა, რომელიც 2018 წლიდან ამოქმედდა.

კატეგორია	დასაქმებულთა #	საშუალო წლიური ბრუნვა
მცირე	<50	<12 000 000
საშუალო	51-249	12-60 000 000
დიდი	>250	>60 000 000

შედარებისთვის, ევროკავშირი მცირე და საშუალო ბიზნესს შემდეგნაირად განმარტავს:

კატეგორია	დასაქმებულთა #	წლიური საშუალო ბრუნვა (ევრო)	სულ აქტივები (ევრო)
ერთი მენარმე / მიკრო	11-50	<2 000 000	<2 000 000
მცირე	11-250	<10 000 000	<10 000 000
საშუალო	51-250	<50 000 000	<43 000 000
დიდი	>250	>50 000 000	>43 000 000

მაგალითად, საქართველოს ბანკი კლასიფიკაციის სხვადასხვა კრიტერიუმებს იყენებს. კომპანიებს, რომელთა წლიური ბრუნვა 1.5-დან 20 მილიონ ლარამდეა, ხოლო გაცემული კრედიტების მოცულობა 150,000-დან 2 მილიონ დოლარამდე მერყეობს, საქართველოს ბანკის კლასიფიკაციაში მინიჭებული აქვთ მცირე და საშუალო სიდიდის სანარმოს სტატუსი.

ეკონომიკის სტრუქტურის გათვალისწინებით, ბევრი მსესხებელი, რომლებიც ადგილობრივი ბანკების მიერ კორპორაციულ კლიენტებად განიხილება, საქართველოში არსებული კლასიფიკაციის მიხედვით, ევროკავშირისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების დეფინიციის თანახმად, მს-ს სტატუსის მქონე შეიძლება იყოს.

საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების (სფი) საკრედიტო ხაზები, როგორც წესი, საერთაშორისო (მაგ. ევროკავშირის) სტანდარტებს იყენებს. შედეგად, ქართულმა ბანკებმა უფრო დიდი თანხები გასცეს უფრო მცირე რაოდენობის კორპორაციულ კლიენტებზე (მაგ. 1 მილიონი+ აშშ დოლარის ოდენობის სესხები), მცირე ზომის მცირე და საშუალო ბიზნესზე ფოკუსირების მაგივრად ქართულ კონტექსტში.

რაც შეეხება კერძო სექტორთან დაკავშირებულ მოსაზრებებს და გამოწვევებს, როგორც NDC-ის წარმატებით განხორციელების ფუნდამენტურ ელემენტს (ამ საკითხს უფრო ტექნიკურად განვიხილავთ CSAP-ის შეფასებისთვის დათმობილ თავში), ჩვენ უნდა განვამტკიცოთ გზავნილი, რომ მცირე და საშუალო სანარმოები კვლავაც აწყდებიან მნიშვნელოვან ბარიერებს, როდესაც მწვანე დაფინანსებაზე წვდომას ცდილობენ.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ზოგადი საკითხები, მათ შორის საპროცენტო განაკვეთების დონე, ვადა და უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მოთხოვნები და ა.შ.

თუმცა, რაც შეეხება კონკრეტულად მწვანე დაფინანსებას, რეკომენდებულია შემდგომი ქმედებების განხორციელება იმ პირობების გასაუმჯობესებლად, რომლითაც მცირე და საშუალო სანარმოები ამგვარ დაფინანსებაზე წვდომას შეძლებენ:

▶ **ახალი მწვანე ფინანსური ინსტრუმენტების მოძიება**

მაგალითად, შეღავათიანი მწვანე სახსრები/ფონდები, რათა ხელი შეუწყოს გარემოსდაცვითი ფინანსებით სარგებლობაზე უფრო ფართო წვდომას და გაუმჯობესებულ პირობებს მს-თვის გარემოსდაცვითი დაფინანსების მისაღებად, შეზღუდულ საბაზრო სეგმენტში.

ან, უფრო კარგი ხარისხის მწვანე კრედიტის შეთავაზება, როგორცაა შერეული ფინანსირება, უფრო დაბალი განაკვეთით და ხანგრძლივი ვადით, ან რისკების შერბილების მექანიზმები მწვანე კრედიტების პორტფელისთვის, როგორცაა ე.წ პირველი დანაკარგის და ნაწილობრივი საკრედიტო გარანტიები.

► **მწვანე ფინანსების წყაროების გაფართოება მცირე მცირე და საშუალო ბიზნესისთვის**

უფრო პატარა სიდიდის მსს-ს ძალიან უჭირთ საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებიდან მწვანე კრედიტების მიღება.

საქართველოს მთავრობამ მწვანე ფინანსების მიღების სხვა საშუალებებზეც უნდა იზრუნოს (მაგ. მიკროსაფინანსო ორგანიზაციები), ამას გარდა, როგორმე უნდა შეარბილონ ფინანსირების მაღალი ხარჯი და უფრო მოკლე ვადები.

► **შელავათიანი პირობების მიცემა**

საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები მონადინებულები არიან, რომ არ მოახდინონ ენერჯო ეფექტურობისა და განახლებადი ენერჯიების დაფინანსებაზე გამიზნული კომერციული სესხების ბაზრის დეფორმირება.

თუმცა, თავად **ფინანსების ღირებულება კვლავ პრობლემად რჩება.**

საერთაშორისო ფინანსურმა ინსტიტუტებმა უნდა წაახალისონ **მწვანე დაკრედიტების ინსტრუმენტების დიფერენციალური ფასები**, ხელი შეუწყონ საპროცენტო განაკვეთის შეღავათების გადაცემას კერძო სექტორზე (ბოლო მსესხებლებზე) და შეამცირონ სავალუტო ზემოქმედება მცირე და საშუალო ბიზნესის ინვესტიციებისთვის ენერჯოეფექტურობასა და განახლებად ენერჯიაში.

► **არსებული ინსტიტუციური სტრუქტურების გამოყენება მსს-სთვის დაფინანსების უზრუნველსაყოფად:**

სახელმწიფო ფონდების ან სუბიექტების როლი, როგორცაა სს „საპარტნიორო ფონდი“, სს „საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდი“ ან „ანარმოე საქართველოში“, შესაძლებელია გაფართოვდეს, რათა მწვანე უფლებამოსილებები შეითავსონ და ხელი შეუწყონ ფინანსური ნაკადების გადამისამართებას კლიმატისა და მწვანე ზრდის პროექტებში.

ეს განსაკუთრებით ეხება ნაკლებად განვითარებულ სექტორებს ან კომპანიებს, როგორცაა მცირე და საშუალო ბიზნესი.

► **„ანარმოე საქართველოში“ სააგენტოს როლის განახლება და განვითარება, რათა ყველაზე სასარგებლო მექანიზმი გახდეს საქართველოში მწვანე ინვესტიციების მასშტაბის გაფართოებისთვის.**

„ანარმოე საქართველოში“ სააგენტოს უკვე აქვს ჩამოყალიბებული ქსელი და პლატფორმა იმისათვის, რომ თავი მოუყაროს შედარებით პატარა მასშტაბის კომპანიებს მთელს ქვეყანაში.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ, ასევე „ანარმოე საქართველოში“ სააგენტომ უნდა განიხილონ მცირე და საშუალო ბიზნესისთვის გრანტების გაცემა, რათა საკონსულტაციო ხარჯების ნაწილი დაფარონ რესურსების ეფექტურობის, გარემოსდაცვითი მართვის სისტემის ან სხვა გარემოსდაცვითი ღონისძიებების განსახორციელებლად.

7. მიზნები და დასკვნები

საქართველომ ბოლო დროს აქტიურად გაზარდა თავისი ვალდებულებები კლიმატის ცვლილების შერბილების და გარემოსდაცვითი ინსტიტუციების შესაძლებლობების გაძლიერების მიმართ, თუმცა შემდგომი გაუმჯობესებისთვის ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი.

მიუხედავად იმისა, რომ საკანონმდებლო ცვლილებებით და ინსტიტუციური ჩარჩოს ჩამოყალიბებით საქართველო აშკარად ავლენს ინიციატივას ამ სფეროში, NDC-ის მიზნის მისაღწევად მყარი საგზაო რუკების შედგენის მოსამზადებელი ეტაპი ჯერ კიდევ ძალიან ადრეულ ეტაპზეა.

საქართველოს ამჟამინდელი პოლიტიკის სცენარი მცირედ არის განვითარებული და მოსალოდნელია, რომ საქართველოს მთავრობა მალე გასცემს ძირითად მითითებებს თავისი NDC-ის მიზნის მისაღწევად (მაგ. LT-LEDS).

საქართველოს შერბილების პოტენციალის შეფასება ცხადყოფს, რომ 2030 წლისთვის ემისიების შემცირების პოტენციალია მინიმუმ 8.1 მგტ CO₂ე, სხვადასხვა სექტორების მასშტაბით. **ეს საშუალებას მისცემს საქართველოს, რომ შეასრულოს NDC-ით გათვალისწინებული პირობითი, თუმცა, არა უპირობო ვალდებულება.**

სატრანსპორტო სექტორში მსუბუქი ავტოსატრანსპორტო საშუალებების (LDV) პარკის მოდერნიზაცია სამგზავრო ტრანსპორტის ემისიების ოპტიმიზებისთვის და დაბალემისიანი მანქანების შემოღების ხელშეწყობა **მაღალ პრიორიტეტს** წარმოადგენს, ურბანული საზოგადოებრივი ტრანსპორტის სექტორის მომსახურებისა და ხარისხის გაუმჯობესებასთან ერთად. მსუბუქი ავტომობილების უფრო ნაკლებად გამოყენება და საზოგადოებრივ ტრანსპორტზე გადასვლა ასევე დამატებით შეუწყობს ხელს ჰაერის დაბინძურების შემცირებას (საქართველოში ურბანული ჰაერის დაბინძურების მაჩვენებელი ერთ-ერთი ყველაზე საშიშია მსოფლიოში).

საქართველოს **მრეწველობის** სექტორს ასევე გააჩნია დეკარბონიზაციის პოტენციალი, ენერგეტიკული აუდიტის და მძლავრი „საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის“ (BAT) სისტემის შექმნით, ხარჯთაღმწიკით ენერგოეფექტურობის პროექტების შესაფასებლად. ამ სისტემას შეუძლია როგორც ინდუსტრიის მოდერნიზაცია, ასევე საფუძვლის შექმნა მწვანე ზრდის უზრუნველსაყოფად მომავალში.

ნარჩენების სექტორი ცოტა ხნის წინ ახალ მოდელზე გადავიდა, როცა უკვე ხდება ნარჩენების გატანა დიდ რეგიონულ ნაგავსაყრელებზე, რაც მეთანის შეგროვების და უტილიზაციის პროექტების პოტენციალს წარმოქმნის.

საქართველოში **შემარბილებელ ქმედებებს რამდენიმე საერთო თემა აფერხებს**, რომელთა შორისაა არასაკმარისი საკანონმდებლო რეგულაციები ემისიებთან დაკავშირებით, არასაკმარისი შიდა ექსპერტიზა და ტექნოლოგიები, დაფინანსების შესაძლებლობები და ინფრასტრუქტურა.

დონორთა დაფინანსება საჭირო იქნება სტრატეგიული მიზნების მისაღწევად, კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და საერთაშორისო კავშირების გაძლიერებისთვის. უფრო მეტიც, შეღავათიანი ფინანსების გამოყენება ისეთი ინიციატივების მხარდასაჭერად, როგორცაა მწვანე ტრანზიცია, განახლებადი ენერჯის სიმძლავრეები, ხარისხიანი ინფრასტრუქტურა (მაგ. წყალი, ჩამდინარე წყლები, ენერჯია), ტრანსსასაზღვრო დაკავშირება, სატრანსპორტო კავშირები, ციფრული ინფრასტრუქტურა; საკონსულტაციო მხარდაჭერა, რისკის, მონაწილეობის და შესაძლებლობების ამაღლების საკითხებზე, რათა უზრუნველყოფილი იქნას ფინანსებზე წვდომა სერვისებზე დაბალი წვდომის მქონე სემინტებისთვის (მაგ. სქესი, ახალგაზრდობა, ადგილობრივი მცირე და საშუალო საწარმოები); ტექნიკური დახმარება თანაბარი შესაძლებლობების, უნარების განვითარებასა და მუშახელში გენდერული დისბალანსის შესამცირებლად და პოლიტიკის დიალოგისთვის, მწვანე ტრანზიციაზე მიმართული მმართველობის გასაძლიერებლად; მარეგულირებელი და სამართლებრივი რეფორმები ბიზნეს კლიმატის გაჯანსაღებისთვის.

და ბოლოს, საქართველოს NDC-ის დაკავშირება გრძელვადიან შემარბილებელ სტრატეგიებთან გადამწყვეტი იქნება რესურსების ეფექტური გამოყენების უზრუნველსაყოფად, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კლიმატის ცვლილებაზე რეაგირებისთვის კოვიდ-19-ის კრიზისის განმავლობაში და შემდეგ პერიოდში.

LT-LEDS-ისთვის, ან/და გრძელვადიანი მიზნების და NDC-ისთვის განხორციელებული კოორდინირებული პროცესებით უფრო ეფექტური ხდება გრძელვადიანი და მოკლევადიანი შესაბამისობა, რაც თავიდან აგვაცილებს ძალისხმევის დუბლირებას და შესაძლებელს გახდის ინფორმაციის რეგულარულად გაზიარებას ამ ორ მხარეს შორის.

LT-LEDS და NDC შესაბამისობაში უნდა იყოს, inter alia, ინსტიტუციური მოწყობის, პროგრესის მონიტორინგისა და შეფასების სისტემების და გადასინჯვის ან განხილვის ციკლების თვალსაზრისით. ამ მხრივ, კარგი საწყისი მომენტი შეიძლება იყოს იმის უზრუნველყოფა, რომ ორივე პროცესის ზედამხედველობა ერთი და იმავე ხელმძღვანელი უწყების მიერ მოხდეს.

NDC-ის და LT-LEDS-ის შესაბამისობის კონტექსტში, საქართველოსთვის შეიძლება სასარგებლო იყოს MRV-ის (მონიტორინგი, ანგარიშგება და ვერიფიკაცია) და M&E-ის (მონიტორინგი და შეფასება) სისტემების მოწყობა, რომლებიც საერთოა როგორც NDC-სთვის, ასევე LT-LEDS-ისთვის. გარდა ამისა, MRV და M&E სისტემებს, რომლებიც საერთოა როგორც LT-LEDS, ასევე NDC-სთვის, ასევე შეუძლია ხარჯების შემცირება და ინსტიტუციური სტრუქტურების გამარტივება, რადგან მათთვის საერთო იქნება პერსონალის, მონაცემთა შეგროვების და მართვის პროცესები.

LT-LEDS-ის და NDC-ების MRV და M&E სისტემების კოორდინაციის მიზნით, შეიძლება სასარგებლო იყოს ძირითადი ინდიკატორების იდენტიფიცირება, რომლებიც საერთოა როგორც NDC-ის, ასევე LT-LEDS-ისთვის.

საქართველო აქტიურად მისდევს „პარიზის შეთანხმების“ მე-6 მუხლის განხორციელების სტრატეგიას რამდენიმე ქვეყანასთან ერთად. იაპონიამ ერთობლივი დაკრედიტების მექანიზმი შექმნა 2010 წელს, განვითარებად ქვეყნებთან მრავალ სექტორში შემარბილებელი ღონისძიებების განსახორციელებლად თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით. იაპონიამ ახლახან საქართველოსთანაც გააფორმა ხელშეკრულება.

2013 წელს შვეიცარიის მთავრობამ **Climate Cent Foundation**-ს უფლებამოსილება მიანიჭა, რომ თავისი აქტივების დარჩენილი ნაწილი 100 მილიონი შვეიცარიული ფრანკის ოდენობით – სულ მცირე 20 მილიონი – მე-6 მუხლით გათვალისწინებული საპილოტე ღონისძიებების დასაფინანსებლად გამოეყენებინა, დაინტერესებულ ქვეყნებსა და კერძო სექტორთან ერთად, 2032 წლამდე. 2030 წლისთვის, Climate Cent Foundation იმედოვნებს, რომ შეძლებს 20 მილიონ ტონაზე მეტი CO₂-ის შემცირება დააფინანსოს, რითაც შვეიცარიის მხრიდან სათბურის აირების ემისიების 5%-ზე მეტი კომპენსირდება 2021-2030 წლების განმავლობაში. 2020 წლის ოქტომბერში შვეიცარიამ და პერუმ ხელი მოაწერეს მსოფლიოში პირველ ორმხრივ შეთანხმებას მე-6 მუხლის ფარგლებში თანამშრომლობის შესახებ.

ცოტა ხნის წინ საქართველომაც გააფორმა თანამშრომლობის შეთანხმება შვეიცარიასთან.

საწყის ეტაპზე, **კერძო სექტორს დასჭირდება**, რომ თავისი მონაწილეობა განიხილოს და სტრატეგიულად დაგეგმოს ნახშირბადის მოხალისეობრივ ბაზრებზე, შერბილების (ენერჯია, მრეწველობა, ნარჩენები) და ადაპტაციის (სოფლის მეურნეობა, სატყეო სექტორი) პროექტებში ინვესტირების გზით.

ნაწილი 3

CSAP-ის შეფასება კერძო სექტორის პერსპექტივიდან

8. ზოგადი ინფორმაცია „კლიმატის ცვლილების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის“ (CSAP) შესახებ საქართველოში

2020 წელს, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, GIZ-ის ტექნიკური დახმარებით საქართველოს 2030 წლის კლიმატის ცვლილების სტრატეგია და 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმა (CSAP) შეიმუშავა.

2021-2030 წწ CSAP იმ ზომებს და ქმედებებს განსაზღვრავს, რომლებიც საქართველოს ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარებას უწყობს ხელს იმგვარად, რომ საქართველომ თავისი საერთაშორისო ვალდებულებების და ეროვნული ამბიციების შესრულება შეძლოს კლიმატის ცვლილების შერბილებისთვის.

CSAP საქართველოს NDC-ის განსახორციელებელი სამოქმედო გეგმის როლს ასრულებს, მაგრამ ასევე მნიშვნელოვანი მიმართულება გააჩნია, რომ ინფორმაცია მიაწოდოს სათანადო და რეალისტური დონის ამბიციის განსაზღვრისთვის, როცა NDC-ის განახლება მოხდება სამომავლო გადახედვის ციკლის ფარგლებში.

სამოქმედო გეგმა CSAP 2-3 წელიწადში განახლდება ხოლმე, რათა შესაბამისობაში იყოს NDC-ისა და NECP-ის მომავალ ვერსიებთან – უზრუნველყოფს რა თანმიმდევრულობას სექტო-

რულ პოლიტიკას, NDC-სა და NECP-ს შორის. „კლიმატის ცვლილების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა“ გრძელვადიან ხედვას განსაზღვრავს სათბურის აირების ემისიების შემცირების მიზნით 2030 წლისთვის, ასევე – კონკრეტულ აქტივობებს ადგენს 2021-2023 წლებისთვის.

2030 წლისთვის სათბურის აირების საერთო ემისიები 29.25 მგტ CO₂ეკვ.-ს არ უნდა აღემატებოდეს. საქმიანობის განხორციელების ჩვეულებრივ რეჟიმში, 2030 წლისთვის ემისიების შემცირების დარგობრივ მიზნებში შედის: ელექტროენერჯის გენერაცია და გადაცემა 15%, მრეწველობა 5%, ტრანსპორტი 15%. გეგმა ასევე ადგენს სამიზნეს, რომ 2015 წლის მაჩვენებელთან შედარებით, 10%-ით გაზარდოს ტყეებში CO₂-ის შთანთქმის სიმძლავრე და შენობებში, სოფლის მეურნეობასა და ნარჩენების მართვაში კლიმატისთვის ხელსაყრელი ტექნოლოგიები იქნას გამოყენებული.

სამოქმედო გეგმა მომზადებულია „პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის №629 დადგენილების შესაბამისად.

ზემოქმედების მნიშვნელობების ისტორიული და საბაზისო ინდიკატორები აღებულია 1990-2015 საქართველოს სათბურის აირების ინვენტარიზაციიდან.

„საბაზისო სცენარის პროგნოზი“ სხვადასხვა მოდელში გამოითვლება და შედეგები LEAP მოდელში გროვდება. ეს ეხება ინდიკატორის მოსალოდნელ ინდექსს იმ შემთხვევაში, თუ ინტერვენცია არ განხორციელდება და შედარებულია ინდიკატორის სასურველ „საბოლოო სამიზნე მნიშვნელობასთან“.

აღნიშნული მიზნის შუალედური შედეგის ინდიკატორის „საბაზისო მოცემულობა“ ეხება ყველაზე ახალ არსებულ და ხელმისაწვდომ მონაცემს და ეს შედარებულია ამ მიზნის შუალედური შედეგის ინდიკატორის შუალედურ და საბოლოო სამიზნე ინდექსებთან.

მიუხედავად იმისა, რომ კლიმატის სამოქმედო გეგმაში ბევრი აქტივობა კერძო სექტორის მიერ ხორციელდება, მათ შესრულებაში საჯარო სექტორის ჩართულობაც მაღალია.

საბიუჯეტო ნაწილში მხოლოდ პირდაპირი, დამატებითი ხარჯების სავარაუდო ოდენობაა ჩართული. შესაბამისად, არაპირდაპირი ხარჯები, მათ შორის საჯარო მოხელეების მიერ გამოყოფილი დრო ბიუჯეტში მითითებული არ არის. კლიმატის ცვლილების შერბილების ღონისძიებების სპეციფიკიდან გამომდინარე, ზოგიერთ შემთხვევაში მითითებულია კერძო სექტორის ინვესტიციები, თუმცა ეს თანხები „კლიმატის ცვლილების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის“ მთლიან ბიუჯეტში არ შედის.

მოცემული ანალიზი ფოკუსირებულია საქართველოს დარგობრივი შერბილების პოლიტიკის გაშუქებაზე კერძო სექტორის გადმოსახედიდან ორი მიზნით: ა) შესაბამისი საქმიანობის თითოეულ სექტორში არსებული ხარვეზების გამოვლენა და გაგება, ბ) დარგობრივი მოქმედების პოტენციალის შესწავლა, საერთაშორისო დონეზე შესადაარებელი შემთხვევების შესაბამის გამოცდილებაზე დაყრდნობით.

იქ, სადაც მოსალოდნელია, რომ CSAP-ით გათვალისწინებული ქმედებები NDC-ის დარგობრივ მიზნებს მიაღწევს, ჩვენ ხაზგასმით გამოვყოფთ ქმედებებს კლიმატის სამიზნეების მისაღწევად, ზრდისა და განვითარების შესაძლებლობით.

იქ, სადაც ჩვენი რწმენით CSAP-ით გათვალისწინებული ქმედებებით სამიზნეები ვერ შესრულდება, ჩვენ შემოგთავაზებთ ქმედებებს, რომლებსაც მათი მიღწევის პოტენციალი გააჩნია.

„კლიმატის ცვლილების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა“ არ შეიცავს პირდაპირ გაიდლაინებს კერძო სექტორის წარმომადგენლებისთვის; თუმცა, დოკუმენტი მიზნად ისახავს მათი მონაწილეობის გაძლიერებას და წახალისებას. ეს ანალიზიც შეეცდება, რომ შემდგომი რეაგირებისთვის საკითხები წარმოადგინოს.

საქართველოს განახლებული „ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილი“ და „კლიმატის ცვლილების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა“ პირველი დოკუმენტებია, რომლებიც საქართველოს ახლადშექმნილი კლიმატის ცვლილების საბჭოს (CCC) მიერ იქნება განხილული.


2021 წელს, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ საქართველოს სახელით მეექვსე და ყველაზე ბოლო ეროვნული ინვენტარიზაცია წარუდგინა „კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს ჩარჩო კონვენციის“ (UNFCCC) სამდივნოს, საქართველოს „მეთხე ეროვნული შეტყობინების“ მეშვეობით. ემისიები საერთო რაოდენობა იყო დაახლოებით 17.76 მგტ CO₂ე 2017 წელს, სადაც ენერჯის მისაღებად წიაღისეული საწვავის წვის შედეგად წარმოქმნილი ემისიები დეტალურად ჩაშლილ მონაცემებს გვანვდის მათი წყაროს შესახებ, ენერჯის საბოლოო მომხმარებელი დარგების მიხედვით და ემისიების პროფილს აჩვენებს სექტორის და ქვესექტორის დონეზე.

ტრანსპორტის (24%), სოფლის მეურნეობის (20%), ენერჯის გენერაციის (17%) და მრეწველობის (17%) დარგები ყველაზე დიდ ემისიებს გამოყოფდა საქართველოში 2017 წელს, ხოლო დანარჩენი გაფრქვევები შენობებსა და ნარჩენებზე მოდის.

CSAP-ისთვის შემუშავებული შემარბილებელი ღონისძიებები საქმიანობის დარგების მიხედვით არის დიფერენცირებული; მიმდინარე ციკლში მხოლოდ ტრანსპორტისა და ნარჩენების სექტორში ემისიების შესამცირებლად მნიშვნელოვანი ღონისძიებები იყო დაგეგმილი, ხოლო სოფლის მეურნეობის, შენობების, მრეწველობისა და ენერჯის გენერაციის სექტორებში მსგავსი რამ არ მომხდარა.

„კლიმატის ცვლილების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა“ ასევე მხარს უჭერს მდგრადი განვითარების მიზნების ფარგლებში საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებების შესრულებას. „სამოქმედო გეგმაში“ გათვალისწინებული ღონისძიებები მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მდგრადი განვითარების მე-13 მიზნის მიღწევას, რომელიც უშუალოდ კლიმატის ქმედებას ეხება.

კერძო სექტორის პერსპექტივიდან, ჩვენ რამდენიმე პოტენციურ პრიორიტეტულ სფეროს გთავაზობთ თითოეულ დარგში გასათვალისწინებლად, რომელიც ასევე შეიძლება იყოს სახელმძღვანელო ან შთაგონების წყარო პოლიტიკის შემუშავებისა და დაგეგმვისთვის, შემარბილებელი პოტენციალისა და ხარჯების შეფასებისთვის, ხელმისაწვდომი ლიტერატურიდან გამომდინარე.



9. განხორციელების სტატუსის ანალიზი კერძო სექტორის პერსპექტივიდან – ენერჯის გენერაცია და გადაცემა

საქართველოში ელექტროენერჯის მოხმარება მნიშვნელოვნად დაბალია ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით, მაგრამ პროგნოზირებულია, რომ ეს მოცემულობა უახლოეს წლებში სტაბილურად გაიზრდება. გასული ათწლეულის განმავლობაში, ელექტროენერჯის მოხმარების დონე ქვეყანაში წლიურად დაახლოებით 4.8%-ით იზრდებოდა (სემეკი, 2019 წ.). საბაზისო სცენარით, 2015 წლის დონესთან შედარებით, 2030 წლისთვის, ამ სექტორში მოსალოდნელია ემისიების დაახლოებით 77%-ანი ზრდა და 6.69 მგტ CO₂ ეკვ.-მდე მიღწევა.

სექტორისთვის CSAP-ის ქმედებების განხორციელების შედეგად მიღწეული იქნება ემისიების პროგნოზირებულ დონეები: 5.47-5.62 მგტ CO₂ე 2030 წელს, რაც პროგნოზირებული ემისიების დონეებიდან დაახლოებით 30%-ით გაუმჯობესებას აჩვენებს ყოველგვარი ქმედების გარეშე. ამ სექტორში საქართველოს განახლებული NDC მიზნად ისახავს ემისიების შეზღუდვას 5.69 მგტ CO₂ე-ზე ქვემოთ 2030 წლისთვის. ეს მიუთითებს, რომ CSAP-ის ყველა ქმედების განხორციელება ამ დარგში დასახულ NDC სამიზნეებს გადააჭარბებს.

ენერჯის გენერაციის და გადაცემის სექტორიდან სათბურის აირების ემისიების რაოდენობა (კბ CO₂ ეკვ.)

ისტორიული	საბაზისო	საშუალო-ვადიანი სამიზნე	საშუალო-ვადიანი სამიზნე	პროგნოზი საბაზისო სცენარით	საბოლოო სამიზნე	დადასტურების წყარო
1990	2015	2024	2028	2030	2030	2030 სათბურის აირების ეროვნული ინვენტარიზაცია
19,855	3,654	4,425	5,212	6,691	5,687 (-15%)	

ზემოთ მოცემული სამიზნეების მისაღწევად, CSAP-ის დაგეგმილ ქმედებებში შედის:

- ▶ განახლებადი ენერჯის (ქარის, მზის, წყლის, ბიომასის) წარმოების მხარდაჭერა
- ▶ თბოელექტროსადგურების საშუალო ეფექტიანობის გაუმჯობესება
- ▶ საქართველოს გადამცემ ქსელში განახლებადი ენერჯის ინტეგრაციის შესაძლებლობების გაძლიერება
- ▶ ენერჯეტიკის სექტორისთვის ახალი პოლიტიკის დოკუმენტებისა და კანონმდებლობის შემუშავება

პოლიტიკის ხარვეზები, რომლებიც კერძო სექტორის ჩართვას მოიცავს ინვესტიციებში, ემისიების შესამცირებლად

საქართველოს ენერჯის გენერაციის და გადაცემის სექტორს ჯერ კიდევ აკლია ეფექტური ფინანსური ინსტრუმენტები. ენერჯის გენერაციის და გადაცემის სექტორში სამი პოტენციური პრიორიტეტული მიმართულება გამოიკვეთა:

1. ნახშირბადის ფასების განსაზღვრის ყოვლისმომცველი სქემის შემოღება

ნახშირბადის ფასების დადგენის ინსტრუმენტები შეიძლება მოიცავდეს ნახშირბადის გადასახადს ან ემისიებით ვაჭრობის სქემას ელექტროენერჯის გენერაციის სექტორში, მაგალითად, ენერჯის მწარმოებლებისთვის ერთი ერთეული წიაღისეული საწვავისთვის გადასახადის დარიცხვის გზით.

ემისიებით ვაჭრობის სქემა შეიძლება ჩართული იყოს ნახშირბადის საგადასახადო პროგრამაში, ან დამოუკიდებლად არსებობდეს, გარკვეული მოქნილობის უზრუნველსაყოფად.

ამჟამად, საქართველოს არ აქვს ნახშირბადის ფასების განსაზღვრის ან ემისიებით ვაჭრობის ყოვლისმომცველი სქემა ან გეგმა ეროვნულ დონეზე.

2. შეღავათიანი ტარიფის შემოღება განახლებადი ენერჯისთვის

შეღავათიანი ტარიფი განახლებადი ენერჯისთვის, რომელიც ასევე მოიცავს მზის PV-ის და ქარის ენერჯიას, უზრუნველყოფს ფინანსურ სტიმულს სწრაფად მზარდი განახლებადი ენერჯის სიმძლავრეებისთვის საქართველოში.

განახლებადი ენერჯისთვის ჯანსაღი და ეკონომიკურად მდგრადი მხარდაჭერის სქემის დანერგვა აუცილებელ გრძელვადიან ფინანსურ სტიმულს და საბაზრო ჩარჩოს უზრუნველყოფს, კერძო სექტორიდან მასშტაბური ინვესტიციების მოსაზიდად.

3. წიაღისეულ საწვავზე სუბსიდიების სრულად გაუქმება

წიაღისეული საწვავის სუბსიდიებამ ბუნებრივ აირზე საქართველოში 2017 წელს საბიუჯეტო დანახარჯების 6.7% შეადგინა.

ეს კი პოტენციური საბიუჯეტო შემოსავლების მნიშვნელოვანი დანაკარგია, რომელიც შეიძლება დამატებითი ენერგოეფექტურობის გაუმჯობესებაზე გადამისამართდეს, რამაც შეიძლება უფრო მაღალი მაკროეკონომიკური სტაბილურობა, გაუმჯობესებული ენერგოსაფრთხოება და დამატებითი გარემოსდაცვითი სარგებელი გამოიწვიოს. თერმული გენერაციისთვის გაზის სუბსიდიება საცალო ფასებს ამცირებს, რაც, თავის მხრივ, ენერჯის დაზოგვას ხელს არ უწყობს.

პოლიტიკის ვარიანტი	ყოვლისმომცველი	ცვლილების აქტივობა	ენერგო-ეფექტურობა	განახლებადი	სხვა დაბალი ნახშირბადი	არა-ენერჯია
დარჯისთვის შემუშავებული ყოვლისმომცველი სტრატეგია	ღია					
ნახშირბადის ფასების განსაზღვრის ყოვლისმომცველი სქემა ან ემისიების ლიმიტი	ნარინჯი					
წიაღისეულ საწვავზე სუბსიდიების გაუქმება	ნარინჯი					
ენერგოეფექტურობის ეროვნული სამიზნე			წვითი			
მაღალეფექტური ელექტროსადგურების მხარდაჭერა			წვითი			
განახლებადი ენერჯის სამიზნე				წვითი		
განახლებადი ენერჯის სამიზნე ელექტროენერჯისთვის				ღია		
განახლებადი ენერჯის მხარდაჭერის სქემა				ღია		
ქსელის ინფრასტრუქტურის განვითარება				წვითი		
მდგრადობის სტანდარტები ბიომასის მოხმარებისთვის				ნარინჯი		

მინიმუმ ერთი პოლიტიკა არის ძალაში	პოლიტიკა დაგეგმილია	არანაირი პოლიტიკა არ მოქმედებს	არ შეესაბამება
-----------------------------------	---------------------	--------------------------------	----------------

მნიშვნელობა კერძო სექტორისთვის

1. ნახშირბადის ფასი ერთგვარ ეკონომიკურ სიგნალს აძლევს დამაბინძურებლებს, რომლებსაც შეუძლიათ გადანყვიტონ, განაგრძონ დაბინძურება და გადაიხადონ ამის საფასური, თუ ამგვარი დამაბინძურებელი საქმიანობა შეაჩერონ, ან ინვესტიცია განახორციელონ ტექნოლოგიაში, რომელიც მათი საქმიანობიდან ემისიებს შეამცირებს.

ტრადიციული ტექნოლოგიები ხელოვნური უპირატესობით სარგებლობენ სხვა მწვანე პრაქტიკებთან შედარებით, რადგან მაღალემისიებიან ტექნოლოგიებთან დაკავშირებული ბევრი გარე ხარჯი არ არის ჩადებული წარმოების ან მოხმარების ფასში. ნახშირბადის ფასის გამოყენებით ამგვარი ხელოვნური უპირატესობა შეიძლება შემცირდეს, ან გაქრეს, რის შედეგად შესაძლებელი გახდება, რომ სხვა, უფრო სუფთა ვარიანტები უფრო კონკურენტუნარიანი და სიცოცხლისუნარიანი გახდეს.

2. **საქართველოს განახლებადი ენერჯის პოტენციალის გაზრდა სჭირდება.** ეს მიმზიდველია ქვეყნისთვის განახლებადი ენერჯის დიდი პოტენციალის გამო, რაშიც მოიაზრება ქარის ენერჯიდან 4 ტვტ/სთ გამომუშავების სავარაუდო პოტენციალი და ხელსაყრელი პირობები მზის ენერჯის გამოსაყენებლად: ყოველწლიურად მზიანი საათების რაოდენობა არის 6,500. განახლებადი ენერჯის ახალი პროექტები შეჩერებულია და ბაზრის ახალი მოდელის ან მხარდაჭერის სქემის შემუშავებას ელოდება.

განახლებადი ენერჯის წილი საქართველოს ელექტროენერჯის წარმოებაში

	საბაზისო	საშუალო-ვადიანი სამიზნე	საშუალო-ვადიანი სამიზნე	საშუალო-ვადიანი სამიზნე	საშუალო-ვადიანი სამიზნე	საბოლოო სამიზნე	დადასტურების წყარო
წელი	2018	2022	2024	2026	2028	2030	საქართველოს ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმა
ოდე-ნობა	78%	72%	76%	82%	85%	87%	

საქართველო მეთოდურად მიიწვევს განახლებადი ენერჯის პოტენციალის რეალიზაციისკენ. ადგილობრივი მზის ტექნოლოგიების ვენდორების თქმით, ბოლო პერიოდში მზის ენერჯის მიმართ ინტერესი გაორმაგდა ან გასამმაგდა კიდევ.

თუმცა, ქვეყნის განახლებადი ენერჯის პოტენციალის განვითარებას თავისი გამოწვევები გააჩნია. მაგალითად, უფრო ფართომასშტაბიანი მზის ელექტროსადგურები მნიშვნელოვან ინვესტიციებს მოითხოვს, რაც თავის მხრივ დამოკიდებულია მიმზიდველი გარემოს შექმნაზე პირდაპირი და უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად. **ენერგეტიკული ბაზრის დერეგულირების პირობებში, ინვესტორებს უჭირთ წინასწარ განსაზღვრონ, რა შეიძლება მოხდეს უახლოეს წლებში.** აქედან გამომდინარე, **განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინსტრუმენტების არსებობა, რომლებიც ინვესტორისთვის გარანტირებულ შემოსავალს უზრუნველყოფენ**, თუნდაც საკუთარი კაპიტალიდან უკუგების მიღების პერიოდში.

დღეს ინვესტორებისთვის მთავარი გამოწვევა არის იმის პროგნოზირება, თუ რა შეიძლება იყოს ელექტროენერჯის ფასი ხვალ. ბაზრის ლიბერალიზაციის რეფორმები დაწყებულია და საათობრივი ვაჭრობის ბაზარი გახსნილია, მაგრამ ბაზრის შესახებ ჯერ კიდევ ბევრი კითხვა რჩება, განსაკუთრებით იმის შესახებ, თუ რა იქნება ელექტროენერჯის ფასის ცვლილების გამომწვევი ფაქტორი. ნებისმიერი დეველოპერისთვის ან ანალიტიკოსისთვის ძნელია წინასწარ განსაზღვროს, როგორი იქნება ხვალინდელი

ფასი. ასეთი ინფორმაცია გადამწყვეტია, რადგან ამგვარი გრძელვადიანი საინვესტიციო პროექტებით პროგნოზები 5-10-20 წელიწადზე უნდა გაკეთდეს.

მეორე საერთო გამოწვევა არის კომუნიკაცია და ცნობიერების ამაღლება, რაც თანმიმდევრულ ძალისხმევას მოითხოვს როგორც ბიზნესისგან, ასევე მთავრობისგან. ბაზრის მონაწილეებმა და ფართო საზოგადოებამ უნდა იცოდეს განახლებადი ენერჯის განვითარების უპირატესობების შესახებ. ბიზნესისთვის ცნობილი უნდა იყოს, თუ რა ფინანსური ამონაგების მიღება იქნება შესაძლებელი შესაბამისი ინვესტიციებიდან.

კონკურენტული ბაზრის შექმნა, რა თქმა უნდა, კარგი მიზანია, მაგრამ უპირველეს ყოვლისა, ჯერ ინოვაციების მყარად დამკვიდრება არის საჭირო, რათა ბაზარზე ინვესტორების ნდობა გაიზარდოს. **ნდობის გაჩენის ერთ-ერთი გზა არის გარანტირებული ნასყიდობის ხელშეკრულებების გამოყენება მოკლე ვადით, თავისუფალი ელექტროენერჯის ბაზრის გახსნის განმავლობაში.** როცა ბაზარი უფრო მეტ სტაბილურობას შეიძენს, ეს სტიმულს მისცემს ინვესტორებს, რომ ღია ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღონ.

კიდევ ერთი დაკავშირებული გამოწვევა არის ბაზარზე არსებული ექსპერტიზის დონე. იქიდან გამომდინარე, რომ განახლებადი ენერჯია სულ რაღაც რამდენიმე წლის წინ გახდა პოპულარული საკითხი, ტექნოლოგიების მომწოდებლების ბაზარი ჯერ კიდევ პატარაა. ამის გამო, რადგან შესაბამისი ექსპერტების რაოდენობა მცირეა, მოთხოვნის ზრდის პირობებში ისინი უფრო ნაკლებად იქნებიან ხელმისაწვდომი.

აშკარაა საქართველოს მთავრობის სურვილი, რომ განახლებად ენერჯიაზე მომუშავე ბევრი ელექტროსადგური განავითაროს; თუმცა, ზემოაღნიშნული გამოწვევების დასაძლევად ჯერ საჭირო ნაბიჯები გადადგმული არ არის.

კერძო სექტორის მონაწილეების სასარგებლოდ, შეხსენების სახით უნდა ითქვას, რომ ელექტროენერჯის ბაზრის ოპერატორი თავის საქმიანობას შემდეგი საკანონმდებლო აქტების საფუძველზე წარმართავს:

- ▶ საქართველოს კანონი ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ
- ▶ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის ბრძანება „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესების დამტკიცების შესახებ“
- ▶ საქართველოს მთავრობის დადგენილება „ელექტროენერჯის პირდაპირი მომხმარებლებისათვის სავალდებულო კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“
- ▶ ელექტროენერჯის ბაზრის მოდელის კონცეფცია
- ▶ საქართველოს კანონი სააქციო საზოგადოების – საპარტნიორო ფონდის შესახებ
- ▶ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილება „ქსელის წესების“ დამტკიცების შესახებ
- ▶ საქართველოში ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ ინტერესთა გამოსატვის წესის დამტკიცების შესახებ
- ▶ სახელმწიფო პროგრამა „განახლებადი ენერჯია 2008“ საქართველოში განახლებადი ენერჯის ახალი წყაროების მშენებლობის უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“
- ▶ ამონარიდი საქართველოს საგადასახადო კოდექსიდან
- ▶ საქართველოს ენერგეტიკის და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილება ელექტროენერჯის ტარიფების შესახებ
- ▶ ელექტროენერჯის ზოგიერთ მწარმოებელზე (თბოელექტროსადგურებზე) საჯარო მომსახურების განვითარების ვალდებულების დაკისრების შესახებ
- ▶ საქართველოს მთავრობის დადგენილება „საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის შემუშავებისა და განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“

- ▶ საქართველოს მთავრობის დადგენილება „საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტების შემუშავებისა და განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“.
- ▶ საქართველოს მთავრობის დადგენილება იმ ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების შესახებ წინადადებების საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის წარდგენისა და განხილვის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე, რომლებიც არ წარმოადგენს საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტს.

ქვემოთ მოცემულია ელექტროენერჯის ბაზარზე წარმოდგენილი ყველაზე რელევანტური დაინტერესებული მხარეები CSAP-ის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- ▶ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
- ▶ საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია
- ▶ ენერგო-პრო ჯორჯია
- ▶ თელასი
- ▶ საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა
- ▶ საქრუსენერგო
- ▶ საპარტნიორო ფონდი
- ▶ ენერგოტრანსი
- ▶ პერი
- ▶ ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერ (GWP)
- ▶ ენგურჰესი
- ▶ ბაკური
- ▶ საქართველოს საერთაშორისო ენერჯეტიკული კორპორაცია
- ▶ საქართველოს რკინიგზა
- ▶ ალიანს ენერჯი
- ▶ KG Energy
- ▶ ჯორჯია – ურბან ენერჯი
- ▶ „კორპორაცია ქინძმარაული“
- ▶ ევროპული ენერჯეტიკული ბირჟების ასოციაცია
- ▶ ენერჯეტიკული ბირჟების ასოციაცია (APEX)
- ▶ საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდი
- ▶ შპს „ჯი თი ემ გრუპ“.
- ▶ შპს „რუთავის ფოლადი“.
- ▶ შპს „ჯეოსთილი“.
- ▶ შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯია“.
- ▶ სს „რუსთავის აზოტი“.
- ▶ შპს „რუსელოისი“
- ▶ სს „არემჯი კოპერი“
- ▶ შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“.

ელექტროენერჯის ბაზრის მოდელი – კერძო სექტორის როლი ახალი მოდელით

საქართველოს ენერჯეტიკული ბირჟა (GENEX) ელექტროენერჯის ახალ ბაზარს წარმოადგენს. ეს მოდელი გულისხმობს **თავისუფალ ბაზარს**, სადაც **მონაწილეები თანაბარი, არადისკრიმინაციული პირობებით სარგებლობენ და კონკურენტული ფასი გამჭვირვალედ დგინდება**, რაც მომხმარებელს თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობას უქმნის.

2020 წლის 16 აპრილს საქართველოს მთავრობამ ელექტროენერჯის ბაზრის მოდელის კონცეფცია დაამტკიცა. ეს დოკუმენტი შემდეგ ნოვაციურ პრინციპებს ადგენს ელექტროენერჯით ვაჭრობაში:


- ▶ საათობრივი ვაჭრობა და თვითდისპეტჩირება
- ▶ პასუხისმგებლობა უბალანსობაზე
- ▶ საბითუმო საჯარო მომსახურება

ელექტროენერჯის ბაზრის კონცეფცია ასევე ადგენს ბაზრის გახსნის ეტაპებს, ამას გარდა, ბაზრის სეგმენტებს და ბაზრის მონაწილეთა უფლებებსა თუ მოვალეობებს განსაზღვრავს.

ენერჯეტიკული ბირჟა განსაკუთრებულ როლს თამაშობს საქართველოს ენერჯეტიკის სექტორის მიმდინარე რეფორმაში და ბაზრის ახალ მოდელში. ის ბაზრის მონაწილეებს საშუალებას შეუქმნის, რომ ელექტროენერჯით ივაჭრონ არადისკრიმინაციული პირობებით, კონკურენციის საფუძველზე.

ელექტროენერჯის მიწოდებისა და მოთხოვნის მიხედვით დადგენილი საბაზრო ფასი სწორ საბაზრო სიგნალებს მისცემს როგორც არსებულ, ისე ახალ ინვესტორებს და ეს, იდეალურ შემთხვევაში, მნიშვნელოვნად **გაზრდის ინტერესს საქართველოს ელექტრო-სექტორის მიმართ**.

ენერჯეტიკული ბირჟის პარტნიორად „ნორდ პული“ (Nord Pool) შეირჩა. „ნორდ პულის“ გამოცდილება და რეპუტაცია მკაფიო გზავნილია როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი ინვესტორებისთვის და მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს ქართული ბაზრის რეფორმის წარმატებისთვის.



საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის (სენბი) ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა ბირჟის მონაწილეთა ცოდნა და ინფორმირებულობა – ბაზარი ეფექტურად ვერ იფუნქციონირებს, თუ მონაწილეები საკმარისად მზად არ იქნებიან ბაზარზე ვაჭრობისთვის.

შესაბამისად, **კერძო სექტორის ჩართულობისთვის მთავარი აქცენტი კეთდება ბაზრის კერძო მონაწილეთა ყველაზე ფართო ჩართულობაზე**. ამის მიღწევა შესაძლებელია ინტენსიური ტრენინგით ბაზრის როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ფუნქციონირების შესახებ, ასევე, ყველა საერთაშორისო ორგანიზაციის მეშვეობით, რომლებიც აქტიურად იყვანენ ჩართულები ბირჟის განვითარების ხელშეწყობაში.

„სენბი“-ს განვითარების შემდგომ ეტაპებზე მოსალოდნელია საქართველოს კერძო სექტორის ძლიერი მონაწილეობა. კერძოდ:

- ▶ დღით-ადრე სიმულაციური სატესტო სავაჭრო სესიები
- ▶ კლირინგის და ანგარიშსწორების პლატფორმის აწყობა, წევრების წარმომადგენლების სერტიფიცირება, წევრების რეგისტრაცია
- ▶ ეფექტური ბაზრის ზედამხედველობისა და გამჭვირვალობის სისტემის დანერგვა
- ▶ დღით ადრე ბაზრის გაშვება
- ▶ OTC ბაზრის სატესტო მუშაობა
- ▶ OTC ბაზრის გაშვება
- ▶ თანამშრომლობა მეზობელ და სხვა ქვეყნებთან, საქართველოს ტრანსსასაზღვრო სავაჭრო შესაძლებლობების თემაზე
- ▶ დღიური ბაზრის სატესტო მუშაობა
- ▶ დღიური ბაზრის გაშვება
- ▶ საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება, მათ შორის პარტნიორ ქვეყნებთან, ბირჟებთან, ორგანიზაციებთან, პროგრამებსა და პროექტებთან, ასევე, პროექტის წევრების შესაძლებლობების გაძლიერების ღონისძიებები – ექსკლუზიური თანამშრომლობა ნორდ პულის აკადემიასთან.
- ▶ მედია კამპანიის გაგრძელება ენერგეტიკის სექტორის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით
- ▶ საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის გუნდის და მისი შესაძლებლობების გაძლიერება.

ნახშირბადის ფასების განსაზღვრის პოტენციური როლი და შესაძლებლობა კერძო სექტორისთვის

შეფასების მიხედვით, ევროკავშირის ემისიებით ვაჭრობის სისტემით (EU ETS) 1 მილიარდ ტონაზე მეტი CO₂ დაიბოგა 2008-დან 2016 წლამდე, რაც მთლიანი ემისიების 3.8%-ით შემცირებას ნიშნავს ევროკავშირის მასშტაბით. პირდაპირი შერბილების პოტენციალის გარდა, ნახშირბადის გადასახადებიდან მიღებული შემოსავლები შეიძლება კლიმატის ცვლილების შერბილების სხვა პროექტების დაფინანსების წყარო გახდეს.

თუმცა, რა შეიძლება იყოს **მე-6 მუხლის პ.ა. განხორციელების პოტენციური სარგებელი კერძო სექტორისთვის საქართველოში?**

ჩვენ უკვე ვახსენეთ გლობალური ნახშირბადის ბაზრის ღონისძიება, რომელსაც მთავრობის, ფინანსური ინსტიტუტების, ინდუსტრიული ასოციაციების, ბიზნესის, სამოქალაქო საზოგადოების და საერთაშორისო სააგენტოების 50-ზე მეტი წარმომადგენელი ესწრებოდა: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე სოლომონ პავლიაშვილი; მისი აღმატებულება აკირა იმამურა, იაპონიის ელჩი საქართველოში; ურს ბეერი, საქართველოში შვეიცარიის ელჩის მოადგილე; და ნიკ ბერესფორდი, გაეროს განვითარების პროგრამის მუდმივი წარმომადგენელი საქართველოში.

ჩვენ ასევე ვიცით, რომ:

- ▶ საქართველო დაინტერესებულია გამოიკვლიოს ემისიების შემცირების სხვა პოტენციური სფეროები, რაც საბოლოოდ გააძლიერებს ქვეყნის პროგრესს პარიზის შეთანხმებაში ტემპერატურის მიმართ დადგენილი სამიზნის მიღწევაში – „გლობალური საშუალო ტემპერატურის ზრდის 2 გრადუს ცელსიუსამდე შეზღუდვა, პრეინდუსტრიულ დონესთან შედარებით და ტემპერატურის ზრდის 1.5 გრადუს ცელსიუსამდე შეზღუდვის მცდელობა, პრეინდუსტრიულ დონესთან შედარებით“ (მუხლი 2. 1. ა).
- ▶ საქართველოს, როგორც ქვეყანას, რომელიც UNFCCC I დანართში არ შედის, შეუძლია მონაწილეობა მიიღოს კიოტოს პროტოკოლში გათვალისწინებული სამი მექანიზმიდან მხოლოდ ერთში, კერძოდ, სუფთა განვითარების მექანიზმში (CDM).
- ▶ „სუფთა განვითარების მექანიზმი“ კიოტოს პროტოკოლით გათვალისწინებული მექანიზმია, რომელიც განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებში სათბურის აირების შემცირებისთვის განხორციელებული პროექტებისთვის შესაძლებელს გახდის, რომ დამატებითი შემოსავლის ნაკადი მიიღონ.
- ▶ „სუფთა განვითარების მექანიზმის“ პროექტები გაცვლად და გაყიდვად, სერტიფიცირებულ ემისიის შემცირების (CER) კრედიტებს გამოიმუშავენ, რომლებიც შეიძლება ინდუსტრიულმა ქვეყნებმა გამოიყენონ, კიოტოს პროტოკოლით გათვალისწინებული ემისიის შემცირების მიზნების გარკვეული ნაწილის შესასრულებლად.
- ▶ საქართველოში სუფთა განვითარების მექანიზმის ზოგიერთი პროექტი უკვე რეგისტრირებულია, ემისიების წლიური შემცირება დაახლოებით 1,8 მლნ ტონა CO₂-ს შეადგენს. პარიზის შეთანხმების მე-6 მუხლის თანახმად, მხარეები ახალი საბაზრო და არასაბაზრო მექანიზმების შექმნაზე შეთანხმდნენ, სუფთა განვითარების მექანიზმის გამოცდილების გათვალისწინებით და თავიანთ თანამშრომლობაში კლიმატის პოლიტიკის საკითხებზე გაამახვილებენ ყურადღებას.

რეგისტრაციის წლები	პროექტი	შემცირება (t CO ₂ ეკვ./წელი)	გაცემული სერტიფიკატი
21 სექტემბერი, 2009 წ.	დანაკარგების შემცირება „ყაბრანსგაბ-თბილისის“ გაზის გამანაწილებელი სისტემის მიწისზედა მოწყობილობებიდან, თბილისი, საქართველო	339,197	822,647 CER (2009-2014)
10 ოქტომბერი, 2012 წ.	დანაკარგების შემცირება სოკარ ჯორჯია გაზის გამანაწილებელი სისტემის მიწისზედა მოწყობილობებიდან, საქართველო	173,651	-
17 ოქტომბერი, 2012 წ.	საქართველო: ენგურის ჰიდროელექტროსადგურის რეაბილიტაციის პროექტი	581,715	420,103 CER (2013-2014)
1 ნოემბერი, 2012 წ.	აჭარისწყლის ჰესის პროექტი	391,956	-
21 დეკემბერი, 2012 წ.	გუდაურის ჰესის პროექტი	22,891	33,030 CER (2013-2015)
17 მაისი, 2013 წ.	დარიალის ჰესის პროექტი	259,229	256,082 CER (2016-2018)

„სუფთა განვითარების მექანიზმის“ პროექტებით მოტანილ სარგებელში შედის ინვესტიციები კლიმატის ცვლილების შერბილების პროექტებში, ტექნოლოგიების გადაცემა ან გავრცელება მასპინძელ ქვეყნებში (საქართველოში), ასევე თემების საარსებო საშუალებების გაუმჯობესება სამუშაო ადგილების შექმნის ან ეკონომიკური აქტივობის გაზრდის გზით.

კერძო სექტორის მიერ საქართველოში „სუფთა განვითარების მექანიზმის“ პროექტების განვითარებასთან დაკავშირებული გამოწვევები

წინა წარმატებების და მიღწევების მიუხედავად, ნახშირბადის გლობალური ბაზარი ამჟამად კრიტიკულ და გაურკვეველ პერიოდში იმყოფება. შემარბილებელი აქტივობების დიდმა რაოდენობამ, რომელიც პროექტზე დაფუძნებული ნახშირბადის ბაზრის ორი ყველაზე მნიშვნელოვანი მექანიზმის მეშვეობით დაიწყო – „სუფთა განვითარების მექანიზმი“ (CDM) და „ერთობლივი განხორციელება“ (JI) – ემისიების შემცირების კრედიტების მიწოდების ზრდა გამოიწვია, რამაც ბოლო წლებში მსგავს კრედიტებზე არსებულ მოთხოვნას გადააჭარბა.

მოთხოვნა მნიშვნელოვნად შემცირდა, რისი მიზეზიც არის გლობალური ეკონომიკური კრიზისი, უფრო მეტი ყურადღების გამახვილება შიდა შემარბილებელ ქმედებებზე, კრიტიკა ტრანზაქციის ხარჯებსა და მექანიზმების გარემოსდაცვით კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებით, ასევე კლიმატის ცვლილების შესახებ ახალი ძირითადი საერთაშორისო შეთანხმების გაფორმების გაჭიანურება, სადაც მკაფიოდ იქნებოდა განსაზღვრული დინამიკური მექანიზმების როლი არა 2012 წლამდე, როგორც ეს ადრე იგეგმებოდა, არამედ მხოლოდ 2015 წელს.

მიწოდებასა და მოთხოვნას შორის კამათმა დრამატული გავლენა მოახდინა „სუფთა განვითარების მექანიზმის“ და „ერთობლივი განხორციელების“ კრედიტების ფასზე, რომელიც ბოლო წლებში მკვეთრად დაეცა. საბაზრო ფასის ამგვარი კოლაფსი, სხვა გამოწვევებს შორის, ზეგავლენას ახდენს ბაზარსა და ინვესტორის ნდობაზე, საბაზრო მექანიზმებში ამჟამად წარმოდგენილ აქტორებსა და სამომავლო პოტენციურ გამოყენებაზე საერთაშორისო ბაზრის მექანიზმებისთვის.

NewClimate Institute-ის ბოლოდროინდელი ანალიზი აჩვენებს, რომ „სუფთა განვითარების მექანიზმის“ პროექტების უმრავლესობამ შემარბილებელი აქტივობების განხორციელება განაგრძო 2014 წელს, თუმცა მათ დიდ ნაწილს აღარ გააჩნდა ფინანსური სტიმული, რომ გადამოწმებასა და კრედიტების გაცემაში ინვესტიცია ჩაედოთ (Warnecke, 2015). აქედან გამომდინარე, ამ პროექტების უმეტესობა საბაზრო მექანიზმის დაფინანსების მხარდაჭერის გარეშე ფუნქციონირებს, მაშინ, როდესაც პროექტის შეწყვეტის მნიშვნელოვანი რისკი არსებობს კონკრეტული ტიპის პროექტებისთვის.

როგორც განვმარტეთ, პარიზის შეთანხმების მე-6 მუხლი ნახშირბადის საერთაშორისო ბაზრის მექანიზმებისთვის ახალ ჩარჩოს ადგენს. თუმცა, მაინც რჩება მნიშვნელოვანი გაურკვეველობა იმის თაობაზე, თუ რამდენი ქვეყანა გამოიყენებს პროექტზე დაფუძნებულ საერთაშორისო კრედიტებს საანგარიშო პერიოდებისთვის, როგორც 2020 წლამდე, ისე მის შემდეგ; ასევე, გაგრძელდება თუ არა დახმარება შემარბილებელი ღონისძიებებისთვის, რომლებიც უკვე განხორციელებული იქნა.

განახლებადი ენერჯის ახალი წყაროები

2020-2030 წლების ენერგეტიკული სტრატეგიის მიხედვით, ქვეყანას შეუძლია, რომ განახლებადი ენერჯის წყაროების (ჰიდრო, ქარი და მზის) წილი გაზარდოს და ამით შეამციროს იმპორტირებული ელექტროენერჯის წილი და იმპორტირებული თბოელექტროსადგურების გენერაცია, რითაც ენერგეტიკული დამოუკიდებლობის ხარისხი და სუფთა ენერჯია გაიზრდება.

ქვემოთ ჩამოთვლილია რამდენიმე განხორციელებული ან მიმდინარე პროექტი, მხოლოდ საილუსტრაციო მიზნებისთვის:

<p>განხორციელებული (2013-2016)</p>	<p>სათაური: ქარის პირველი ელექტროსადგურის მშენებლობა მიზანი: გენერაციის განვითარება განახლებადი ენერჯის წყაროებიდან განხორციელების დონე: ეროვნული</p>	<p>ბიუჯეტი: 31.2 მლნ. დოლარი დაფინანსების წყარო: (70% – სესხი, 30% – მობილიზებული „ქართლის ქარის ელექტროსადგურის“ პარტნიორების მიერ) განმახორციელებელი: შპს ქართლის ქარის ელექტროსადგური</p>	<p>საშუალოდ 8.5 გგ CO2 ექვს წელიწადში.</p>	<p>წლიური პოტენციური და-მოკიდებულია კონკრეტულ წელიწადში სადგურის მიერ გამოიმუშავებული ენერჯის რაოდენობაზე. ეროვნული ქსელის ემისიის ფაქტორი (ტონა CO2 ეკვ/გვტსთ) წლების მიხედვით: 2016 წელი – 0.093 2017 წელი – 0.094 2018 წელი – 0.082 2019 წელი – 0.126</p>	<p>სადგური სატესტო რეჟიმში მუშაობდა 2016 წელს, ექსპლუატაციაში შევიდა 2017 წელს</p>	<p>სოციალურ-ეკონომიკური სარგებელი: შეიქმნა 35 სამუშაო ადგილი. ახალი თაობის წყაროს ხელმისაწვდომობამ შეამცირა დამოკიდებულება იმპორტირებულ ელექტროენერჯიაზე.</p>
<p>განხორციელებული (2017-2020)</p>	<p>სათაური: კომბინირებული ციკლის თბოელექტრო-სადგურების მშენებლობა გარდაბანი 1 და 2 მიზანი: ელექტროენერჯის გენერაციისთვის გაზის მოხმარებისა და შესაბამისი ემისიების შემცირება. განხორციელების დონე: ეროვნული</p>	<p>ბიუჯეტი: 230 მილიონი დოლარი გარდაბანი 1 თბოელექტროსადგურისთვის, 185 მილიონი დოლარის ინვესტიცია – გარდაბანი 2 დაფინანსების წყარო: გარდაბანი 1- საქართველოს გაზისა და ნავთობის კორპორაცია, საპარტნიორო ფონდი. განმახორციელებელი: ჩალიკ ენერჯი – გარდაბანი 1 გარდაბანი 2 საქართველოს გაზისა და ნავთობის კორპორაცია განახორციელა.</p>	<p>საშუალოდ 200 გგ CO2 ექვს წელიწადში. წლიური შემცირება და-მოკიდებულია კონკრეტული წლის გამომუშავებულ და იმავე წლის ემისიის ფაქტორზე.</p>	<p>სადგურების რეალური გენერაციისთვის საჭირო რესურსები შედარებულია თბილისში არსებული და არაეფექტური თბოელექტრო-სადგურის რესურსებთან. კომბინირებული ციკლის ელექტროსადგურის ეფექტურობა არის 54%, სხვა არსებული თბოელექტრო-სადგურების ეფექტურობაა 31-33%. ეროვნული ქსელის ემისიის ფაქტორი (ტონა CO2 ეკვ/გვტსთ) წლების მიხედვით: 2016 – 0.093 2017 – 0.094 2018 – 0.082 2019 – 0.126</p>	<p>გარდაბანი 1 სადგური აშენებულია და ექსპლუატაციაში შევიდა 2017 წლიდან. გარდაბანი 2 მუშაობს 2020 წლიდან</p>	<p>სარგებელი: გაზის მოხმარება ელექტროენერჯის გამოიმუშავების სექტორში და, შესაბამისად, ემისიების რაოდენობა მკვეთრად მცირდება. სოციალური სარგებელი: დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა (გარდაბანი 1-ში დასაქმებულია 153 ადამიანი) ასევე, ამ სადგურის მიერ გამოიმუშავებული ელექტროენერჯია უფრო ხარჯოეფექტურია და შესაბამისად, იმპორტირებული სანავთობის მოხმარება უფრო რაციონალური ხდება.</p>

<p>განხორციელებული (2010-2016)</p>	<p>სათაური: შეღავათიანი საკრედიტო ხაზი „ენერჯოკრედიტ“ განახლებად და ენერჯოკრედიტურ ტექნოლოგიებში ინვესტიციებისთვის (საკოფაცხოვრებო და კომერციული სექტორი). მიზანი: განახლებად და ენერჯოკრედიტურ ტექნოლოგიებზე წვდომის გაზრდა (კაპიტალური ხარჯების შემცირება) და მათი წარმოქმნა. განხორციელების დონე: ეროვნული</p>	<p>ბიუჯეტი: \$6311 მილიონი გაცემული მონაწილე ბანკები შეღავათიანი სესხების (სუბსიდიების) პროგრამის სახით. დაფინანსების წყარო: ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD). განმახორციელებელი: პროგრამის განხორციელებაში ჩართული იყო ყველა მსხვილი კომერციული ბანკი: თობისი, ბანკი რესპუბლიკა; საქართველოს ბანკი, კრედიო, ბაზისბანკი.</p>	<p>168 გგ CO2 ეკვ.</p>	<p>მონაცემები მოწოდებულია „ენერჯოკრედიტის“ მიერ, შე-მცირებული ემისიის ოდენობის სახით, გამოყენებული იქნა შიდა მეთოდოლოგია.</p>	<p>პროგრამა განხორციელდა 2010-2016 წწ.</p>	<p>2016 წლიდან, ყოველწლიურად განხორციელებული პროექტების შედეგად კლება არის 168 გგ CO2 ეკვ.</p>	<p>გარემოსდაცვითი სარგებელი: განახლებადი ენერჯისა და ენერჯოკრედიტური ტექნოლოგიების დანერგვა შეამცირა წიაღისეული სანჯავის მოხმარება და მანვე ემისიები ატმოსფეროში. სოციალური სარგებელი: განახლებადი და ენერჯოკრედიტური ტექნოლოგიები არა მხოლოდ დაეხმარა ბუნებრივ რესურსებს ენერჯის მოხმარების შემცირებაში, არამედ გააუმჯობესა მათი საცხოვრებელი პირობები და კომფორტის დონე. ასევე იყო ადგილობრივი ბიზნესის მხარდაჭერა, გაიზარდა პროგრამაში მონაწილე კომპანიების პროდუქციის გაყიდვები (ენერჯოკრედიტური და განახლებადი ტექნოლოგიების დილერები) და მათი პოპულარიზაცია.</p>
<p>განხორციელებული (2012-2016)</p>	<p>სათაური: კლიმატის ცვლილებების საკითხებისთვის ფინანსებისა და ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრის (FINTEC) დაარსება. მიზანი: სამრეწველო და კომერციული სექტორების მხარდაჭერა ენერჯოკრედიტური და განახლებადი ენერჯის ტექნოლოგიებით აღჭურვაში, რათა შემცირდეს ემისიები, ენერჯისა და წყლის მოხმარება და ასევე გაზარდოს რესურსების ეფექტური გამოყენება. განხორციელების დონე: ეროვნული</p>	<p>ბიუჯეტი: \$88 მილიონი. ეს არის საერთაშორისო პროგრამა და თანხები ნაწილდება ქვეყნებისა და რეგიონების მიხედვით. საქართველოსთვის გამოყოფილი თანხა დამოკიდებულია კომერციული და სამრეწველო ობიექტების მიერ განცხადებების რაოდენობაზე. დაფინანსების წყარო: GEF განმახორციელებელი: ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)</p>	<p>75 გგ CO2 ეკვ. ყოველწლიურად.</p>	<p>სათბურის აირების ემისიების წლიური პოტენციალი გამოითვლება პროგრამის ფარგლებში შიდა მეთოდოლოგიით.</p>	<p>პროგრამის მხარდაჭერით საქართველოში 8 პროექტი განხორციელდა.</p>	<p>განხორციელებული პროექტების შედეგად 2017 წლიდან ყოველწლიურად 7.5 გ CO2 იზოგება.</p>	<p>სოციალური სარგებელი: ადგილობრივი ბიზნესისა და ეკონომიკის ხელშეწყობა, თანამედროვე მწვანე ტექნოლოგიების დანერგვა, ენერჯის დაზოგვა, რესურსების ეფექტური გამოყენება.</p>

<p>განხორციელებული (2012-2017)</p>	<p>სათაური: ეფექტიანი შუშის დამუშავების და მზის პანელების გამოყენება სოფლებში, NAMA-ს ფარგლებში. მიზანი: განახლებადი და ენერჯიფიკაციის ტექნოლოგიების დანერგვა სოფლის დასახლებებში განხორციელების დონე: რეგიონული</p>	<p>ბიუჯეტი: NAMA თავდაპირველად არ იყო დამტკიცებული დიდი მასშტაბით და ბიუჯეტით. ამიტომ პროექტი სხვადასხვა დონორების დახმარებით მცირე მასშტაბით განხორციელდა. დაახლოებით 10,000 ევრო წელიწადში დაფინანსების წყარო: სხვადასხვა დონორი განმახორციელებელი: WECF და მწვანე მოძრაობა</p>	<p>0.874 გგ CO2 ეკვ-ყოველწლიურად. NAMA-ს პროექტის სრული განხორციელების შემთხვევაში, 30 გგ CO2 ეკვ-ყოველწლიურად 2023 წლამდე, 157 გგ CO2 ეკვ-2039 წლამდე.</p>	<p>ენერჯიფიკაციის შუშის დამუშავების გამოყენების დაწყებით, წელიწადში საშუალოდ 2 ტონა CO2 იზოგება, ხოლო მზის ენერჯიფიკაციის შემთხვევაში განხორციელების შემთხვევაში – საშუალოდ 1 ტონა წელიწადში.</p>	<p>2012 წლიდან 642 მზის ენერჯიფიკაციის მომსახურე წყლის გამამუშავებელი, 91 ენერჯიფიკაციის მომსახურე და-მონტაჟა და 50 შენობა გათბა.</p>	<p>მონიტორინგის შედეგების მიხედვით, ყველა დონისთვის წელიწადში 874 ტონა CO2 დაიზოგა.</p>	<p>გარემოსდაცვითი სარგებელი: ეფექტიანი ხის ლემების დამონტაჟება ხელს უწყობს ტყეებზე ზეწოლის შემცირებას და შიდა ჰაერის ხარისხის გაუმჯობესებას. სოციალური სარგებელი: რეგიონების განვითარება, რესურსების ეფექტურად გამოყენება, ენერჯიფიკაციის დანერგვა, ადგილობრივი მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, განახლებადი და ეფექტური ტექნოლოგიების პოპულარიზაცია</p>
<p>განხორციელებული (2010-2019)</p>	<p>სათაური: ჰიდროელექტრო-სადგურების მშენებლობა საქართველოში მიზანი: განახლებადი ენერჯიფიკაციის ადგილობრივი პოტენციალის ათვისება. ზომავს და აერთიანებს 2010-2020 წწ აშენებულ სადგურებს. განხორციელების დონე: ეროვნული</p>	<p>ბიუჯეტი: უცნობა დაფინანსების წყარო: ყველა სადგური ძირითადად აშენდა უცხოური და ადგილობრივი კერძო ინვესტიციებით. განმახორციელებელი: სხვადასხვა ადგილობრივი და უცხოური დეველოპერული კომპანიები</p>	<p>200 გგ CO2 ეკვ-საშუალოდ ყოველწლიურად.</p>	<p>ეროვნული ქსელის ემისიის ფაქტორი (ტონობით CO2 ეკვ/მგტ.სთ) წლების მიხედვით: 2019 წელი – 0.126</p>	<p>სულ 44 ახალი ჰიდროელექტრო-სადგური აშენდა 2010 წელს. 2020 (29 სადგური 2010-2017 წწ.; 15 სადგური 2018-2020 წლებში).</p>	<p>2019 წლის ემისიის ფაქტორის გამოყენებით, 191 გგ CO2 დაიზოგა. 2019 წელს ყველა ახალი ელექტრო-სადგურის (აშენებული 2010-2020) გამოშვება იყო 1,519 GW/h;</p>	<p>სოციალურ-ეკონომიკური სარგებელი: ტექნოლოგიური განვითარება, დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა (განსაკუთრებით რეგიონებში), რეგიონების განვითარება. (ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას შესაბამისი ინფრასტრუქტურა სჭირდება (მაგ. გზები), რომელიც მუნიციპალიტეტის სარეგულაციო დარჩება)</p>
<p>განხორციელებული (2015-2016)</p>	<p>სათაური: მზის PV პანელების მონტაჟი ილიაუნში და თბილისის საერთაშორისო აეროპორტში. მიზანი: განახლებადი ენერჯიფიკაციის დანერგვა და პოპულარიზაცია (სადემონსტრაციო პროექტი) განხორციელების დონე: ადგილობრივი</p>	<p>ბიუჯეტი: \$4.8 მილიონი. დაფინანსების წყარო: საქართველოს მთავრობა იაკონია (გრანტი) განმახორციელებელი: იტორე კორპორაცია, ფუჯი ფურუკავა ენერჯიფიკაცია & კონსტრუქტორი, კო. შპს „გრუსია“.</p>	<p>0.06 გგ CO2 ეკვ-ყოველწლიურად.</p>	<p>ეროვნული ქსელის ემისიის ფაქტორი (ტონა CO2 ეკვ/მგტ.სთ) წლების მიხედვით: 2016 წელი – 0.093 2017 წელი – 0.094 2018 წელი – 0.082 2019 წელი – 0.126</p>	<p>სისტემა დამონტაჟებული ილიაუნში და საერთაშორისო აეროპორტში. აღწერილი მონტაჟების შედეგად დაახლოებით 57 ტონა CO2 ეკვ-წელიწადში.</p>	<p>ილიაუნისა და აეროპორტში დამონტაჟებული პანელების გენერაციიდან ემისიების შემცირების მაჩვენებელია დაახლოებით 57 ტონა CO2 ეკვ-წელიწადში.</p>	<p>სოციალური სარგებელი: განახლებადი და თანამედროვე ტექნოლოგიების პოპულარიზაცია</p>

<p>მიმდინარე (2018 წლი-დან)</p>	<p>სათაური: ენერჯოფექტურობის გაუმჯობესება საბოლოოდ ენერჯოფექტურობის შენობებში. მიზანი: საჯარო შენობების ენერჯოფექტურობის გაუმჯობესება (27 საჯარო შენობა ქვეყნის მასშტაბით, ძირითადად სკოლები) და განახლებადი ენერჯის ტექნოლოგიების დანერგვა შერჩეულ შენობებში. განხორციელების დონე: რეგიონული</p>	<p>ბიუჯეტი: 5,14 მილიონი ევრო. დაფინანსების წყარო: NEFCO, E5P და დანიის სამინისტრო განმახორციელებელი: მუნიციპალური განვითარების ფონდი</p>	<p>1,1-1,4 გგ CO2 ეკვ. წელიწადში.</p>	<p>შემცირების პოტენციალი შეფასებულია პროექტის შიდა მეთოდოლოგიით.</p>	<p>არ შესაბამება</p>	<p>სოციალური სარგებელი: რეაბილიტირებული შენობები და კომფორტი გაზრდილი დონე, ენერჯის მოხმარების შემცირება და ენერჯოფექტურობის განახლებადი ენერჯის ტექნოლოგიების პოპულარიზაცია.</p>
<p>მიმდინარე (2019 წლი-დან)</p>	<p>სათაური: მზის პირველი ელექტროსადგურის მშენებლობა სოფელ უდაბნოში. მიზანი: განახლებადი ენერჯის განვითარება და იმპორტირებულ ენერჯიაზე დამოკიდებულების შემცირება განხორციელების დონე: ეროვნული</p>	<p>ბიუჯეტი: \$4,5 მილიონი დაფინანსების წყარო: უცხოური ინვესტიცია. განმახორციელებელი: კომპანია Georigian Solar, საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდის მიერ დაფუძნებული კომპანია, რომელიც სადგურის აქციების 90%-ს ფლობს.</p>	<p>0,87 გგ CO2 ეკვ. წელიწადში.</p>	<p>ეროვნული ქსელის ემისიის ფაქტორი 2019 – 0,126 ტონა CO2 ეკვ/მგდ.სთ. საჯარო წლიური პროდუქტი არის 69 მლნ კვტ.სთ</p>	<p>არ შესაბამება</p>	<p>სოციალური სარგებელი: ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, ადგილობრივი განახლებადი რესურსების გამოყენება და იმპორტის შემცირება, ტექნოლოგიური განვითარება, ადგილობრივი ეკონომიკის სტიმულირება (მაგ. მზის PV პანელების მწარმოებლები, დილერები და მომსახურების კომპანიები)</p>
<p>მიმდინარე (2020 წლი-დან)</p>	<p>სათაური: 26 საჯარო შენობის რეაბილიტაცია და ენერჯოფექტურობის გაუმჯობესება ბათუმში. მიზანი: ენერჯოფექტურობის გაუმჯობესება საჯარო შენობებში (25 ბაღი და 1 ისტორიული შენობა) განხორციელების დონე: ადგილობრივი</p>	<p>ბიუჯეტი: 5,7 მილიონი ევრო. დაფინანსების წყარო: გერმანიის განვითარების ბანკი KfW. ბათუმის მუნიციპალიტეტის თანადაფინანსება 10%. განმახორციელებელი: საკონსულტაციო კომპანია ფისტერი</p>	<p>0,063 გგ CO2 ეკვ. წელიწადში.</p>	<p>პროექტი მიზნად ისახავს ენერჯის (გაზის) მოხმარების შემცირებას ბაღებში მიწისზედა 20%-ით. თითოეული ბაღის საშუალო წლიური მოხმარება არის 6,500 მ3. მოხმარების 20%-ით შემცირების შემთხვევაში დაიზოგება 1,300 მ3.</p>	<p>არ შესაბამება</p>	<p>სოციალური სარგებელი: ადგილობრივი ენერჯოფექტურობის გაზრდის განვითარება, ენერჯის დაზოგვის და ენერჯოფექტურობის ტექნოლოგიების დანერგვა და სამშენებლო პრაქტიკის პოპულარიზაცია.</p>
<p>მიმდინარე (2019 წლი-დან)</p>	<p>სათაური: ახალი კიდრედექტრო-სადგურის მშენებლობა მიზანი: ადგილობრივი განახლებადი რესურსების განვითარება განხორციელების დონე: ეროვნული</p>	<p>ბიუჯეტი: \$543 მილიონი. დაფინანსების წყარო: კერძო ინვესტიციები განმახორციელებელი: ადგილობრივი და უცხოური დეველოპერული კომპანიები.</p>	<p>189,9 გგ CO2 ეკვ. ყოველწლიურად.</p>	<p>ეროვნული ქსელის ემისიის ფაქტორი – 2019 წელი – 0,126 ტონა CO2 ეკვ/მგდ.სთ. საჯარო წლიური გამოუმუშავება არის 15076 Wh.</p>	<p>არ შესაბამება</p>	<p>სოციალური სარგებელი: ახალი სამუშაო ადგილები, ინფრასტრუქტურის განვითარება (სადგურთან მისასვლელი გზების მშენებლობა, კომუნიკაციები და ა.შ.); ადგილობრივი ეკონომიკის ხელშეწყობა, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა.</p>

<p>მიმდინარე (2019 წლიდან)</p>	<p>სათაური: 2 ახალი ქარის ელექტროსადგურის მშენებლობა მიზანი: ადგილობრივი განახლებადი ენერჯის პოტენციალის განვითარება განხორციელების დონე: ეროვნული</p>	<p>ბიუჯეტი: \$135 მილიონი დაფინანსების წყარო: კერძო ინვესტიცია განმახორციელებელი: დეველოპერული კომპანიები</p>	<p>43 გგ CO2 ეკვ. ყოველწლიურად</p>	<p>ეროვნული ქსელის ემისიის ფაქტორი – 2019 წელი – 0.126 ტონა CO2/კვტ. სთ. სავარაუდო წლიური გამოშვება 342 მლნ კვტ/სთ.</p>	<p>საკართველოს მთავრობამ თბილისსა და კასპთან ქარის ელექტროსადგურების მშენებლობის პროექტი დაამტკიცა. მშენებლობის დასრულება 2022 წელს იგეგმება.</p>	<p>სოციალური სარგებელი: ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, იმპორტირებული ენერჯის წილის შემცირება და ენერჯეტიკული უსაფრთხოების გაძლიერება.</p>
<p>მიმდინარე (2016 წლიდან)</p>	<p>სათაური: ნეთ ადრიცვის პროგრამა მიზანი: განახლებადი ენერჯის ტექნოლოგიების განვითარების ხელშეწყობა განხორციელების დონე: ეროვნული</p>	<p>ბიუჯეტი: NA განმახორციელებელი: ინიცირებულია სემეკის მიერ.</p>	<p>0.374 გგ CO2 ეკვ. ყოველწლიურად</p>	<p>საქართველოში მზის პანელისთვის საშუალო სამუშაო საათების რაოდენობა არის 1,350 საათი წელიწადში. ეროვნული ქსელის ემისიის ფაქტორი – 2019 – 0.126 ტონა CO2 ეკვ/მვტ.სთ.</p>	<p>საშუალო წლიური გენერაცია არის 2,970 MWh 2019 წელს საბუჯეტის აირების შემცირება 374.2 ტონა CO2 ეკვ.-ით.</p>	<p>სოციალური სარგებელი: თანამედროვე განახლებადი ენერჯის ტექნოლოგიების პოპულარიზაცია და ბაზრის განვითარება, ადგილობრივი განახლებადი რესურსების გამოყენება და იმპორტირებული ენერჯის შემცირება, ადგილობრივი ეკონომიკის სტიმულირება (მზის პანელების ბაზრის განვითარებით)</p>
<p>დაგეგმილი (2020-2030)</p>	<p>სათაური: 5 მზის ელექტროსადგურის მშენებლობა. მიზანი: ადგილობრივი განახლებადი ენერჯის პოტენციალის განვითარება. განხორციელების დონე: ეროვნული</p>	<p>ბიუჯეტი: დაზუსტდება გათხრების ფაზის დასრულების შემდეგ დაფინანსების წყარო: კერძო და უცხოური ინვესტიციები</p>	<p>16.6 გგ CO2 ეკვ. ყოველწლიურად.</p>	<p>5 სადგურის ჯამური სიმძლავრეა 93 მგვტ. გამოშვება 132,000 მგვტ. ეროვნული ქსელის ემისიის ფაქტორი 2019 – 0.126 ტონა CO2 ეკვ/მვტ. სთ.</p>	<p>არ შეესაბამება</p>	<p>სოციალური სარგებელი: ადგილობრივი განახლებადი ენერჯის გამოყენების პოტენციალი, განახლებადი ენერჯის წილის გაზრდა ენერჯეტიკულ ბალანსში, იმპორტირებული ენერჯის შემცირება, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, ადგილობრივი განახლებადი ენერჯის ტექნოლოგიების ბაზრის განვითარება.</p>
<p>დაგეგმილი</p>	<p>სათაური: ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა საქართველოში მიზანი: განახლებადი ენერჯის ადგილობრივი პოტენციალის ათვისება. განიხილება მშენებარე სადგურები ლიცენზირების ეტაპზე (სულ 26). განხორციელების დონე: ეროვნული</p>	<p>ბიუჯეტი: \$389 მილიონი. დაფინანსების წყარო: კერძო და უცხოური ინვესტიციები განმახორციელებელი: ადგილობრივი და უცხოური დეველოპერული კომპანიები</p>	<p>135.2 გგ CO2 ეკვ. ყოველწლიურად</p>	<p>26 სადგურის საერთო დაგეგმილი გამოშვება არის 1,073 მგვტ.სთ. ეროვნული ქსელის ემისიის ფაქტორი 2019 – 0.126 ტონა CO2 ეკვ/მვტ. სთ.</p>	<p>არ შეესაბამება</p>	<p>სოციალური სარგებელი: ადგილობრივი განახლებადი ენერჯის რესურსები გამოყენება, იმპორტირებული ენერჯის შემცირება, რეგიონული ინფრასტრუქტურის განვითარება (დაგეგმილი სადგურების ადგილებზე) ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, ადგილობრივი ეკონომიკის ნახაზისება. პროფესიონალი კადრების განვითარება</p>

<p>დაგეგმილი (2021-2020)</p>	<p>სათაური: ენერჯოფექტური განათების მოწყობა საჯარო შენობებში მიზანი: ენერჯის დაზოგვა საჯარო შენობებში განხორციელების დონე: ეროვნული</p>	<p>ბიუჯეტი: 157,000 ევრო (NEEAP-ის შესაბამისად) დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი განმახორციელებელი: ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო და მუნიციპალიტეტები</p>	<p>0.176 გგ CO2 ეკვ. ყოველწლიურად.</p>	<p>სავარაუდო დანაზოგი არის 1.4 გგტ.სთ 2030 წლისთვის. ეროვნული ქსელის ემისიის ფაქტორი - 2019 - 0.126 ტონა CO2 ეკვ / მგტ.სთ.</p>	<p>ეს ღონისძიება ეტაპობრივად ხორციელდება, რომლის მიზანია, რომ 100%-ით ჩაანაცვლოს არაეფექტური განათება 2022 წლისთვის.</p>	<p>არ შეესაბამება</p>	<p>გარემოსდაცვითი სარგებელი: ენერჯის დაზოგვა თბოეფექტროსადგურებიდან ჰაერში გაფრეცილი მავნე ნივთიერებების ემისიის შემცირება. სოციალური სარგებელი: ეფექტური ტექნოლოგიების დემონსტრირება და პოპულარიზაცია; ენერჯის ხარჯების დაზოგვა, ადგილობრივი ენერჯოფექტური განათების ტექნოლოგიების წარმოების წახალისება</p>
<p>სათაური: საბაჟო რეგულაციების გამკაცრება არაეფექტური განათების ტექნოლოგიების მიმართ მიზანი: ვარჯარა ნათურების რეალიზაცია ეფექტური ტექნოლოგიებით განხორციელების დონე: ეროვნული</p>	<p>ბიუჯეტი: 4.1 მილიონი ევრო (NEEAP-ის შესაბამისად). ბიუჯეტი დფინდება საყოფაცხოვრებო და კერძო სექტორისთვის ახალი ტექნოლოგიების შესაძენად საჭირო რესურსების მიხედვით. განმახორციელებელი: ეკონომიკის სამინისტრო პარტნიორი: საბაჟო დეპარტამენტი, მუნიციპალიტეტები, კერძო სექტორი</p>	<p>6.1 გგ CO2 ეკვ. 2030 წლისთვის</p>	<p>ენერჯოდაზოგვის სიმძლავრე 48.7 გგტ.სთ წელიწადში 2030 წლისთვის. ეროვნული ქსელის ემისიის ფაქტორი 2019 - 0.126 ტონა CO2 ეკვ/მგტ.სთ.</p>	<p>საბაჟო რეგულაციების გამკაცრებას მთავრობა განიხილავს</p>	<p>არ შეესაბამება</p>	<p>გარემოსდაცვითი სარგებელი: ენერჯოდაზოგვა თბოეფექტრო-სადგურებიდან ჰაერში გაფრეცილი მავნე ნივთიერებების ემისიის ამცირება. სოციალური სარგებელი: ენერჯოფექტური განათების ტექნოლოგიების ადგილობრივი წარმოების წახალისება, თანამედროვე ენერჯოფექტური ტექნოლოგიების დანერგვა.</p>	
<p>დაგეგმილი (2021-2023)</p>	<p>სათაური: ენერჯოფექტურობის გაუმჯობესების ღონისძიებები საჯარო სკოლებში. მიზანი: ენერჯის დაზოგვა საჯარო შენობებში განხორციელების დონე: ეროვნული</p>	<p>ბიუჯეტი: 2.477 მილიონი ევრო დაფინანსების წყარო: საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები განმახორციელებელი: ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო პარტნიორი: განათლების სამინისტრო, ინფრასტრუქტურის სამინისტრო</p>	<p>0.77 გგ CO2 ეკვ. ყოველწლიურად.</p>	<p>მეთოდოლოგია და დაშვებები შეიმუშავა კლიმატის სამსახურში დოკუმენტზე დაფუძნდა.</p>	<p>ღონისძიების განხორციელება დამოკიდებულია დონორისა და ფინანსებაზე, ამ ღონისძიებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხა არ არის გამოყოფილი.</p>	<p>არ შეესაბამება</p>	<p>გარემოსდაცვითი სარგებელი: ენერჯის დაზოგვა ამცირებს ჰაერში მავნე ნივთიერებების გამოყოფას. სოციალური სარგებელი: ენერჯის დაზოგვა საჯარო შენობებში (სკოლები), ენერჯოფექტური ღონისძიების ხელშეწყობა, სასწავლო გარემოს გაუმჯობესება (კომფორტი).</p>

<p>დაგეგმილი (2021-2023)</p>	<p>სათაური: ფინანსური მხარდაჭერის ღონისძიებები და ცნობიერების ამაღლების პროგრამები მზის ენერჯიაზე მომუშავე წყლის გამაცხელებლების გამოყენების ნახალისებისთვის შენობებში.</p> <p>მიზანი: განახლებადი ენერჯიის ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა, გაზის მოხმარების შემცირება.</p> <p>განხორციელების დონე: ეროვნული</p>	<p>ბიუჯეტი: უცნობია</p> <p>დაფინანსების წყარო: დამოკიდებულია არსებული დახმარების ოდენობაზე.</p> <p>განმახორციელებელი: გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო</p>	<p>18.7 მგ CO2 ეკვ. ყოველწლიურად.</p>	<p>მეთოდოლოგია და ვარაუდები კლიმატის სამოქმედო გეგმაზე მომუშავე გუნდმა შეიმუშავა.</p>	<p>ლონისძიების განხორციელება დამოკიდებულია დონორთა დაფინანსებაზე, ამ ღონისძიებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხა არ არის გამოყოფილი.</p>	<p>არ შეესაბამება</p>	<p>გარემოსდაცვითი სარგებელი: ენერჯიის დაზოგვა ჰაერში მავნე ნივთიერებების ემისიას ამცირებს.</p> <p>სოციალური სარგებელი: თანამედროვე განახლებადი ენერჯიის ტექნოლოგიების დანერგვა, მზის ენერჯიაზე მომუშავე წყლის გამაცხელებლების ადგილობრივი ბაზრის განვითარება და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა.</p>
<p>დაგეგმილი (2022-2023)</p>	<p>სათაური: 2 ახალი კომბინირებული ციკლის თბოელექტროსადგურის მშენებლობა, გარდაბანი 3 და 4</p> <p>მიზანი: ძველი, არაეფექტური თბოელექტროსადგურების დახურვა და მათი ჩანაცვლება ენერგოეფექტური თბოელექტროსადგურებით</p> <p>განხორციელების დონე: ეროვნული</p>	<p>ბიუჯეტი: კონფიდენციალური</p> <p>დაფინანსების წყარო: უცნობი</p> <p>შემსრულებელი: გარდაბანი 3- გაზის და ნავთობის კორპორაცია.</p> <p>გარდაბანი 4 – ტენდერის საფუძველზე შეირჩევა</p>	<p>საშუალოდ 510 მგ CO2 ეკვ. ყოველწლიურად.</p>	<p>გარდაბანი 1-ის გენერაცია 2019 წელს.</p> <p>ეროვნული ქსელის ემისიის ფაქტორი 2019 – 0.126 ტონა CO2 ეკვ/მგტ.სთ.</p>	<p>დაგეგმილია სადგურების ტექნიკურ-ეკონომიკური ავლევა</p>	<p>არ შეესაბამება</p>	<p>გარემოსდაცვითი სარგებელი: არაეფექტური თბოელექტროსადგურების დახურვა და მავნე ემისიების და გაზის დანაკარგების შემცირება.</p> <p>სოციალური სარგებელი: ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა ელექტროენერჯიის გენერაციის სექტორში.</p>

საქართველოს პარლამენტის მიერ 2019 წლის დეკემბერში მიღებული კანონი „განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების ნახალისების შესახებ“ სამართლებრივ საფუძველს უქმნის განახლებადი ენერჯის წარმოების ხელშეწყობის მექანიზმებს, ე.წ. „მხარდაჭერის სქემების შემუშავებას“. საერთაშორისო პრაქტიკაში ასეთი მექანიზმებია „პრემიუმ ტარიფი“, „მწვანე სერტიფიკატი“, „ფასთა სხვაობის ხელშეკრულება“ და „სპეციალური მწვანე ტარიფი“. ამ მექანიზმების მიზანია ხელი შეუწყოს ელექტროენერჯის წარმოებას განახლებადი ენერჯის წყაროებიდან (წყალი, ქარი, მზე).

მაგალითი – დაფინანსების პოტენციალი (მწვანე) ენერჯის წარმოებასა და გადაცემაში

EBRD

მწვანე ეკონომიკის დაფინანსების ფონდი (GEFF) მხარს უჭერს ბიზნესს და სახლის მფლობელებს, ვისაც მწვანე ტექნოლოგიებში ინვესტირება სურთ.

GEFF-ის ფინანსური მხარდაჭერა ჩვეულებრივი დაფინანსების ხაზის გამოყოფაზე მეტს ნიშნავს: EBRD-ის გამოცდილ ბანკირთა გუნდი, ასევე პროგრამის ტექნიკური მენეჯერები GEFF-ის პროდუქტისა და მომსახურების მაღალ ხარისხსა და ინოვაციურობას უზრუნველყოფენ.

ამასთან, მონაწილე ფინანსურ ინსტიტუტებსა და მათ კლიენტებს აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ საკონსულტაციო მომსახურებით, რათა ბაზარზე საკუთარი პოზიცია გაამყარონ.

GEFF-ის მხარდამჭერი დონორებია: ავსტრია, ბოჰუნიცეს საერთაშორისო დეკომისირების მხარდაჭერის ფონდი, BP, კანადა, კლიმატის საინვესტიციო ფონდები, ჩეხეთი, აღმოსავლეთ ევროპის ენერჯოეფექტურობისა და გარემოს დაცვის პარტნიორობის ფონდი, EBRD-ის გარდაქმნის ადრეულ ეტაპზე მყოფი ქვეყნების ფონდი, EBRD-ის სამხრეთ და აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის მრავალდონორული ფონდი, ევროკავშირი, ევროპის დასავლეთ ბალკანეთის ერთობლივი ფონდი, გერმანია, გლობალური გარემოსდაცვითი ფონდი, მწვანე კლიმატის ფონდი, იაპონია, კოზლოდუის საერთაშორისო დეკომისირების მხარდაჭერის ფონდი, ნორვეგია, სლოვაკეთი, ესპანეთი, შვედეთი, თურქეთი, ტაიპეი ჩინეთი, დიდი ბრიტანეთი.

მწვანე ეკონომიკის დაფინანსების პროგრამა (GEFF) საქართველოში არის 54 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის საკრედიტო ხაზი მონაწილე საფინანსო ინსტიტუტებისთვის, რათა სესხი გასცენ მობინადრე და კომერციულ კლიენტებს, რომლებიც ინვესტიციებს ენერჯოეფექტურობისა და განახლებადი ენერჯის პროექტებში განახორციელებენ.

GEFF-ის გამოცდილება რეგიონში მიუთითებს, რომ ცოდნისა და ექსპერტიზის არსებობა გადამწყვეტია ისეთი ტექნიკური პროექტებისთვის, როგორცაა მზის, ქარის ან ჰიდროელექტროსადგურები. ბევრი პროექტი დაზარალდა (შემცირებული გენერაცია, სადგურის დაზიანება და ა.შ.) სწორედ ტექნიკური კომპეტენციის ნაკლებობის, არასათანადო ინსტალაციის ან არასწორი დაგეგმვის გამო.

ენერჯოკრედიტმა 100 მილიონ აშშ დოლარამდე საკრედიტო ხაზი გასცა მონაწილე საფინანსო ინსტიტუტებს კავკასიაში ენერჯოეფექტურობისა და განახლებადი ენერჯის ინვესტიციებისთვის.

ვინ არის უფლებამოსილი დაფინანსების მისაღებად?

- ▶ კერძო კომპანიები, მენარმეები, ფირმები, ინდივიდუალური მენარმეები ან სხვა იურიდიული პირები, რომელთაც სურთ ინვესტირება ცალკეულ ტექნოლოგიებში;

- ▶ „მწვანე ტექნოლოგიის სარჩევში“ ჩამოთვლილი ტექნოლოგიების ან მასალების მიმწოდებლები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან მონაწილეობა მიიღონ მიმწოდებელთა დაფინანსების პროგრამაში;
- ▶ „მწვანე ტექნოლოგიის სარჩევში“ ჩამოთვლილი „მწვანე“ ტექნოლოგიების მწარმოებლები, რომლებიც თავიანთი ბიზნესის „მწვანე“ ნაწილის შენარჩუნებას ან გაფართოებას გეგმავენ.

ტექნოლოგიებს, რომლებიც ხელმისაწვდომია EBRD-ის „მწვანე ტექნოლოგიის სარჩევში“, შეუძლიათ დაფინანსების მიღება GEF-ის ფარგლებში შემდგომი ტექნიკური დამტკიცების გარეშე. ამ ტექნოლოგიების დაფინანსების პროცესი მარტივია.

ზოგიერთი მწვანე ინვესტიცია ძალიან რთულია მარტივი „წინასწარ დამტკიცებული“ მიდგომისთვის ონლაინ მწვანე ტექნოლოგიების სარჩევის გამოყენებით (მაგ. ინვესტიცია მრავალბინიან საცხოვრებელ კორპუსებში). ამ შემთხვევებში, EBRD უზრუნველყოფს შეფასების სერვისებს – ტექნიკური ექსპერტების უფასო კონსულტაციას, რაც მონაწილე ფინანსურ ინსტიტუტებსა და მათ კლიენტებს ეხმარება, რომ საუკეთესო გადაწყვეტები შეარჩიონ და მაღალი ხარისხის მწვანე ეკონომიკის პროექტები წარმატებით განახორციელონ.

GEFF-ის გუნდის საექსპერტო კონსულტაციის ფარგლებში შესაძლებელია თქვენი მწვანე პროექტების წარმატებულ ინვესტიციად გარდაქმნა და პროგრესული ნაბიჯების გადადგმა:

- ▶ ინვესტიციის შეფასება GEF-ის შერჩევის კრიტერიუმების მიმართ
- ▶ ტექნოლოგიებისა და პროცესების განსაზღვრა თქვენი ბიზნესის საჭიროებიდან გამომდინარე
- ▶ დამატებითი მწვანე საინვესტიციო შესაძლებლობების განსაზღვრა
- ▶ სხვადასხვა ტექნოლოგიის ფინანსური ანალიზის განხორციელება
- ▶ მიღწეული სარგებლის ხარისხობრივი შემოწმება პროექტის განხორციელების შემდეგ

ამ მომსახურებას EBRD-ის მიერ კონკურსით შერჩეული დამოუკიდებელი ექსპერტები ახორციელებენ და ეს უფასოდ არის ხელმისაწვდომი ბიზნესისთვის „მწვანე კლიმატის ფონდის“ (GCF) და ავსტრიის ფინანსთა სამინისტროს (BMF) მხარდაჭერით. აღნიშნულ ექსპერტებს კონსულტაციების განევა შეუძლიათ ბიზნეს გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

პარტნიორი ფინანსური ინსტიტუტები

GEFF დაფინანსებას ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტების საშუალებით აწარმოებს. ამჟამად, პროგრამაში ჩართულია შემდეგი ფინანსური ინსტიტუტები: თიბისი ბანკი, პროკრედიტ ბანკი, ბაზისბანკი.

სესხის მაქსიმალური დაფინანსების მოცულობაა:

- ▶ 300,000 აშშ დოლარამდე თანხა მცირე და წინასწარ განსაზღვრული პროექტისთვის, რაც მაღალი ეფექტურობის მქონე ტექნოლოგიებსა და მასალებს მოიცავს „მწვანე ტექნოლოგიის სარჩევიდან“
- ▶ 1 მილიონამდე აშშ დოლარის ეკვივალენტის ოდენობის თანხა ყველა სხვა დიდი მოცულობის ენერჯოეფექტურობისა და განახლებადი ენერჯო პროექტებისათვის, სადაც GEF-ის გუნდს შეუძლია კონსულტაციის განევა – ფიზიკური პირებისთვის

- ▶ 5 მილიონამდე აშშ დოლარის ეკვივალენტის თანხა ყველა სხვა დიდი მოცულობის ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერგო პროექტებისათვის, სადაც GEF-ის გუნდი კონსულტაციებს აწარმოებს – ბიზნესის, სერვის პროვაიდერების, მიმწოდებლებისა და მწარმოებლებისთვის.

დაფინანსებისათვის საჭიროა, რომ პროექტი თითოეული მონაწილე ფინანსური ინსტიტუტის მიერ დადგენილ ფინანსურ კრიტერიუმებს შეესაბამებოდეს და მათი მხრიდან სტანდარტულ შეფასების პროცესს ექვემდებარებოდეს.

საილუსტრაციოდ, იხილეთ რამდენიმე **პრაქტიკული მაგალითი** კერძო ინვესტორების შესახებ საქართველოში:

სს გრაალი-92

სს გრაალი-92 1936 წლიდან უზრუნველყოფს ისეთი ლითონის კონსტრუქციების პროექტირებას, წარმოებას, მიწოდებას და დამონტაჟებას, როგორცაა ხიდები, შენობის კარკასები, ინდუსტრიული სახურავები და სხვადასხვა ტიპის ანძების დიზაინი. სს გრაალი-92 კავკასიის მთელს რეგიონში ოპერირებს.

ლიდერის პოზიციის შესანარჩუნებლად კომპანიამ გადაწყვიტა ინვესტიცია განახორციელოს მზის PV სისტემაში, რომელიც საჭირო ელექტროენერჯის თითქმის 100%-ს გამოიმუშავებს.

ინვესტიციის დასაფინანსებლად სს „გრაალი-92“-მა GEF-ის დაფინანსებით სარგებლობა გადაწყვიტა ერთ-ერთი პარტნიორი ფინანსური ინსტიტუტის მეშვეობით. GEF-ის ექსპერტებმა პროექტის ფინანსური და ტექნიკური პარამეტრები გააანალიზეს, რის შედეგადაც გამოიანგარიშეს სარგებელი, რომელსაც კომპანია საკუთარი ენერჯის გამოიმუშავებით მიიღებდა.

\$400,000 ინვესტირებით კომპანია ყოველწლიურად 643 მგვტს ენერჯიას დაზოგავს, რაც წელიწადში არის \$65,000. ამასთან, მზის ენერჯიიდან ელექტროენერჯის გენერაცია გარემოზე უარყოფით ზეგავლენას შეამცირებს, რადგანაც წელიწადში 258 ტონით ნაკლები CO₂ გამოიყოფა.

პროექტი მხარდაჭერილია მწვანე კლიმატის ფონდისა და ავსტრიის ფინანსთა სამინისტროს მიერ.

გეოლატექსი

კომპანია თბილისში მდებარეობს და საქართველოს მასშტაბით ფართო ასორტიმენტის სამედიცინო ინვენტარის იმპორტსა და დისტრიბუციას ახორციელებს.

საწარმოს მაღალი ენერგოდამოკიდებულება და ელ.ენერჯიაზე გაზრდილი ტარიფები, კომპანიის საოპერაციო ხარჯებს მნიშვნელოვნად ზრდიდა. ამის საფუძველზე, მიიღეს გადაწყვეტილება მზის ელექტროსადგურში ინვესტირების შესახებ.

დეტალური პროექტი GEF-ის ექსპერტებს წარუდგინეს. მათ პროექტის სხვადასხვა კომპონენტი გააანალიზეს და კომპანიის მიერ მზის ენერჯის გამოყენების სარგებელი დათვალეს. საჭირო ტექნოლოგიაც, სათანადო სერტიფიცირებით, სწრაფად აღმოაჩინეს მწვანე ტექნოლოგიის სარჩევში, რამაც დაფინანსების მიღება მნიშვნელოვნად გაამარტივა.

\$100,000 ინვესტიციით, კომპანიამ 198 კვტ დადგმული სიმძლავრის მზის ენერჯიაზე მომუშავე ელექტროსადგურის შექმნა შეძლო. მისი მეშვეობით კომპანია 267 მგვტს ენერჯის გამოიმუშავებსა და წელიწადში \$36,000 დაზოგავს შეძლებს. ყოველწლიურად,

გეოლატექსი CO₂-ის ემისიას წელიწადში 138 ტონით შეამცირებს, რაც სადგურის 20+ წელის მუშაობის გათვალისწინებით, მნიშვნელოვნად ამცირებს გარემოზე უარყოფით ზეგავლენას. პროექტი მხარდაჭერილია „მწვანე კლიმატის ფონდის“ (GCF) და ავსტრიის ფინანსთა სამინისტროს მიერ (BMF) მიერ.

შილდას ჰიდროელექტროსადგური

მშენებლობის შედეგად გარემოზე ზეგავლენის მინიმუმამდე შემცირების მიზნით, კომპანიის დამფუძნებლებმა მწვანე ტექნოლოგიის გამოყენება გადაწყვიტეს და დაფინანსებისთვის EBRD-ის მწვანე ეკონომიკის დაფინანსების პროგრამას, ანუ, GEF-ს მიმართეს.

GEFF-ის კონსულტანტების დეტალური ანალიზის საფუძველზე, კომპანიამ სხვადასხვა სახის ენერგოეფექტური ელექტრო-მექანიკური მოწყობილობები შეიძინა, რომელიც CO₂-ის გამოყოფას ყოველწლიურად 10,000 ტონით ამცირებდა.

შილდა ჰესის დადგმული სიმძლავრე 5 მეგავატს შეადგეს, რომელიც წლიურად 32 მილიონ კვტ/საათ ენერჯიას გამოიმუშავებს, რაც საქართველოს ერთიან ენერჯის სისტემას მიენოდება და გამოიყენება შიდა მოხმარებისთვის.

პროექტის მხარდამჭერია „ევროკავშირი ენერჯისთვის“ (EU4Energy) და ავსტრიის ფინანსთა სამინისტრო.

ობლიგაციების ბაზრის პოტენციალი

კაპიტალის ბაზარი, მიუხედავად გარკვეული პროგრესისა, საქართველოში ჯერ კიდევ განვითარების ადრეულ ეტაპზეა.

ამის მიუხედავად, შიდა ობლიგაციების ბაზარი ფართოვდება და კორპორაციული ობლიგაციების ბაზარი ბოლო წლებში საკმაოდ იზრდებოდა. გარდა ამისა, გაიზარდა ადგილობრივ ვალუტაში გამოშვებული ობლიგაციების წილი. ასევე, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზარი მნიშვნელოვნად გაფართოვდა.

მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივ ბაზარზე მწვანე და მდგრადი ობლიგაციები არ არის გამოშვებული, ქართულმა კომპანიებმა ამ ტიპის ობლიგაციების გამოშვება უცხოურ საფონდო ბირჟებზე დაიწყეს.

სს „ჯორჯიან გლობალ უტილიტიმ“ (GGU) პირველი ქართული მწვანე ობლიგაცია გამოუშვა – 2020 წლის ივლისში „ჯორჯიან გლობალ უტილიტიმ“ \$250 მილიონი აშშ დოლარის მოცულობის „მწვანე ობლიგაციები“ განათავსა. ეს ფასიანი ქაღალდები ირლანდიის საფონდო ბირჟის გლობალურ საფონდო ბაზარზე განთავსდა. ობლიგაციებიდან მიღებული სახსრები არსებული ყველა არსებული კრედიტის რეფინანსირებას მოხმარდება განახლებადი ენერჯის და წყალმომარაგების სექტორში. ობლიგაციები 100%-ით მწვანე კატეგორიას მიეკუთვნება.


2021 წლის მაისში, ინვესტიციების მიმართულებით ბაზარზე მოქმედმა წამყვანმა პლატფორმამ „სიმბიოტიკსი“ (Symbiotics), საქართველოში პირველად, მდგრადობის ობლიგაცია გამოსცა სს მისო „კრისტალისთვის“ 5 მილიონი აშშ დოლარის ეკვივალენტი მოცულობით.

მდგრადობის ობლიგაცია განთავსებულია ლუქსემბურგის მწვანე ბირჟაზე და შემოსავალი 3 წლის მანძილზე გადანაწილდება. მწვანე სესხები გამოყენებული იქნება ენერგოეფექტურობის, განახლებადი ენერჯის, სუფთა ტრანსპორტის და მდგრადი სოფლის მეურნეობის პროექტების დასაფინანსებლად.

10. განხორციელების სტატუსის ანალიზი კერძო სექტორის პერსპექტივიდან – ტრანსპორტი

NDC-ში მოცემული ხედვის განსახორციელებლად, გამოვლენილი მიზანია სატბურის აირების ემისიების შემცირება სატრანსპორტო სექტორში 15%-ით, საბაზისო სცენარის პროგნოზთან შედარებით, 2030 წლისთვის. სატრანსპორტო სექტორში სატბურის აირების პირდაპირი და არაპირდაპირი ემისიის დონე იყო 4.21 მგტCO₂ეკვ 2015 წელს (ეროვნულ დონეზე მთლიანი ემისიების 24%), სადაც ემისიების 69% სამგზავრო, დანარჩენი კი სატვირთო ტრანსპორტიდან მოდის.

სექტორისთვის CSAP-ის ქმედებების განხორციელების შედეგად, 2030 წელს ემისიების პროგნოზირებული მაჩვენებელი იქნება 5.57 მგტCO₂ეკვ, რაც 22%-ით გაუმჯობესებას წარმოადგენს პროგნოზირებული ემისიების დონეებთან შედარებით, ყოველგვარი ქმედების გარეშე. საქართველოს განახლებული NDC მიზნად ისახავს, რომ სექტორმა 6.04 მგტCO₂ეკვ ნიშნულს მიაღწიოს 2030 წელს. ეს იმაზე მეტყველებს, რომ CSAP-ის ყველა ქმედების განხორციელება ამ სექტორისთვის NDC-ით გათვალისწინებულ მიზნებს გადააჭარბებს.



CSAP-ისთვის დაგეგმილი ქმედებები:

- ▶ ავტოპარკში დაბალი და ნულოვანი ემისიის მქონე და ტექნიკურად გამართული კერძო ავტომობილების წილის გაზრდა
- ▶ წიაღისეულ საწვავზე მოთხოვნის შემცირებისა და ბიოსაწვავის გამოყენების წახალისება
- ▶ მობილობის არამოტორიზებული საშუალებებისა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის წახალისება
- ▶ ტრანსპორტის სექტორში მტკიცებულებებზე დაფუძნებული ინოვაციური ინიციატივების განხორციელება
- ▶ ბიოდიზელის წარმოება და რეალიზაცია

- ▶ თბილისის მწვანე ტრანსპორტის პოლიტიკის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებები
- ▶ ბათუმის მდგრადი ურბანული მობილობის გეგმით (SUMP) გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებები
- ▶ ემისიის (NEEAP) ხარისხის სტანდარტები მანქანების იმპორტზე
- ▶ კლიმატის საერთაშორისო დაფინანსებისთვის წინადადებების მომზადება გაუმჯობესებული საზოგადოებრივი და არამოტორიზებული ტრანსპორტისთვის (NMT)
- ▶ ხარჯთსარგებლიანობის ანალიზის და ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის მომზადება, რათა გამოვლინდეს საუკეთესო ვარიანტები დამატებითი პოლიტიკისთვის მანქანების გამონაბოლქვის შესამცირებლად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენთვის კარგად ჩანს ეს პრიორიტეტული სფეროები გაძლიერებული მოქმედებისთვის (CSAP)

- ▶ ურბანული სამგზავრო ტრანსპორტის ჩანაცვლება საზოგადოებრივი და არამოტორიზებული ტრანსპორტით
- ▶ საქალაქთაშორისო სამგზავრო ტრანსპორტის ჩანაცვლება საზოგადოებრივი ტრანსპორტით
- ▶ კერძო მსუბუქი ავტომობილების ენერგოეფექტურობის გაუმჯობესება
- ▶ სატვირთო გადაზიდვების საგზაოდან სარკინიგზო ტრანსპორტზე გადატანა.

პოლიტიკის მოცვის არეალი და ხარვეზები

პოლიტიკის მოცვის არეალის თვალსაზრისით, საქართველოს სატრანსპორტო სექტორს მართვისა და განხორციელებისთვის გამოყოფილი ცალკე ერთეული არ გააჩნია, ისევე როგორც ეროვნული სტრატეგიები დაბალი ნახშირბადის პოლიტიკის განსახორციელებლად სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებებში (მაგ., ელექტრომობილობა, არამოტორიანი, სატვირთო).

შემარბილებელი ღონისძიებების უმეტესობა მუნიციპალიტეტის დონეზე დაიგეგმა (სამოქმედო გეგმები) და მოკლე პერიოდს მოიცავს. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული პოლიტიკის ფარგლებში მთავარი ქმედებები დაიწყო პოლიტიკის მნიშვნელოვანი საკითხების გადასაჭრელად (არაეფექტური მანქანების ამოღება, ელექტრო მანქანების (EV) და ჰიბრიდების წახალისება), მაინც რჩება პოლიტიკის სფეროები, სადაც პოტენციურად უფრო სიღრმისეული ქმედებების განხორციელება არის საჭირო. **სატრანსპორტო სექტორში განსახილველად სამი პოტენციური პრიორიტეტული ქმედება გამოიკვეთა:**

- ▶ **ელექტრომობილობის ყოვლისმომცველი სტრატეგიის** შემუშავება ელექტრიფიცირებული სატრანსპორტო რეჟიმებისთვის

ელექტრომობილობის გააქტიურება სულ ახლახან გახდა პრიორიტეტული საკითხი საქართველოში, უპირველეს ყოვლისა მუნიციპალიტეტის დონეზე.

ჯერჯერობით არ არსებობს ელექტრომობილობის ყოვლისმომცველი პროგრამა ან სტრატეგია ეროვნულ ან ქვეეროვნულ დონეზე, თუმცა კერძო ელექტრომობილობისთვის (EVs) დასამუხტი ინფრასტრუქტურის პირველი ინსტალაციები და ელექტროავტობუსების (BEB) იმპორტი 2018 წელს დაიწყო. **ელექტრომობილობის ყოვლისმომცველი სტრატეგია ცენტრალური ელემენტია, რითაც შესაძლებელი გახდება ელექტროსატრანსპორტო საშუალებების გამოყენება სამგზავრო და სატვირთო ტრანსპორტის რეჟიმებში.**

საქართველოს მოუწევს წიაღისეულ საწვავზე მომუშავე მანქანების ელექტრიფიცირებული რეჟიმით ჩანაცვლება და წიაღისეულ საწვავზე მომუშავე მანქანების გაყიდვის ეტაპობრივად შეჩერება 2030-2040 წლებში.

სტრატეგიული ხედვა, სინერგიული პოლიტიკის პაკეტთან ერთად, აუცილებელია **ძლიერი პოლიტიკის სიგნალების გასაგზავნად ურბანული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის საჭირო ფართომასშტაბიანი დაფინანსებისა და წარმოების მოსაზიდად**. ელექტრომობილობის გააქტიურება კერძო, საჯარო და კომერციული ტრანსპორტის რეჟიმებში წიაღისეულ საწვავზე მომუშავე სატრანსპორტო საშუალებების ჩანაცვლების მიზნით, დაბალნახშირბადიანი ელექტროენერჯის ქსელთან ერთად, სათბურის აირების ემისიას ამცირებს და სოციალურ-ეკონომიკური სარგებლის მოტანას უზრუნველყოფს.

► **ეროვნული და მუნიციპალური სტრატეგიების შემუშავება არამოტორიზებული ტრანსპორტისთვის**

საფეხმავლო და ველოსიპედების ინფრასტრუქტურა ნაკლებად არის განვითარებული საქართველოს უმეტეს ქალაქებში.

არამოტორიზებული ტრანსპორტის ვარიანტების ნაკლებობა კოვიდ-19 პანდემიის პერიოდში. რადგანაც არამოტორიზებული სატრანსპორტო სერვისები არ არსებობს, სატრანსპორტო აქტივობა ძირითადად მსუბუქი მანქანებით ხდება.

აქედან გამომდინარე, ეროვნულ დონეზე არამოტორიზებული ტრანსპორტის სტრატეგიის შემუშავება, პოლიტიკისა და ურბანული დაგეგმარების საკითხებში მუნიციპალიტეტებისთვის ხელმძღვანელობის განეგასთან ერთად, პირდაპირ შეიტანდა წვლილს იმ პრიორიტეტული პოლიტიკის საკითხების გადაჭრისთვის, რაც CSAP-ში არის მოცემული.

► **სარკინიგზო-სატვირთო ქვესექტორის ინფრასტრუქტურული და მარეგულირებელი რეფორმა**

საქართველო გეოგრაფიულად შავი ზღვის სანაპიროზე მდებარეობს და საზღვაო სავაჭრო მარშრუტებზე გასასვლელი აქვს, რაც ხელსაყრელ სავაჭრო ჰაბებს ქმნის ტვირთების გადაზიდვაზე მაღალი მოთხოვნით. ამას გარდა, ის ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე მდებარეობს, სადაც სტრატეგიული ტვირთების ტრანსპორტირება ხდება. ქვეყნის ეკონომიკური ზრდა და მდგრადი განვითარება დიდწილად დამოკიდებულია მისი, როგორც სატრანზიტო ქვეყნის პოტენციალის ეფექტურ გამოყენებაზე.

სატვირთო საქმიანობა სატრანსპორტო სექტორიდან სათბურის აირების ემისიების 30%-ზე მეტს განაპირობებდა 2015 წელს და ეს მაჩვენებელი შეიძლება 2030 წლისთვის გაორმაგდეს, რადგანაც ამჟამად გადაზიდვების უმეტესობა სატვირთო მანქანებით ხდება აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალზე.

საქალაქთაშორისო სარკინიგზო სისტემების ინფრასტრუქტურა და მარეგულირებელი რეფორმა ასევე წარმოადგენს გრძელვადიან ინვესტიციას, რადგან სატვირთო გადაზიდვები რკინიგზის მომგებიანობის უმნიშვნელოვანესი ელემენტია.

კერძო სექტორი კრიტიკულად იქნება ჩართული მარეგულირებელ რეფორმებში, რაშიც შედის ოპერაციების გამიჯვნა და ინფრასტრუქტურული სერვისები, ოპერაციების კომერციალიზაცია, ხოლო ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარებას რკინიგზის ეფექტურობის ამაღლება შეუძლია ისეთი გეოპოლიტიკური სტრატეგიების განხორციელების პარალელურად როგორცაა ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებები (AA) და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA).

საქართველოს კერძო სექტორი სარგებელს მიიღებს შემდგომი ინფრასტრუქტურული ინვესტიციებიდან და მარეგულირებელი რეფორმიდან, რათა საგზაო ტრანსპორტიდან სარკინიგზო გადაზიდვებზე გადავიდეს. ეს კი ხელს შეუწყობს საქალაქთაშორისო ტრანსპორტის ლოჯისტიკასა და სტრატეგიასთან დაკავშირებით პოლიტიკის სფეროში არსებული ჩავარდნის გამოსწორებას.

CSAP-ის პრიორიტეტი, რაც ამგვარ გადანაცვლებას უწყობს ხელს, კლიმატის შერბილების დიდი პოტენციალს გულისხმობს იმის გათვალისწინებით, რომ სარკინიგზო ტვირთი ექვსჯერ უფრო ენერგოეფექტურია, ვიდრე საგზაო, ასევე, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს რკინიგზა მთლიანად ელექტრიფიცირებულია. აღნიშნული ცვლილება ასევე დამატებით სარგებელს იძლევა მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად, სატვირთო მანქანებისგან წარმოქმნილი დაბინძურების შემცირების გზით.

პოლიტიკის ალტერნატივა	ყოვლისმომცველი	ცვლილების ქმედება	ენერგო-ეფექტურობა	განახლებადი რესურსები	სხვა დაბალი ნახშირბადი	არა-ენერგეტიკული
სექტორისთვის სპეციფიკური ყოვლისმომცველი სტრატეგია	დადებითი					
ჰაერის ხარისხის სტანდარტები	დადებითი					
ურბანული დაგეგმარება და ინფრასტრუქტურული ინვესტიცია		დადებითი				
მოდლობის გაზიარებაზე გადასვლის მხარდაჭერა		დადებითი				
ენერჯის/ემისიების შესრულების სტანდარტები ენერგოეფექტური მანქანებისთვის			დადებითი			
ბიოსაწვავის მხარდაჭერის სქემა				დადებითი		
სხვა მხარდაჭერა დაბალემისიანი სახმელეთო ტრანსპორტისთვის			დადებითი	დადებითი	დადებითი	
გადასახადი საწვავზე ან/და ემისიებზე		დადებითი	დადებითი	დადებითი	დადებითი	

ძალაშია მინიმუმ ერთი პოლიტიკა	პოლიტიკა დაგეგმილია	არანაირი პოლიტიკა არ მოქმედებს	არ შეესაბამება
-------------------------------	---------------------	--------------------------------	----------------

1990-იანი წლებიდან მოყოლებული, საგრძნობლად გაიზარდა საქართველოს, როგორც ევროპა-კავკასია-აზიის დამაკავშირებელი სატრანსპორტო დერეფნის ერთ-ერთი მონაკვეთის ფუნქცია.

საქართველოში რეგისტრირებული მანქანების რაოდენობა მზარდი ტენდენციით ხასიათდება. 2018 წელს მანქანების რაოდენობა 2007 წელთან შედარებით 55%-ით გაიზარდა. ყოველწლიურად, ქვეყნის შიდა საავტომობილო გზით 25 მილიონ ტონამდე ტვირთის (მთლიანი გადაზიდული ტვირთის დაახლოებით 59.9 პროცენტი) და დაახლოებით 260 მილიონი მგზავრის ტრანსპორტირება ხდება.

საერთაშორისო გადაზიდვები დიდია. წლიურმა გადაზიდვებმა 2011-2018 წლებში 30 მილიონი ტონა შეადგინა. 2018 წელს საერთაშორისო გადაზიდვები წინა წელთან შედარებით ოდნავ გაიზარდა და 31.1 მილიონ ტონას მიაღწია. ასეთი მოცულობების გამო, ძირითად ავტომანქანების ტრასებზე დატვირთვა დიდია.

კერძო სექტორზე ზემოქმედების თვალსაზრისით მიჩნევა, რომ ეს მოდერნიზაცია უშუალოდ შეუწყობს ხელს შიდა ეკონომიკურ განვითარებას ტვირთების ტრანსპორტირების ხარჯების შემცირებით და უკეთესად დააკავშირებს სოფლის ტერიტორიებს თბილისსა და საქართველოს სხვა ურბანულ ცენტრებთან.

საავტომობილო გზების ინფრასტრუქტურულმა პროექტებმა შეიძლება სხვადასხვა სახის ზეგავლენა მოახდინონ დეკარბონიზაციის გზებზე: საგზაო ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია, სავარაუდოდ, საგზაო ტვირთების გადაზიდვის აქტივობას წაახალისებს და ამ მარშრუტების გასწვრივ ემისიების გაზრდას მოიტანს შედეგად. მოდერნიზებული გზები ასევე გააუმჯობესებს ამ მარშრუტებზე მოძრავი სატრანსპორტო საშუალებების სანავის ეფექტურობას. ამავდროულად საქალაქთაშორისო საგზაო ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციით საზოგადოებრივმა ტრანსპორტმაც შეიძლება თანაბარწილად ისარგებლოს.

საქართველოს სატრანსპორტო სექტორი სწრაფად და არამდგრადი სახით იზრდება.

ქვეყანაში ავტოპარკის უმეტესი ნაწილი მოძველებულია. გარდა ამისა, სექტორში მცირე დამგზავრების და საზოგადოებრივი ტრანსპორტის გამოყენების მაჩვენებელი. ბოლო 10 წლის განმავლობაში ავტოპარკი გაორმაგდა, რაც საკმაოდ საგანგაშოა და მიანიშნებს, რომ საზოგადოებრივ ტრანსპორტზე ფოკუსირება არ ხდება.

2015-2030 წლებში სამგზავრო აქტივობა შეიძლება 50%-ით, ხოლო სატვირთო მანქანების აქტივობა – 120%-ით გაიზარდოს.

მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა სატვირთო მანქანებზე უფრო მეტ ზეგავლენას ახდენს, ვიდრე სამგზავრო ტრანსპორტზე, ეს ეხება საქართველოს გეოგრაფიულ მდებარეობასაც. საერთაშორისო ფაქტორები, როგორცაა ცენტრალურ აზიასა და ევროპას შორის ეფექტიან საერთაშორისო მგზავრობასა და ვაჭრობაზე მოთხოვნა, ხელს უწყობს სატვირთო ტრანსპორტის უფრო მეტად გააქტიურებას საქართველოში.

ქვეყანაში არ არსებობს ტრანსპორტის სექტორის, როგორც ერთიანი სისტემის ხედვა და მისი განვითარების სტრატეგია ეროვნულ დონეზე. **სექტორში ძალიან ცოტა სტანდარტია დამკვიდრებული.**

სტრატეგიულად სწორი ქმედებები და მდგრადი განვითარების პრინციპები მხოლოდ ცალკეული მუნიციპალიტეტების დონეზე ხორციელდება. ავტობუსების პარკი განახლდა და პოლიტიკისა და სტრატეგიის დოკუმენტები შემუშავდა საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემის და არამოტორიზებული ტრანსპორტის მოხმარების გაზრდის ხელშესაწყობად.

ეს დოკუმენტებია:

1. თბილისის მდგრადი ურბანული ტრანსპორტის სტრატეგია
2. თბილისის მდგრადი ურბანული მობილობის სტრატეგია (დამუშავების პროცესშია)
3. რუსთავის ველოსიპედით გადაადგილების სტრატეგია
4. ბაკურიანის მულტიმოდალური სატრანსპორტო სტრატეგია (დამუშავების პროცესშია)
5. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში დაბალემისიანი საზოგადოებრივი ტრანსპორტის რეგიონული გენერალური სქემა
6. ბათუმის ინტეგრირებული მდგრადი ურბანული მობილობის გეგმა
7. ხულოს მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის მდგრადი განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა
8. ქედის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის მდგრადი განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა

9. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის მდგრადი განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა
10. შუახევის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის მდგრადი განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა
11. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის მდგრადი განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.

საქართველომ 2018 წლიდან საგადასახადო შეღავათები შემოიღო ელექტრო და ჰიბრიდული მანქანების იმპორტის სტიმულირების მიზნით. ამან საგრძნობლად გაზარდა ჰიბრიდული მანქანების წილი იმპორტირებულ მანქანებში (2016 წელს 5.5%-დან 2018 წელს 34.8%-მდე).

2017 წლის 1 დეკემბერს საქართველოს მთავრობამ მიიღო დადგენილება ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების შესახებ. დადგენილება ძალაში 2018 წელს შევიდა და მიზნად ისახავს ავტომობილების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ერთიანი ორგანიზაციულ-ტექნიკური და ნორმატიული ბაზის ჩამოყალიბებას.

კერძო სექტორი ძირითადად არაპირდაპირი გზით არის ჩართული საწარმოების დონეზე და, რა თქმა უნდა, გადაზიდვასა და ლოჯისტიკის ინდუსტრიაზე არის კონცენტრირებული. საქართველოს უნიკალური მდებარეობის გამო, საერთაშორისო ტრანზიტი მნიშვნელოვან კომერციულ შესაძლებლობას ქმნის, სერვისებთან და ტურიზმთან ერთად.

საილუსტრაციოდ, ქვემოთ მოცემულია ზოგიერთი შემარბილებელი ღონისძიება:

<p>სათაური: ბიოდიზელის წარმოება საქართველოში - შპს „ბიოდიზელი ჯორჯია“.</p> <p>მისამართი: ემისიების შემცირება ნავთობდბიზელის ბიოდიზელით ჩანაცვლებით</p> <p>განხორციელების დონე: ერთ-ვეული</p>	<p>დაფინანსების წყარო: კერძო ინვესტიცია</p> <p>განმახორციელებელი: ბიოდიზელი ჯორჯია“.</p> <p>სხვა პარტნიორი</p> <p>ორგანიზაციები: შინაგან საქართველოს ბიომასის ასოციაცია</p>	<p>32 გგ CO2 ეკვ. ყოველწლიურად 2030 წლისთვის</p>	<p>ერთი ტონა ნავთობდბიზელის ნაცვლად ერთი ტონა ბიოდიზელის გამოყენებით იზრდება 2.67 ტონა ნახშირორჟანგის ემისია ატმოსფეროში. 2020 წლიდან 15 ტონა ბიოდიზელი ინარჩუნება თვითრად.</p>	<p>2018 წლის ივლისში გა- ისხნა საწარმო შპს „ბი-ოდიზელი ჯორჯია“ (www.fb.d.ge). სატესტო რეჟიმის შემდეგ ქარხანამ მიაღწია თვეში 10 ტონა ბიოდიზელის წარმოებას. პროექცია იყიდება სხვადასხვა ავტოგასამართი სადგურების ქსელში, მინერალური დიზელში 10% მინარევის სახით, „P10 ბიოდიზელი“ მარკის სახელწოდებით.</p>	<p>სათბურის აირების ემისია ყოველწლიურად მცირდება: 2018 – 0.48 გგ CO2 ეკვ. 2019 – 0.63 გგ CO2 ეკვ.</p>	<p>გარემოსდაცვითი სარგებელი: გარემოში საგზაო ტრანსპორტიდან მავნე ნივთიერებების ემისიები შემცირდა.</p> <p>სოციალური სარგებელი: შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები. დამუშავებული ნივთიერების ობიექტიდან შეგროვდება და გადამამუშავდება.</p>
<p>სათაური: ურბანული მობილობა – თბილისში მეტროპოლიტენის გაფართოება.</p> <p>მისამართი: თბილისის მეტროს სისტემის გაფართოება ერთი დამატებითი სადგურით.</p> <p>განხორციელების დონე: ადგილობრივი</p>	<p>ბიუჯეტი: 31.2 მილიონი ევრო</p> <p>დაფინანსების წყარო: აბიის განვითარების ბანკი (AIB)</p> <p>განმახორციელებელი: მუნიციპალური განვითარების ფონდი</p>	<p>503 გგ CO2 ეკვ. ყოველწლიურად 2030 წლისთვის</p>	<p>საბოლოო ენერგეტიკული დანახოვი გამოითვალა მოდულიური ცვლით ინდივიდუალური ავტომობილებიდან მეტროში გადაადგილებაზე გადასვლის საფუძველზე, 1000 მგზავნი-კმ ენერგომომხარების რაოდენობის გამოყენებით. სავარაუდოდ ტიპური მგზავნი გადის 6.4 კმ-ს, რის შედეგადაც 28.16 მლნ მგზავნი კილომეტრზე ყოველწლიურად გადაინაცვლებს ავტომობილებიდან მეტროზე.</p>	<p>ახალი მეტროსადგური ფუნქციონირებს 2017 წლიდან.</p> <p>საბოლოო ენერგეტიკული დანახოვი გამოითვალა მოდულიური ცვლით ინდივიდუალური ავტომობილებიდან მეტროში გადაადგილებაზე გადასვლის საფუძველზე, 1000 მგზავნი-კმ ენერგომომხარების რაოდენობის გამოყენებით. სავარაუდოდ ტიპური მგზავნი გადის 6.4 კმ-ს, რის შედეგადაც 28.16 მლნ მგზავნი კილომეტრზე ყოველწლიურად გადაინაცვლებს ავტომობილებიდან მეტროზე.</p>	<p>მარშრუტის მანძილი გაიზარდა 1.5 კმ-ით და მოსალოდნელია, რომ ეს გაფართოება მეტროს ქსელში მგზავრთა რაოდენობას ყოველწლიურად 4.4 მილიონით გაზრდის. სათბურის აირების ემისიების წლიური შემცირება სტატისტიკის არარსებობის გამო ვერ დაითვალა.</p>	<p>გარემოსდაცვითი სარგებელი: გარემოში მავნე ნივთიერებების ემისიები შემცირდა საგზაო ტრანსპორტიდან.</p> <p>სოციალური სარგებელი: შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები. შეიქმნა საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემა. გაზრდილი ეკონომიკური აქტივობა მეტროსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე.</p>
<p>სათაური: საქართველოს რკინიგზის გაფართოება და მოდერნიზაცია</p> <p>მისამართი: სარკინიგზო ხაზის შესაძლო გამტარუნარიანობის გაზრდა</p> <p>განხორციელების დონე: ეროვნული</p>	<p>ბიუჯეტი: 147.384 მილიონი ევრო</p> <p>დაფინანსების წყარო: საქართველოს რკინიგზა</p> <p>განმახორციელებელი: საქართველოს რკინიგზა</p>	<p>46.2 გგ CO2 ეკვ. ყოველწლიურად 2030 წლისთვის</p>	<p>ენერჯის დაზოგვა განპირობებული იქნება სატვირთო ავტომობილებით გადაზიდვიდან სარკინიგზო სატვირთო გადაზიდვებზე გადასვლით. შპს საქართველოს რკინიგზის მიერ მონოპოლი ინფორმაციის საფუძველზე ტონა-კმ/წელიწადში ტვირთის მონიტორინგი.</p>	<p>ამჟამად მთლიანი სამუშაოების 86% დასრულებულია. პროექტის ნაწილი, რომელიც ეხებაოდა ხაზის გასწვრივ სარკინიგზო ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციას და სამი გვირაბის მშენებლობას.</p>	<p>სათბურის აირების ემისიების შემცირება დაითვლება რკინიგზის გაფართოების დასრულებისთანავე.</p>	<p>გარემოსდაცვითი სარგებელი: გარემოში საგზაო-სატვირთო ტრანსპორტიდან მავნე ნივთიერებების ემისიები შემცირდა.</p> <p>სოციალური სარგებელი: შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები.</p>

<p>სათაური: სატრანსპორტო თბილისში სატრანსპორტო სისტემის გაუმჯობესების ღონისძიებები</p> <p>მიზანი: არსებული სატრანსპორტო და გარემოსდაცვითი მდგომარეობის გაუმჯობესება, კერძოდ მანქანების მოხმარების საზოგადოებრივი ტრანსპორტით ჩანაცვლება.</p> <p>განხორციელების დონე – ადგილობრივი</p>	<p>ბიუჯეტი: 27.5 მილიონი ევრო</p> <p>დაფინანსების წყარო: ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი (EBRD)</p> <p>განმახორციელებელი: თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა და სხვა პარტნიორი ორგანიზაციები: თბილისის სატრანსპორტო კომპანია; თბილისის მიკროავტობუსი; თბილისის პარკინგი</p>	<p>100 მგ CO2 ეკვ. ყოველწლიურად 2030 წლისთვის</p>	<p>ენერჯის მოხმარების საბოლოო დანაშაფი გამოითვლება დიზელის ავტობუსების ახალი, ეფექტური CNG ავტობუსებით ჩანაცვლების შედეგად დაზოგვით ენერჯის საფუძველზე. საერთო საბოლოო ენერჯის მოხმარების დანაშაფი გამოითვლება ბაზრის მთლიანი პოტენციალის საფუძველზე (ჩანაცვლებული ავტობუსები #) დროთა განმავლობაში.</p>	<p>2017 წელს თბილისში 143 MAN CNG ავტობუსი ჩამოყვანეს; 2019 წელს თბილისში 310 ავტობუსი დაემატება. იდენტიფიცირებულია 10 მთავარი დერეფანი და მიმდინარეობს ავტობუსის ზოლების მონიშვნა ეტაპობრივად.</p>	<p>სათურის აირების ემისიების შემცირების დაითვლება პროექტის დასრულების და სტატისტიკის შემოწმების დაწყებისთანავე.</p>	<p>გარემოსდაცვითი სარგებელი: შემცირდა საგზაო ტრანსპორტიდან მავნე ნივთიერებების ემისია გარემოში.</p> <p>სოციალური სარგებელი: შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები. შემცირდება ავტოსაგზაო შემთხვევების რაოდენობა.</p>
<p>სათაური: ბათუმში სატრანსპორტო სისტემის გასაუმჯობესებლად გასატარებული ღონისძიებები</p> <p>მიზანი: არსებული სატრანსპორტო და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება, კერძოდ მანქანების მოხმარების საზოგადოებრივი ტრანსპორტით ჩანაცვლება.</p> <p>განხორციელების დონე: ადგილობრივი</p>	<p>ბიუჯეტი: 2.5 მილიონი ევრო</p> <p>დაფინანსების წყარო: ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი (EBRD)</p> <p>განმახორციელებელი: ბათუმის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა</p>	<p>7 მგ CO2 ეკვ. ყოველწლიურად 2030 წლისთვის</p>	<p>სათურის აირების ემისიების შემცირება ამორტიზებული დიზელის ავტობუსების ახალი, ხარჯოეფექტური ევრო-5 დიზელის და ელექტრო-ავტობუსებით ჩანაცვლების შედეგად დაზოგვით ენერჯის საფუძველზე გამოითვლება.</p>	<p>შეგნულია 40 დიზელზე მომუშავე და 10 ელექტრო-ავტობუსი და მიმდინარეობს საბოლოო პროექტი და ელექტრო-ავტობუსის გამოწერა ავტობუსის ბოლის გამოყოფის მიზნით.</p>	<p>სათურის აირების ემისიების შემცირება პროექტის დასრულების და სტატისტიკური მონაცემების შეგროვებისთანავე იქნება გამოთვლილი.</p>	<p>გარემოსდაცვითი სარგებელი: შემცირდა საგზაო ტრანსპორტიდან მავნე ნივთიერებების ემისია გარემოში.</p> <p>სოციალური სარგებელი: ახალი სამუშაო ადგილები შეიქმნება. ავტოსაგზაო შემთხვევების რაოდენობა შემცირდება.</p>
<p>სათაური: საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემების და არამოტორიზებული მანქანების სიმძლავრის, ხარისხის და ეფექტიანობის გაუმჯობესება.</p> <p>მიზანი: არსებული სატრანსპორტო და ეკოლოგიური სიტუაციის გაუმჯობესება, კერძოდ მანქანების მოხმარების ჩანაცვლება საზოგადოებრივი ტრანსპორტით.</p> <p>განხორციელების დონე: ადგილობრივი (შუგდიდი, რუსთავი, ქუთაისი და გორი)</p>	<p>ბიუჯეტი: 18.7 მილიონი ევრო</p> <p>დაფინანსების წყარო: ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი (EBRD)</p> <p>განმახორციელებელი: მუნიციპალური მმართველობა</p>	<p>141 მგ CO2 ეკვ. ყოველწლიურად 2030 წლისთვის</p>	<p>სათურის აირების ემისიების შემცირება ამორტიზებული დიზელის ავტობუსების ახალი, ხარჯოეფექტური ევრო-5 დიზელის და ელექტრო-ავტობუსებით ჩანაცვლების შედეგად დაზოგვით ენერჯის საფუძველზე გამოითვლება.</p>	<p>175 ავტობუსი უკვე შესყიდულია, გამოვლინდება გამარჯვებული კომპანია, რომელიც ამ ავტობუსების სხვადასხვა მარშრუტებზე გადაინაწილებს სტრატეგიას შეიმუშავებს, ასევე სატრანსპორტო უწყება ჩამოყალიბდება 6 ქალაქში, რომელიც ავტობუსების ოპერირებას მომავალშიც განაგრძობს.</p>	<p>სათურის აირების ემისიების შემცირება პროექტის დასრულების და სტატისტიკური მონაცემების შეგროვებისთანავე იქნება გამოთვლილი.</p>	<p>გარემოსდაცვითი სარგებელი: შემცირდა საგზაო ტრანსპორტიდან მავნე ნივთიერებების ემისია გარემოში.</p> <p>სოციალური სარგებელი: ახალი სამუშაო ადგილები შეიქმნება. ავტოსაგზაო შემთხვევების რაოდენობა შემცირდება.</p>

განხორციელების ბარიერები და გამოწვევები

საქართველოს სატრანსპორტო სექტორი ამჟამად რამდენიმე ძირითადი სოციალური საკითხისა და პოლიტიკური განსჯის საგანია. სექტორი გადამწყვეტ გზაგასაყარზე დგას: **ტრანსპორტში ინვესტიციები ჩაკეტვის მაღალ ხარისხს ინვეს ინფრასტრუქტურისა და ტექნოლოგიების ხანგრძლივი მუშაობის გამო**, ამიტომ გადამწყვეტილებები იმაზე, თუ როგორ უნდა მოგვარდეს ეს მიმდინარე საკითხები, განსაზღვრავს, თუ როგორ განვითარდება სექტორი მომდევნო წლების და ათწლეულების მანძილზე.

ელ-მობილობის ყოვლისმომცველი სტრატეგიის შემუშავება

საწყის ეტაპზე ინფრასტრუქტურის მაღალი ხარჯები; საჯარო და კერძო დამტენი პუნქტების ნაკლები სიმჭიდროვით განთავსება; არასაკმარისი სტიმული (მათ შორის არაფინანსური) კორპორაციებისთვის და მოთხოვნის მხარის გასააქტიურებლად.

ეროვნული და მუნიციპალიტეტის სტრატეგიების შემუშავება არამოტორიზებული ტრანსპორტის მიმართ

მაღალი საინვესტიციო საჭიროებები უსაფრთხო და მოსახერხებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის; ურბანული დაგეგმარებისა და სივრცის გადახედვა ქალაქებში; საზოგადოებრივი აღქმა ფეხით მოსიარულეთა / ველოსიპედით სამოძრაო ინფრასტრუქტურის ხარისხის მიმართ, საგზაო უსაფრთხოება, ამინდის / ტემპერატურული პირობები, კულტურული და ქცევითი მოსაზრებები.

ინფრასტრუქტურული ინვესტიციები და სარკინიგზო-სატვირთო ქვესექტორის მარეგულირებელი რეფორმა

ინფრასტრუქტურულ პროექტების და პრიორიტეტების მიმართ ზემოქმედების ყოვლისმომცველი ანალიზის არარსებობა; რკინიგზის განვითარების გრძელვადიანი გეგმისა და ფართომასშტაბიანი ინფრასტრუქტურის დაფინანსების სტრატეგიების არარსებობა.

ბარიერები ხარჯების შეფასების და განხორციელების მიმართ

ელ-მობილობის ყოვლისმომცველი სტრატეგიის შემუშავება

L1 ნელი დამუხტვის პუნქტი (სახლის დამტენის ინფრასტრუქტურა): 600-800 აშშ დოლარი – თითო დამტენი DC სწრაფი დამუხტვის პუნქტი (საჯარო დამტენის ინფრასტრუქტურა) – 50/100/150 კვტ: 28/75/140 ათასი აშშ დოლარი თითო პუნქტზე.

ეროვნული და მუნიციპალიტეტის სტრატეგიების შემუშავება არამოტორიზებული ტრანსპორტისთვის

სხვა საერთაშორისო გამოცდილებაზე დაფუძნებული შეფასება:
NMT მარშრუტების 4.5 კმ (კეიპ ტაუნი) 2.5 მილიონი აშშ დოლარი
NMT მარშრუტების 116 კმ (ნაირობი): 103 მილიონი აშშ დოლარი
NMT მარშრუტების 370 კმ (ბოგოტა): 1.1 მილიარდი აშშ დოლარი

ინფრასტრუქტურული ინვესტიციები და სარკინიგზო-სატვირთო ქვესექტორის მარეგულირებელი რეფორმა

თბილისი-მახინჯაურის მოდერნიზაციის პროექტი (რეკონსტრუქცია 23 კმ, ახალი 38 კმ, 7 გვირაბი): ~233 მილიონი ევრო.

BTK პროექტი (178 კმ, 85% რეკონსტრუქცია, 15% ახალი): 775 მილიონი ევრო.

პარიზის შეთანხმებასთან თავსებადი გრძელვადიანი ტრაექტორია

პარიზის შეთანხმების მიზნები მნიშვნელოვანი ზეგავლენას ახდენს სატრანსპორტო სექტორის განვითარებაზე საქართველოში: საქართველოში ტრანსპორტიდან სატურის აირების ემისიების პროგნოზირებული სწრაფი ზრდისგან განსხვავებით, ამ სექტორიდან ემისიებმა პიკს რაც შეიძლება ადრე უნდა მიაღწიოს და ნულამდე შემცირდეს. საუკუნის მეორე ნახევარი (IPCC, 2018).

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შეთანხმების შესრულებისთვის მხარეების მოეთხოვებათ, რომ მინიმუმამდე შეზღუდონ მოკლევადიანი ინვესტიციები წიაღისეულ საწვავის მომხმარებელ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაში და საშუალო და გრძელვადიან პერიოდში ტრანსპორტირების ისეთ სექტორზე გადავიდნენ, სადაც ნახშირბადის მოხმარება 100%-ით ნულოვანია.

პარიზის შეთანხმება დაფუძნებულია „საერთო, მაგრამ დიფერენცირებული პასუხისმგებლობის“ პრინციპზე, რომლის თანახმადაც ყველა ქვეყნისგან მოელიან სრულ დეკარბონიზაციას, თუმცა სხვადასხვა სიჩქარით და სხვადასხვა ფინანსურ პირობებში.

მოსალოდნელია, რომ განვითარებული ქვეყნები უფრო სწრაფად შეძლებენ შერბილებას განვითარებად ქვეყნებთან შედარებით, რათა უზრუნველყონ განვითარების შესაძლებლობა და ტექნიკური თუ ფინანსური დახმარება გაუწიონ საქართველოს მსგავს განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებს დეკარბონიზაციის საკითხში. ამდენად, საქართველომ უკვე უნდა იმუშაოს დეკარბონიზაციის გზაზე, რომელიც თანხვედრაში იქნება შეთანხმების მიზნებთან და ამავე დროს სხვა განვითარების პრიორიტეტებზე დაადგინოს ეროვნულ დონეზე.

კერძო სექტორის ზეგავლენის პოტენციალის გამოვლენის გაგებისთვის, საინტერესო იქნებოდა, თუ რა მიმართულებით შეიძლება განვითარდეს სატრანსპორტო ემისიების ზოგადი ტენდენცია დეკარბონიზაციის სცენარის ფარგლებში, თუკი შევადარებთ იმ მზარდ ემისიებთან, რაც სახეზე იქნება მომავალი ათწლეულების განმავლობაში მიმდინარე პოლიტიკის პირობებში.

მაგალითად, ორი განსხვავებული სცენარი შეიძლება წარმოადგენდეს სხვადასხვა ალტერნატივას, თუ როგორ შეიძლება ტრანსპორტის სექტორის დეკარბონიზაცია:

1. „კლასში საუკეთესო“ სცენარი, რომელიც სხვა ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის გამოცდების პოტენციალს ეფუძნება;
2. „პარიზის შეთანხმებასთან თავსებადი“ სცენარი, რომელიც მიჰყვება გლობალურ ტენდენციებს საერთაშორისო წყაროების მიხედვით

ორივე სცენარი ორ განსხვავებულ გზას წარმოადგენს, თუ მომავალში როგორ შეიძლება ტრანსპორტის სექტორის განვითარება საქართველოში.

შედეგად მიღებული ემისიის გზები შედარებულია საერთაშორისო ლიტერატურის „2°C თავსებადი“ სცენარების დიაპაზონთან (IEA, 2017a, 2018; IPCC, 2018).

ინდიკატორი	„კლასში საუკეთესო“ სცენარი	პარიზის შეთანხმებასთან თავსებადი სცენარი
სამგზავრო ტრანსპორტი		
ემისიის საშუალო ინტენსივობა არაელექტრო-ფიცირებული პერსონალური სატრანსპორტო საშუალებისთვის	<p>ევროკავშირის სამიზნეები:</p> <ul style="list-style-type: none"> 95 გCO₂/vkm 2020 წლისთვის ახალი მანქანების შემთხვევაში 2020 წელთან შედარებით 15%-იანი შემცირება 2025 წლისთვის და 31-37.5%-იანი – 2030 წლისთვის (81 გCO₂/vkm 2025 წლისთვის და 59-68 გCO₂/vkm 2030 წლისთვის) <p>დაშვება საქართველოსთვის: მსგავსი განვითარება და სამიზნეები 10 წლის დაგვიანებით, ემისიების საშუალო ინტენსივობის მიღწევა – 95 გCO₂/vkm 2030 წლისთვის და 59-68 გCO₂/vkm 2040 წლისთვის. „კლასში საუკეთესო“ სცენარისთვის ქვედა და ზედა ზღვარი პარიზის შეთანხმებასთან თავსებადი სცენარისთვის.</p> <p>წყარო: ევროპის ტრანსპორტისა და გარემოს დაცვის ფედერაცია, 2018; Climate Action Tracker, 2018b.</p>	
მოდული გაცოფა	<p>საზოგადოებრივი ტრანსპორტის აქტივობის წილი</p> <p>რეჟიმის წილი ევროპის ტრანსპორტის საგზაო რუკის ანგარიშისთვის შემუშავებული ამბიციური სცენარის მიხედვით:</p> <ul style="list-style-type: none"> 2050 წელს ყველა მგზავრობის 45% საზოგადოებრივი ტრანსპორტით განხორციელდა. <p>დაშვება საქართველოსთვის: იგივე რეკომენდაცია, როგორც ევროპის ტრანსპორტის საგზაო რუკის ანგარიშში, თუ ვივარაუდებთ, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტი მოიცავს ავტობუსებით და მატარებლებით გადაადგილებას და LDV-ები მგზავრობის დარჩენილ წილს შეადგენს (~55%).</p> <p>წყარო: „გრინფისი“ (Greenpeace) (მაღე გამოქვეყნდება)</p>	<p>სამიზნე OECD-ის აზიის რეგიონისთვის, ძლიერი მმართველობის (ROG) სცენარის მიხედვით, რომელიც ვარაუდობს, რომ ადგილობრივი მთავრობები აქტიურ როლს ასრულებენ პირადი სატრანსპორტო საშუალებების (LDVs) მფლობელობისა და გამოყენების შემცირებისთვის 2020 წლიდან მოყოლებული:</p> <ul style="list-style-type: none"> 2050 წელს ყველა მგზავრობის 56% საზოგადოებრივი ტრანსპორტით განხორციელდა. <p>დაშვება საქართველოსთვის: იგივე დაშვება, როგორც აზიის რეგიონისთვის, თუ საზოგადოებრივი ტრანსპორტი მოიცავს ავტობუსებით და მატარებლებით გადაადგილებას და LDV-ები დარჩენილ წილს შეადგენს (~44%).</p> <p>წყარო: OECD/ITF Transport Outlook, 2017. თავი 5, ცხრილი 5.2.</p>
ელექტრო-ფიცირებული სამგზავრო ტრანსპორტის საქმიანობის წილი	<p>„კარგი პრაქტიკის“ სცენარი შემუშავებული ფაქტებს და სხვების მიერ, ნორვეგიაში ახალი მანქანების გაყიდვებში ელექტრომობილების 30%-იანი წილის საფუძველზე:</p> <ul style="list-style-type: none"> LDV პარკის 17% – 2030 წლისთვის; 35% – 2040 წლისთვის და 54% – 2050 წლისთვის ელექტრო იქნება, ავტობუსების პარკის 20% – 2030 წლისთვის; 39% – 2040 წლისთვის, ხოლო 58% – 2050 წლისთვის ელექტრო იქნება. <p>დაშვება საქართველოსთვის: იგივე ტენდენცია, რაც ზემოთ იქნა მოხსენიებული „კარგი პრაქტიკის“ სცენარში.</p> <p>წყარო: Fekete et al., 2015; Climate Action Tracker, 2018b.</p>	
სატვირთო ტრანსპორტი		
ემისიის საშუალო ინტენსივობა არაელექტრო-ფიცირებული სატვირთო ტრანსპორტისთვის	<p>ევროკავშირის სამიზნეები:</p> <ul style="list-style-type: none"> 2025 წელს 15%-ით ნაკლები, 2019 წელთან შედარებით, 2030 წელს მინიმუმ 30%-ით ნაკლები, ვიდრე 2019 წელს. <p>დაშვება საქართველოსთვის: იგივე სამიზნეები, რაც ევროკავშირისთვის, მაგრამ ემისიის ინტენსივობის დონეებთან შედარებით საბაზისო წელს (2015წ.).</p> <p>წყარო: ევროპის ტრანსპორტისა და გარემოს დაცვის ფედერაცია, 2018 წ</p>	
მოდული გაცოფა	<p>სარკინიგზო ტვირთის წილი</p> <p>ევროპული ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი, რომლებშიც შიდა ტვირთების დიდი წილის გადაზიდვა რკინიგზით ხდება:</p> <ul style="list-style-type: none"> ლატვიაში აშუამად ტვირთების 80% რკინიგზით გადაიზიდება. <p>დაშვება საქართველოსთვის: იმავე დონეების მიღწევა 2050 წლისთვის, როგორც ლატვიის კარგი პრაქტიკის მაგალითშია.</p> <p>წყარო: Climate Action Tracker, 2018</p>	

<p>ელექტრიფიცირებული სატვირთო აქტივობის წილი</p>	<p>2030 წლისთვის ევროკავშირის 30%-იანი ინდიკატორის საფუძველზე:</p> <ul style="list-style-type: none"> • სატვირთო მანქანების პარკის 16% – 2030 წლისთვის; 37% – 2040 წლისთვის, ხოლო 58% – 2050 წლისთვის ელექტრო იქნება. <p>დაშვება საქართველოსთვის: ევროკავშირისთვის შემოთავაზებული დონეების მსგავსი ნიშნულის მიღწევა და მსგავსი მზარდი ტენდენციის შენარჩუნება ამის შემდეგ. რკინიგზით ტვირთის გადაზიდვა 100% 2030 წლისთვის ელექტრო იქნება.</p> <p>წყარო: Climate Action Tracker, 2018</p>	<p>გლობალური სატრანსპორტო სექტორის ნიშნულები, რათა სრულ დეკარბონიზაციას მივაღწიოთ საუკუნის შუა პერიოდისთვის:</p> <ul style="list-style-type: none"> • სატვირთო მანქანების პარკის 33%-42% – 2030 წლისთვის; 75%-91% – 2040 წლისთვის და 99%-100% – 2050 წლისთვის ელექტრო იქნება <p>დაშვება საქართველოსთვის: იგივე, რაც გლობალურ ინდიკატორებში, სამიზნედ აღებულია დიაპაზონის ქვედა ზღვარი. რკინიგზით ტვირთის გადაზიდვა 2030 წლისთვის 100% ელექტრო იქნება.</p> <p>წყარო: Climate Action Tracker, 2018</p>
---	--	---

ანალიზი: საქმიანობის/ბიზნესის ჩვეულ რეჟიმში მიმდინარეობის (BAU) სცენარით ემისიების ზრდა არის პროგნოზირებული, თუმცა, ამ სცენართან მკვეთრი კონტრასტით, **ტრანსპორტის სექტორიდან ემისიებმა პიკურ მაჩვენებლამდე უნდა აიწიოს და შემდეგ შემცირდეს რაც შეიძლება ადრე, რათა სექტორის დეკარბონიზაცია მოხდეს პარიზის შეთანხმების მიზნების შესაბამისად.**

ტრანსპორტის სექტორიდან ემისიები, როგორც „კლასში საუკეთესო“, ასევე „პარიზის შეთანხმებასთან თავსებადი“ სცენარის მიხედვით, პიკს მოკლევადიან პერიოდში მიაღწევს და კლებას მომდევნო ათწლეულების განმავლობაში დაიწყებს.

შედეგები: მიუხედავად იმისა, რომ მოდალური ცვლილებების პრიორიტეტად დასახვა საჭირო ელექტროფიკაციის დონეს შეამცირებს მოკლევადიან პერიოდში, ყველა შემთხვევაში აუცილებელია ელექტრომანქანების შედარებით მაღალი წილი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ სფეროში ამბიციური პოლიტიკა ამჟამად ნაკლებად არსებობს, რადგან საზოგადოებრივი ტრანსპორტის ფართომასშტაბიანი ელექტროფიკაციის სტრატეგია არ შემუშავებულა და ფინანსური წახალისება ჯერჯერობით არაერთგვაროვან შედეგებს იძლევა. ელექტრიფიკაციაზე მოთხოვნა მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ინფრასტრუქტურის ფართომასშტაბიან განვითარებაზე, როგორცაა, მაგ. საჭირო ტექნოლოგიისა და ინფრასტრუქტურის დანერგვა ქვეყანაში ელექტრომობილების რაოდენობის გაზრდის მხარდასაჭერად და სარკინიგზო (სამგზავრო და სატვირთო) ტრანსპორტზე გადასვლა.

დავალება საჭარო და კერძო სექტორისთვის: იპოვეთ სწორი მიქსი მოდალურ ცვლასა და ელექტრიფიკაციას შორის საქართველოსთვის, მისი გეოგრაფიული, სოციალური და პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით.

ტრანსპორტის სექტორის სრული დეკარბონიზაციის მიღწევა ასევე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ელექტროენერჯის მიწოდების სექტორის დეკარბონიზაციაზე, პარიზის შეთანხმებაში გათვალისწინებული ტემპერატურული ლიმიტის შესაბამისად.

საერთაშორისო ტექნიკური მხარდაჭერის პროგრამები ტრანსპორტის სექტორისთვის

ამჟამად, არაერთი პროგრამა ხორციელდება ტრანსპორტის სექტორში ეროვნული და სუბნაციონალური სტრატეგიის შემუშავების მხარდასაჭერად. ზოგიერთ მათგანში, საინუსტრაციო მიზნებისთვის, შედის, მაგრამ არა მხოლოდ:

- ▶ **მდგრადი დაბალემისიანი ტრანსპორტის განვითარების** პროექტი, რომელსაც CENN და გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა (UNEP) ახორციელებს „საწვავის ეკონომიის გლობალური ინიციატივის“ (GFEI) ფარგლებში, მხარს უჭერს საქართველოს,

რომ განახორციელოს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების შესასრულებლად საჭირო პოლიტიკები, კონკრეტულად კი ის ღონისძიებები, რომლებიც ჰაერის ხარისხზე მოახდენს ზეგავლენას.

- ▶ **მწვანე ქალაქების** პროექტი, რომელსაც გაეროს განვითარების პროგრამა ახორციელებს, მხარს უჭერს ბათუმს, თბილისს და აჭარას ინტეგრირებული მდგრადი ტრანსპორტის სტრატეგიების შემუშავებაში, მათ შორის ურბანული ტრანსპორტის ტექნიკური პარამეტრების მოდელირებასა და კონკრეტული პოლიტიკის ინტერვენციების შემუშავებაში.
- ▶ GIZ-ის და „ახალი კლიმატის ინსტიტუტის“ (NewClimate Institute) მიერ განხორციელებული **კლიმატის პოლიტიკის შესაძლებლობების განვითარების (CDCP)** პროექტი, რომლის ფარგლებშიც წინამდებარე ანგარიშია მომზადებული, კლიმატის ცვლილების დაგეგმვის პროცესებზე პასუხისმგებელ ინსტიტუტებს უწევს დახმარებას, რათა ტრანსპორტის სექტორისთვის კლიმატის ცვლილების შერბილება სათანადოდ დაგეგმონ და კლიმატის ცვლილების შესარბილებლად დამატებითი ღონისძიებები გამოავლინონ, 2021-2023 წლების „კლიმატის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმაში“ ტრანსპორტის სექციის მომზადებისთვის.
- ▶ AFD-ის მიერ განხორციელებული **ურბანული ტრანსპორტის საკონსულტაციო და ტექნიკური დახმარების** პროექტები, რომელთა მიზანია თბილისის მერიის დახმარება SUMP-ის განხორციელებასა და კოორდინაციის პროცესებში, თბილისის ურბანული და ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელისა და თბილისის სატრანსპორტო კომპანიისთვის კონსულტაციის განწვევა ისეთ საკითხებში, როგორცაა შესაძლებლობების ამაღლება ექსპლუატაციისა და ტექნიკური უზრუნველყოფის, პროექტის მართვის და ზედამხედველობის მიმართულებით.
- ▶ **EBRD-ის მიერ განხორციელებული მწვანე ქალაქების პროგრამა** მხარს უჭერს თბილისის სატრანსპორტო კომპანიას თავისი სხვადასხვა პროექტებით შემდეგ სფეროებში: კორპორაციული განვითარება, შესაძლებლობების ამაღლება და დაინტერესებული მხარეების მონაწილეობა, რეფორმების განხორციელება ავტობუსების სერვისისთვის, მათ შორის PSC-ის განხორციელება და ავტობუსების ახალი ქსელის დანერგვა, გენდერული თანასწორობის და ინკლუზიის სტრატეგიის მომზადება და განხორციელება. პროგრამა ასევე უზრუნველყოფს გენდერულ საკითხებზე საკონსულტაციო მომსახურებას ექვს რეგიონულ ქალაქში.
- ▶ **„მდგრადი ურბანული მობილობა სამხრეთ კავკასიაში“ (Mobility4Cities)** პროგრამა, რომელსაც GIZ ახორციელებს, თბილისის და ბათუმის მუნიციპალიტეტებს ურბანული მობილობის კონცეფციებისა და სტრატეგიების შემუშავებასა და განხორციელებაში ეხმარება, მაგ. პასუხისმგებელ ქართულ ინსტიტუტებთან თანამშრომლობით შემუშავებულია მდგრადი ურბანული მობილობის გეგმები (SUMPs), ტრენინგების და აკადემიური კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობები მდგრადი ურბანული მობილობის შესახებ და რეკომენდაციები ურბანული მობილობის ეროვნული ჩარჩოს გასაუმჯობესებლად.
- ▶ KfW-ის მიერ განხორციელებული **მდგრადი ურბანული მობილობის** პროექტი მხარს უჭერს თბილისისა და ბათუმის მერიებსა და სატრანსპორტო კომპანიებს, რომ სათბურის აირების ემისიები შეამცირონ ახალი ITS სისტემის დანერგვით გარკვეულ დერეფნებზე, მონაცემთა ცენტრზე, შუქნიშანზე.

რამდენიმე წარმატების ისტორია

GrCF2 W2 – EBRD-ის პროექტი „თბილისის ავტობუსების პროექტის გაგრძელება“

საქართველოსთვის გაცემული კრედიტი, 80 მილიონ ევროს მოცულობით, რომლის გადასახედა მოხდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის, და შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანიის საჭიროებებს მოხმარდება, რომელიც მუნიციპალურ კომპანიას წარმოადგენს და რომლის მართვაშია ავტობუსები, მეტროპოლიტენი და საბაგირო გზები თბილისში. კრედიტის თანხა ორ ტრანშად გაიყოფა: 65 მილიონი ევრო და 15 მილიონი ევრო, შესაბამისად. პროექტი **თანამედროვე 12-მეტრიანი დაბალიატაკიანი, კომპრესირებულ ბუნებრივ გაზზე მომუშავე (“CNG”) ავტობუსების ახალ პარკს**, და ქალაქში მდებარე ავტოსადგურების რეაბილიტაციას/მოდერნიზაციას დააფინანსებს.

ინვესტიცია ხელს შეუწყობს საზოგადოებრივი ტრანსპორტის სანდოობის, უსაფრთხოების და ეფექტიანობის გაუმჯობესებას, ამავე დროს CNG ტექნოლოგია შეამცირებს სატბურის გაზების ემისიებს. პროექტი დაბალიატაკიანი ავტობუსების შემოყვანას ითვალისწინებს, რაც მნიშვნელოვან უპირატესობას წარმოადგენს, რადგან გაუადვილებს ასვლას მგზავრებს საბავშვო ეტლებით და სავაჭრო ჩანთებით, განსაკუთრებით ქალებს და იმ პირებს, ვისაც შეზღუდული აქვთ მოძრაობა, მათ შორის მოხუცებსა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს.

აღნიშნული პროექტი არის მწვანე ქალაქები 2-ს ნაწილი (“GrCF2”) და თბილისის მწვანე ქალაქის სამოქმედო გეგმის შემდგომი ინვესტიცია (“GCAP”).

GrCF2-ს ძირითადი მიზანია გარემოს მნიშვნელოვანი გაუმჯობესება და შესაბამის ქალაქებში „მწვანე“ გარდამავალი პერიოდის ხარისხის უზრუნველყოფა. ბანკი ასევე ეცდება შეიმუშაოს უფრო ქმედითი პოლიტიკური რეკომენდაციები მიღებული გამოცდილების, მიზნობრივი კვლევებისა და განუვლი ტექნიკური დახმარების გათვალისწინებით.

აღნიშნული პროექტი მიმართულია გარდამავალ პერიოდში მწვანე მიზნების მიღწევაზე და ის უფრო ხელსაყრელი იქნება გარემოსდაცვითი თვალსაზრისით სუფთა სატრანსპორტო საშუალებების უზრუნველყოფის და საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურების გაუმჯობესების გზით, რაც თბილისში მანქანებით გადაადგილების ქმედითი ალტერნატივა იქნება. პროექტი შემდგომშიც ხელს შეუწყობს ეფექტური მართვის დანერგვას თბილისში აღნიშნული სექტორის რეფორმების გაგრძელებისა და ავტობუსების მომსახურების მარშრუტების შეცვლის გზით.

პროექტის მთლიანი ღირებულებაა 80 მილიონი ევრო. ასევე, ტექნიკური თანამშრომლობის ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნება დახმარება პროექტის მომზადებისა და განხორციელების მხარდასაჭერად.

ახალი დაბალემისიანი CNG ავტობუსების შესყიდვასა და ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ზემოქმედება გარემოსა და სოციალურ გარემოზე უმეტესად ხელსაყრელი იქნება. პროექტი ხელს შეუწყობს მომხმარებელთა ყველა ჯგუფის მისაწვდომობისა და მობილობის, ქალაქში ჰაერის ხარისხის და საქალაქო ტრანსპორტის უსაფრთხოებისა და ეფექტიანობის გაუმჯობესებას.

განხორციელდა კომპანიის შიდა გარემოსდაცვითი და სოციალური ტექნიკური კვლევა (“ESDD”), რომელიც მოიცავდა კომპანიის არსებული მართვის სისტემების გადასინჯვას, გარემოსდაცვითი და სოციალური მონიტორინგისა და აუდიტის ანგარიშებს, გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმის (ESAP) განხორციელების სტატუსს და ზოგადად, გარემოსდაცვითი და სოციალური რეგულირების მოთხოვნებთან შესაბამისობას.

შეფასება ასევე მოიცავდა გარემოზე და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების ანალიზს და პროექტთან დაკავშირებულ სარგებელს, მათ შორის, ავტობუსების შემოთავაზებული მახასიათებლების ევროკავშირის მოთხოვნებთან შესაბამისობას.

GrCF – ბათუმის ავტობუსის პროექტი

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ საქართველოსთვის გამოყოფილია 5.5 მილიონი ევროს ოდენობის სახელმწიფო სესხი, რომელიც სესხის სახით გადაეცემა ქალაქ ბათუმს, მუნიციპალური სატრანსპორტო კომპანიის, შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ სასარგებლოდ. სესხი ორ ტრანშად იყოფა: პირველი შეადგენს 3.2 მილიონ ევროს, მეორე – 2.3 მილიონ ევროს. მეორე ტრანში თანადაფინანსებულია აღმოსავლეთ ევროპის ენერგოეფექტურობისა და გარემოს დაცვის პარტნიორობის (E5P) მიერ გამოყოფილი 1.5 მილიონი ევროს ოდენობის კაპიტალური გრანტით.

პროექტის მიზანია **ახალი ავტობუსების შესყიდვის გზით ბათუმში ავტობუსების მუშაობის გაუმჯობესება და მათი მოდერნიზების ხელშეწყობა**. პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია ტექნიკური თანამშრომლობის (TC) პაკეტი კომპანიის საოპერაციო და ფინანსური აღსრულების გაუმჯობესების მიზნით, რომელიც კორპორაციული განვითარების პროგრამის (CDP) საშუალებით დაეხმარება ქალაქს მოამზადოს მწვანე ქალაქის სამოქმედო გეგმა (GCAP) და აამაღლოს ცნობიერება ტრანსპორტთან დაკავშირებულ საკითხებზე.

პროექტის ფარგლებში წარმოჩენილი გარდაქმნის ეფექტის ხარისხის მახასიათებლები შესაბამისობაშია „მწვანე ქალაქების“ ჩარჩო პროექტთან (GrCF). „მწვანე ეკონომიკის“ ხარისხის მახასიათებლები გაუმჯობესებულ იქნება CO2 ემისიების გამოყოფისა და ადგილობრივი ჰაერის დამაბინძურებლების საგრძნობი შემცირებით. გარდაქმნის ეფექტის, „მართვის მაღალი ხარისხის“ მახასიათებელს კი ხელს შეუწყობს გაუმჯობესებული დაგეგმვა, ზედამხედველობისა და გარემოს დაცვის აქტივობების გაუმჯობესებული მონიტორინგი GCAP-ის ფარგლებში და აგრეთვე ბათუმში ავტობუსების ოპერირებისათვის აუცილებელი გაუმჯობესებული სახელშეკრულებო და მარეგულირებელი მოწყობა.

კერძო სექტორის ჩართულობის პოტენციალისა და პრიორიტეტების შეჯამება

აღრე მითითებული პოლიტიკის ჩარჩოში არსებული ხარვეზების, ასევე, კლიმატის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის ტრანსპორტის სექტორზე მომუშავე ჯგუფის მიერ გამოვლენილი პრიორიტეტული სამოქმედო არეალის საფუძველზე, შემდეგი ღონისძიებები და მოქმედების სფეროები რჩება დამატებითი ქმედებების ვარიანტებად, კერძო სექტორის პირდაპირი და არაპირდაპირი ჩართულობით:

- ▶ ურბანული დაგეგმარების სტრატეგიები ტრანსპორტის მოთხოვნის შესამცირებლად: საქართველოში ეროვნული სტრატეგია და პოლიტიკის ჩარჩო შემუშავდა მდგრადი დაბალი ნახშირბადის ურბანული ტრანსპორტის შესახებ UNDP-ისა და ბათუმის მუნიციპალური მთავრობის მხარდაჭერით. სტრატეგიაზე მუშაობა ეროვნულმა დაინტერესებულმა მხარეებმა უნდა დაიწყონ, რომლებსაც შეუძლიათ პასუხისმგებლობა აიღონ მის განხორციელებაზე.
- ▶ ინსტრუმენტები კერძო მსუბუქი სატრანსპორტო საშუალებების ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად: კერძო მსუბუქი სატრანსპორტო საშუალებების ეფექტიანობა გაუმჯობესდება 2021-2023 წლების CSAP-ში რამდენიმე ქმედების შედეგად, მაგრამ არსებული ავტოპარკის ხანდაზმულობის და დაბალეფექტიანობის გამო, შემდგომი გაუმჯობესება კვლავ პრიორიტეტული სამოქმედო სფერო იქნება.

- ▶ სავალდებულო EV მიზნები: ტრანსპორტის სექტორმა მომდევნო რამდენიმე წელიწადში დეკარბონიზაცია უნდა დაიწყო და სწრაფად იქნება საჭირო ნულოვანი ემისიის ვარიანტებზე გადასვლა. ევროპის რამდენიმე ქვეყანა ეტაპობრივად იღებს ხმარებიდან წიაღისეულ საწვავზე მომუშავე მანქანებს და ელექტრომობილებზე (EV) გადადის. საქართველომ ასევე შეიძლება განიხილოს ელექტრომობილობის პროგრამის ან სტრატეგიის შემუშავება ქვეყანაში ელექტრომობილების წილის გაზრდისთვის საჭირო ქმედებების განხორციელების მხარდასაჭერად.
- ▶ ურბანული სამგზავრო ტრანსპორტის გადატანა საზოგადოებრივ ტრანსპორტზე და არამოტორიზებულ რეჟიმებზე: 20213-2023 CSAP კლიმატის საერთაშორისო დაფინანსების წინადადებების მომზადებისთვის ხელშემწყობ ქმედებას მოიცავს ამ სფეროში მოქმედების მხარდასაჭერად, რაც ამავე დროს შესაბამისობაშია კლიმატის სამოქმედო პრიორიტეტებთან, რაც მწვანე კლიმატის ფონდის საქართველოს პროგრამით არის გათვალისწინებული.
- ▶ საქალაქთაშორისო სამგზავრო ტრანსპორტირების გადაყვანა საზოგადოებრივ ტრანსპორტზე: გაუმჯობესებულია სამგზავრო სარკინიგზო მომსახურება, რაშიც შედის ახალი და თანამედროვე მატარებლების მიწოდება. გარდა ამისა, საქალაქთაშორისო სამგზავრო ტრანსპორტის ხარისხისა და სარკინიგზო სისტემის გაუმჯობესება შერბილების ეროვნული პრიორიტეტებია, როგორც ეს მითითებულია მწვანე კლიმატის ფონდის (GCF) საქართველოს პროგრამაში.
- ▶ სტრატეგია ან პოლიტიკის ინსტრუმენტები ოპტიმიზებული და ეფექტური ტვირთებისა და ლოჯისტიკისთვის: შემუშავებულია რამდენიმე პოტენციური გეგმა და სტრატეგია, რომელიც დადებით ზეგავლენას მოახდენს სატვირთო გადაზიდვების ავტომაგისტრალებიდან რკინიგზაზე გადატანის მხრივ, მაგრამ ჯერ კიდევ ნაკლებად ცხადია ის, თუ რომელი იქნება განსახორციელებლად ყველაზე ეფექტიანი ვარიანტი. 2021-2023 წწ CSAP ხელშემწყობ ქმედებას მოიცავს მომავალში ხარტუ-ეფექტურობის ანალიზის და ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის შემუშავებისთვის, რათა შეფასდეს, თუ რომელი იქნება ყველაზე მიმზიდველი პოლიტიკის ვარიანტები ამ სფეროში.
- ▶ მდგრადი ბიოსანვავის მხარდაჭერის სქემები: განახლებადი ენერჯისა და ბიოსანვავის გამოყენების მაჩვენებელი საქართველოს სატრანსპორტო სექტორში ამჟამად უმნიშვნელოა, თუმცა გარკვეული კვლევები უკვე შესრულებულია თბილისის მუნიციპალური მთავრობის მნიშვნელოვანი ინტერესით და ხაზგასმულია, რომ ქვეყანაში სოფლის მეურნეობის განვითარების პოტენციული არსებობს.

11. განხორციელების სტატუსის ანალიზი კერძო სექტორის პერსპექტივიდან – შენობები

CSAP-ის ეს ნაწილი ენერჯიაზე მოთხოვნას ეხება საცხოვრებელ, კომერციულ და საზოგადოებრივ შენობებში.

სახელმწიფოს მიერ ამ სექტორისთვის დასახული მიზნები უკავშირდება როგორც პირდაპირ ემისიებს, როგორცაა შენობებში საწვავის პირდაპირი წვა ენერგომომარაგებისთვის, ასევე არაპირდაპირ ემისიებს – ელექტროენერჯის მოხმარება შენობებში, ასევე სხვა დაკავშირებულ საკითხებს.

2017 წელს შენობებში მოთხოვნილი ენერჯიიდან პირდაპირი სათბურის აირების ემისიებმა შეადგინა 2.31 მგტ CO₂ე (მთლიანი ეროვნული ემისიების დაახლოებით 13%), ძი-

რითადად საცხოვრებელი კორპუსებიდან. გარდა ამისა, შენობებში ელექტროენერჯის გამოყენებამ ასევე შეადგინა 0.8 მგტ CO₂ე 2017 წელს, რაც ელექტროენერჯის გენერაციისა და გადაცემის მთლიანი ემისიების დაახლოებით 22%-ს შეადგენს.

საქართველოს განახლებულ NDC-ში არ არის განსაზღვრული ემისიების სამიზნე ამ სექტორისთვის.

შენობების ყოვლისმომცველი ინვენტარიზაცია საქართველოში არასოდეს არ განხორციელებულა.

არ არსებობს აგრეგირებული, სტრუქტურირებული მონაცემთა ბაზა, სადაც განთავსებული იქნებოდა საინჟინრო-ტექნიკური ინფორმაცია შენობის მარაგების შესახებ.

ამრიგად, კლიმატის სამოქმედო გეგმაში მოწოდებული ინფორმაცია სხვადასხვა კვლევითი პროექტების და მთავრობის მიერ გაცემული ანგარიშებიდან შედგენილ მონაცემებს ეფუძნება.

საქართველომ მცირე ნაბიჯები გადადგა ენერგოეფექტურობის სფეროში საკუთარი მაჩვენებლების გასაუმჯობესებლად და მეთოდოლოგია დანერგა შენობების მინიმალური ენერგოეფექტურობის გამოთვლისთვის, რომელიც საჭიროა „შენობების დირექტივის“ მიხედვით.

ინსტიტუციური ჩარჩოსთვის სასარგებლო აღმოჩნდა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს გადანაცვლება ენერგოეფექტურობის სფეროში მეტი კადრების გამოყოფის შესახებ.

საქართველომ ყურადღება უნდა გაამახვილოს დიდი რაოდენობით კანონქვემდებარე აქტების მიღებაზე, რომლებიც საჭიროა ენერგოეფექტურობის შესახებ კანონის, შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ კანონისა და მარკირების რეგულაციის შესასრულებლად. ამის მიღწევამდე მიჩნეული იქნება, რომ საქართველო ევროკავშირის ენერგოეფექტურობის კანონმდებლობის ბევრ სფეროს ვერ აკმაყოფილებს.

ამჟამად არ არსებობს ენერგოეფექტურობის ეროვნული ფონდი, მაგრამ შენობებში ენერგოეფექტურობის მსხვილი საგრანტო და დაკრედიტების პროგრამები 2021 წლიდან დაიწყო.

კერძო სექტორის ადეკვატური ჩართულობა ESCO-ს ბაზრის შემდგომ განვითარებას მოითხოვს.

დაგეგმილი ქმედებები CSAP-დან

მოცემულ სექტორში CSAP-ის ქმედებების განხორციელება პროგნოზირებული ემისიის დონეებთან მიგვაახლოებს, რაც არის 4.6მგტ O₂ე 2030 წლისთვის. ეს მხოლოდ ნომინალური გაუმჯობესებაა პროგნოზირებული ემისიის დონეებიდან, ყოველგვარი ქმედების გარეშე.

- ▶ შენობის ენერგოეფექტურობის სერტიფიცირების სქემის შემუშავება
- ▶ ენერგოეფექტურობის შესახებ მომხმარებლის ცნობიერების ამაღლება
- ▶ ენერგოეფექტური მიდგომების ნახალისება და ენერგოეფექტური განათების მონტაჟი საცხოვრებელ, კომერციულ და საზოგადოებრივ შენობებში
- ▶ მზის ენერჯის გამოყენების მხარდაჭერა წყლის გასათბობად და ენერგოეფექტური ღუმელების გამოყენება
- ▶ ენერგოეფექტურობის სფეროში მაღალპროფესიონალური სტანდარტების პერსონალის მომზადება

ჩვენი ანალიზი განხორციელების ინდიკატორების შესახებ

ენერგოეფექტურობის მიზნები და პოლიტიკის ღონისძიებები

2020 წლის ზოგადი სამიზნე ყველაზე ბოლო „ენერგოეფექტურობის ეროვნულ სამოქმედო გეგმაში“ (NEEAP) იყო განსაზღვრული. ენერგოეფექტურობის დირექტივით მოთხოვნილი სპეციფიკური სამიზნეები 2020 წლის ენერგოეფექტურობის კანონით დადგინდა. საქართველომ პროგრესის ამსახველი მეორე წლიური ანგარიში წარუდგინა სამდივნოს 2021 წელს.

ენერგოეფექტურობა შენობებში

საქართველოში მოქმედებს კანონი შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ. შენობების, შენობის ნაწილების ან შენობების ელემენტების ენერგოეფექტურობის მინიმალური მოთხოვნები და შენობების ხარჯოპტიმალური დონეების გამოთვლის ეროვნული მეთოდოლოგია მთავრობამ 2021 წლის ივლისსა და სექტემბერში მიიღო. სხვა ძირითადი კანონქვემდებარე აქტების (სერტიფიცირების წესები, რეგულაცია გათბობისა და კონდიციონერების სისტემების ინსპექტირების შესახებ) მიღების პროცესი ჯერ არ დასრულებულა.

პოტენციალი: საბჭოთა ეპოქის მრავალბინიან შენობებში ემისიის პირდაპირი შემცირება დაახლოებით 72%-მდე არის შესაძლებელი, ფანჯრებისა და კარების დათბუნებით და გარე კონსტრუქციების და სახურავის თბოიზოლაციით.

ბარიერები: არსებული შენობების შესახებ ინფორმაციისა და სტატისტიკური მონაცემების დაბალი ხელმისაწვდომობა პოლიტიკის ფორმულირებისთვის; ხელმისაწვდომი კრედიტის ნაკლებობა რემონტისთვის; მრავალბინიან კორპუსებში კოლექტიური მოქმედების სამართლებრივი სტრუქტურების არარსებობა.

TA მოთხოვნები: ინვენტარიზაცია და უფრო დეტალური სტატისტიკური მონაცემები არსებული საცხოვრებელი კორპუსების შესახებ.

ენერგოეფექტურობის დაფინანსება

კანონი ენერგოეფექტურობის შესახებ ხელს უწყობს ელექტროენერგეტიკული მომსახურების კომპანიების (ESCO) გამოყენებას, მაგრამ არ შეიცავს სახელმწიფო დაფინანსების მხარდაჭერის ჩარჩოს (ე.ი. ენერგოეფექტურობის ფონდს). მიუხედავად ამისა, დიდი რაოდენობით საერთაშორისო ტექნიკური დახმარების პროექტი და დაფინანსების პროგრამა მხარს უჭერს ენერგოეფექტურობის ღონისძიებებს, განსაკუთრებით სამშენებლო სექტორში.

ხარჯები: წინასწარი კაპიტალური დანახარჯები 100,000 აშშ დოლარზე ნაკლები, 5-8 წლიანი ამოგების პერიოდით, მრავალბინიან, დაახლოებით 100 ბინიან კორპუსებზე კონვერტის ტიპის ეფექტურობის ღონისძიებებისთვის.

ენერგოეფექტური პროდუქტები – ეტიკეტირება

კანონი ენერგოეტიკეტირების შესახებ მიღებულ იქნა 2019 წლის დეკემბერში. ის ასევე ჰარმონიზებულია 2017/1369/EU რეგულაციასთან. მიუხედავად ამისა, კანონით მოთხოვნილი პროდუქტის თხუთმეტი რეგულაციის მიღება გადაიდო და ზოგიერთი მომზადებული პროდუქტის რეგულაცია განახლებას საჭიროებს, რათა უახლეს ვერსიებს ასახავდეს. დანარჩენს, სავარაუდოდ, მთავრობა 2021 წლის ბოლომდე მიიღებს.

ეფექტურობა გათბობასა და გაგრილებაში

საქართველოში არ არსებობს სისტემა, რომელიც გათბობის ან გაგრილების მომსახურებას საუბნო დონეზე უზრუნველყოფდა. არც მაღალეფექტური ერთობლივი გენერაციის, არც უბნის გათბობისა და გაგრილების ეფექტური პოტენციალის შეფასება არ განხორციელებულა.

ბარიერები: ბევრ მრავალბინიან კორპუსში ბინათმფლობელებს შორის სუსტი ფორმალური თანამშრომლობა ერთ-ერთ ბარიერად რჩება შენობების მასშტაბით გათბობის მოწყობილობების დამონტაჟების, ან უფრო მცირე მასშტაბის უბნის გათბობის ქსელების აღორძინებისთვის.

ახლად აშენებულ უბნებში ახალი, მცირე ზომის უბნის გათბობის მიზანშეწონილობა ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის შეფასებული. საჭიროა ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა და სადემონსტრაციო პროექტები სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვა პოტენციური განახლებადი ენერჯის წყაროების მიზანშეწონილობის შესამოწმებლად. პოლიტიკის ფარგლებში შესაძლებელია კონკრეტული ტექნოლოგიების მხარდაჭერა, საჩვენებელი პროექტების განვითარებას და წარმატებული განაცხადების რაოდენობის გაზრდა.

ხარჯები: წინასწარი კაპიტალური ხარჯი დაახლოებით 33,000 აშშ დოლარი, 3 წლიანი ამოგების პერიოდით, ბიომასით ან გეოთერმული ცენტრალური გათბობისთვის მრავალბინიან კორპუსებზე, სადაც დაახლოებით 100 ბინაა.

პოტენციალი: განახლებად ენერგომატარებლებზე გადასვლამ შეიძლება მთლიანად მოახდინოს სივრცის გათბობის დეკარბონიზაცია, რომლის წილიც ეროვნული სათბურის აირების ემისიებში თითქმის 11% იყო.

TA მოთხოვნები: ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა ცენტრალიზებული გათბობის სისტემებისთვის, სადაც გამოყენებულია ნარჩენებიდან მიღებული ენერჯია, გეოთერმული სითბოს ტუმბოები, ბიომასის ენერჯია და მზის თერმული ტექნოლოგიები, სხვადასხვა შენობის კონტექსტში.

პოლიტიკის მოცვის არეალი და ხარვეზები

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება საქართველოს ავალდებულებს, რომ მთელი რიგი დირექტივები განახორციელოს, რომლებიც დაკავშირებული იქნება სამშენებლო სექტორში ენერგოეფექტურობის გაუმჯობესებასთან, მათ შორის ახალი პოლიტიკის შემუშავებასთან.

ეს იყო ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალა ახალი შენობების, აღჭურვილობისა და ტექნიკის ენერგოეფექტურობის სტანდარტების შემუშავებისა და დანერგვისთვის. თუმცა, **ეს სტანდარტები შემდგომ გაძლიერებას საჭიროებს და რამდენიმე სხვა პოტენციური პოლიტიკის სფეროც ჯერ კიდევ არ არის გათვალისწინებული ამ სექტორში.**

პოლიტიკის საკითხებში დარჩენილ ხარვეზებში, რაც კერძო სექტორის ჩართვასაც მოიცავს, შედის ურბანული დაგეგმარების სტრატეგიები, რომლებიც ეხება შენობებში ენერჯის მოხმარებას, განახლებადი ენერჯის მხარდაჭერის სქემებს გათბობის, გაგრილების, ცხელი წყლისა და საკვების მომზადების უზრუნველყოფას, ასევე, საგადასახადო პოლიტიკა, რომელიც მიმართულია ენერჯის მოხმარებასა და წიაღისეულ სანვავზე ამ სექტორში.

სამშენებლო სექტორში გასათვალისწინებლად ორი პოტენციური პრიორიტეტული სფერო გამოიკვეთა:

- ▶ დაფინანსების ინსტრუმენტები საცხოვრებელ ადგილას ენერგოეფექტურობის გაუმჯობესებისთვის

არსებული შენობების დაბალი ენერგოეფექტურობა საქართველოში ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხია. საქართველო დაახლოებით 50%-ით მეტ ენერგიას მოიხმარს ფართის ერთ ერთეულზე, ვიდრე ევროკავშირის მსგავსი კლიმატის მქონე ქვეყნები. ამის მიზეზი კი ის არის, რომ საბჭოთა ეპოქის საცხოვრებელი კორპუსების დიდ ნაწილში ენერგოეფექტურობა დაბალია.

მიუხედავად ბოლო წლებში პოლიტიკისა და დაგეგმვის დონეზე განვითარებული წამახალისებელი განვითარებისა, ამ მცდელობებით მაინც ვერ გაუმჯობესდა მიმზიდველ ფინანსურ ინსტრუმენტებზე წვდომა საცხოვრებელი შენობების სექტორის განახლებისთვის.

ფინანსურმა ინსტრუმენტებმა, რომლებიც მხარს უჭერენ არსებული საცხოვრებელი კორპუსების კონვერტის ტიპის გარემონტებას – როგორცაა თბოიზოლაცია და დათბუნება ამინდის პირობებისგან დასაცავად – შეიძლება მნიშვნელოვნად შეამცირონ ენერჯის მოხმარება სივრცის გათბობისთვის და მასთან დაკავშირებული ემისიები.

არსებობს ფინანსური ინსტრუმენტების ფართო სპექტრი, მათ შორის სუბსიდირებული საკრედიტო ხაზები, ასევე ელექტროენერგეტიკული მომსახურების კომპანიების (ESCO) დაარსება. ასეთ ზომებს უნდა დაემატოს ცნობიერების ამაღლების კამპანიები და სხვა ინტერვენციები **ბაზარზე არსებული ბარიერების აღმოსაფხვრელად, რათა უზრუნველყოფილი იყოს სახლისა და შენობების მფლობელების ჩართულობა.**

- ▶ გათბობა უბნის და შენობის დონეზე განახლებადი ენერჯით

საქართველოში შინამეურნეობების უმეტესობა გასათბობად ინდივიდუალურ გამათბობლებს იყენებს, რომლებიც ბუნებრივ აირზე, შეშაზე ან ელექტროენერჯიაზე მუშაობს.

საქართველოს ძირითადი ქალაქები ადეკვატურად აღჭურვილია გათბობისთვის გეოთერმული და მზის ენერჯის პოტენციალით. მდგრადი ბიომასა და ნარჩენებიდან-ენერჯიაზე გადასვლაც ასევე მიმზიდველ ვარიანტად ითვლება. **ეს ტექნოლოგიები უფრო განხორციელებადია, როდესაც უბნის ან შენობების დონეზე გამოიყენება.**

ყოველ შემთხვევაში, შენობების გათბობისთვის განახლებად ენერგომატარებლებზე გადასვლამ შეიძლება ემისიების ყველაზე დიდი წყაროს დეკარბონიზაცია გამოიწვიოს სამშენებლო სექტორში და კერძო სექტორს ამაში დიდი წილი აქვს.

პერსპექტიული ტექნოლოგიები – მათ შორის ნარჩენებიდან-ენერჯიამდე, გეოთერმული სითბოს ტუმბოები, ბიომასის ენერჯია და მონინავე მზის თერმული ტექნოლოგიები – უფრო ხელმისაწვდომია ცენტრალიზებული გათბობის სისტემებისთვის რაიონის ან შენობის დონეზე, ვიდრე მრავალბინიანი კორპუსების ცალკეულ ერთეულების შემთხვევაში.

პოლიტიკის ვარიანტი	ყოვ- ლისმოც- ველი	ცვლილე- ბის აქტი- ვობა	ენერგო ეფექტუ- რობა	განახლე- ბადი ენე- რგია	სხვა და- ბალნახ- შირბადი	არაენერ- გეტი- კული
დარგისთვის შემუშავებული ყოვლისმომცველი სტრატეგია	Orange					
ურბანული დაგეგმარების სტრატეგიები		Orange				
სამშენებლო კოდეზი და სტანდარტები, ასევე მაღალი ეფექტიანი მშენებლობის მხარდაჭერა		Green				
შესრულებისა და აღჭურვილობის სტანდარტები, ასევე მაღალეფექტური მონაცემების მხარდაჭერა		Green				
გათბობისა და გავრილების მხარდაჭერის სქემა				Orange		
მხარდაჭერის სქემა ცხელი წყლისა და საკვების მომზადებისთვის				Orange		
ელექტროენერგია და სხვა გადასახადები		Orange	Orange	Orange	Orange	

მინიმუმ ერთი პოლიტიკა არის ძალაში	პოლიტიკა დაგეგმილია	არანაირი პოლიტიკა არ მოქმედებს	არ შეესაბამება
---	------------------------	--------------------------------------	----------------

ESCO-ს პოტენციალი და როლი კერძო სექტორისთვის საქართველოში სამშენებლო და უძრავი ქონების სფეროებში

ენერგოეფექტურ ტექნოლოგიებში ინვესტიციების ხელშეწყობის ერთ-ერთი მექანიზმი არის ენერგოეფექტურობის შესახებ შეთანხმება (EPC), რასაც ელექტროენერგეტიკული მომსახურების კომპანიები (ESCO-ები) აფორმებენ ხოლმე.

EPC-ის მიხედვით, **ESCO ენერგოეფექტურ ტექნოლოგიას შეიმუშავებს და დაამონტაჟებს კლიენტებისთვის საჯარო და კერძო სამრეწველო, საცხოვრებელ ან კომერციულ სექტორში.**

ESCO-ების ანაზღაურება დაზოგილი ენერგიის რაოდენობაზეა დამოკიდებული. კონტრაქტის ვადის დასრულების შემდეგ, ენერგიის დაზოგვის ღირებულება ჩვეულებრივ არის გაზიარებული კლიენტთან. ამრიგად, ESCO კომპანიები **პერსპექტიულ შესაძლებლობას იძლევა, რომ საქართველოში სათბურის აირების ემისიების შემცირებას მიაღწიონ სხვადასხვა სექტორში ენერგოეფექტურობის გაზრდის გზით.** მაგრამ, კონცეფციის სიმართლის მიუხედავად, ESCO-ებს ჯერ კიდევ არ მოუკიდებიათ მტკიცედ ფეხი ბევრ ისეთ განვითარებად ქვეყანაში, როგორცაა საქართველო.

უამრავი პროგრამა და მექანიზმი შეიქმნა, რომელიც ზრდას ხელს შეუწყობს. ეს მოიცავს საერთაშორისო სააგენტოების ძალისხმევას, როგორცაა, მათ შორის, მსოფლიო ბანკი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID). ეს პროგრამები, პირველ რიგში, მოიცავს ESCO-ს სტარტაპის დაფინანსებას, ESCO-ს პროექტებს, პარტნიორობის განვითარებას, შესაძლებლობების განვითარებას და სასესხო გარანტიებს, რაც ბევრ განვითარებად ქვეყანაში გადამწყვეტი იყო ESCO-ს განვითარების სწრაფად დასაწყებად. განვითარებად ქვეყნებში ESCO-ს განვითარებაში ასევე დიდი როლი ითამაშეს მთავრობებმა, განვითარების ბანკებმა, კომერციულმა ფინანსურმა ინსტიტუტებმა, კომუნალურმა კომპანიებმა და ESCO-ს ასოციაციამ.

ESCO-ების ზრდის ხელშემწყობი ყველა პროგრამის და მექანიზმის მიუხედავად, მათ მხოლოდ მოკრძალებულ წარმატებას მიაღწიეს. ESCO-ს გაფართოებას ბევრი ბარიერი აფერხებს. ზოგადად, ფინანსური და ადმინისტრაციული ბარიერები ყველაზე კრიტიკულად ითვლება ხოლმე.

კერძო სექტორ რამდენიმე მნიშვნელოვან ბარიერს აწყდება საქართველოში ESCO-ს წარმატებისთვის:

- ▶ **დაფინანსებაზე წვდომის სირთულე** მნიერი კაპიტალის და ნაკლებად მომნიშვნელოვანი საბანკო სექტორების გამო; ESCO-ები ნაკლებად არიან ინფორმირებულნი იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება მიუწვდებოდეთ ხელი დაფინანსებაზე, სესხის გამცემის მცირე ცოდნა ESCO-ების შესახებ, ან იმის წარმოდგენა, რომ ESCO ან/და კლიენტი შეიძლება არაკრედიტუნარიანი იყოს და კომერციული დაფინანსების წესები, რომლებიც შეუსაბამოა ენერგოეფექტურობის კონტრაქტთან (EPC), რაშიც შედის მოთხოვნები საბრუნავი კაპიტალის, მსხვილი პროექტების, აქტივებზე დაფუძნებული დაფინანსების, კომერციული რისკისა და მოკლე ამონაგების პერიოდების შესახებ.
- ▶ **მაღალი ადმინისტრაციული და ტრანზაქციული ხარჯები**, მათ შორის ტექნიკური გამოწვევები, რომლებიც დაკავშირებულია პროექტების დიზაინსა და აღჭურვილობის შესყიდვასთან, რთული და შრომატევადი მოლაპარაკებები კონტრაქტის თაობაზე, ESCO-ებისთვის სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩოს არარსებობა და სახელმწიფო შესყიდვების რთული პროცედურები.
- ▶ **ESCO-ების არასაკმარისი ცოდნა და სანდოობასთან დაკავშირებული ეჭვები** პერსპექტიული კლიენტებისა და კრედიტორების მხრიდან იმის თაობაზე, თუ რას აკეთებენ ESCO-ები, ზოგადად, რა არის ენერგოეფექტურობა და როგორია თანხების დაზოგვის ალბათობა ენერგოეფექტური ღონისძიებების საშუალებით.
- ▶ **ადამიანური რესურსების ნაკლებობა ESCO-ში**, სადაც დაფინანსებისა და მარკეტინგის ცოდნა ხშირად დეფიციტურია. ამას გარდა პერსპექტიულ კლიენტებს არ გააჩნიათ ტექნიკური შესაძლებლობები და გამოცდილება, რათა სრულად შეაფასონ ESCO-ს პროექტებში ჩართვის სარგებელი და რისკები.
- ▶ **კლიენტის სასურველი მოთხოვნები შიდა გადაწყვეტებზე** და სხვა პრიორიტეტები მრავალი მიზეზის გამო, რაშიც შედის: სამუშაოების კომპანიის შიგნით შენარჩუნება, სავაჭრო საიდუმლოების გამჟღავნების თავიდან აცილება, დროებითი გათიშვის პრევენცია და ზოგადი სურვილი, რომ ფოკუსირება მოხდეს მზარდი ბაზრის წილსა და წარმოების გაზრდაზე, ვიდრე ენერგოეფექტურობაზე.
- ▶ **EPC ბიზნეს მოდელის გამოწვევები**, მათ შორის **დაბალი მოგების მარჟა**, ანაზღაურებასთან დაკავშირებული გაურკვევლობა, რომელიც დაფუძნებულია დანაზოგის გარანტირებაზე, იმ კლიენტებთან დაკავშირებული რისკები, რომლებიც კონტრაქტით აღებულ ვალდებულებებს არ ასრულებენ და რთული სატენდერო წინადადებების მომზადებასთან დაკავშირებული ხარჯები, რომელმაც შეიძლება გაიმარჯვოს, ან – ვერა.

ძირითადი ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ESCO-ს დარგის წარმატებას საქართველოში არის:

- ▶ **დაფინანსების მხარდამჭერი სტრუქტურები და დაფინანსების მექანიზმები**, მათ შორის სპეციალური საკრედიტო სააგენტოები, შეღავათიანი დაფინანსება და გრანტები, და სესხის გარანტიები, რათა სწრაფად დაიწყოს ESCO-ს დარგების

განვითარება და ადგილობრივ კომერციულ ფინანსურ ინსტიტუტებს საშუალება მიეცეს, რომ საბოლოოდ თავად გახდნენ დაკრედიტების მთავარი წყარო ESCO-ს პროექტებისთვის.

- ▶ **შიდა კომერციული ფინანსური ინსტიტუტების ხელშეწყობა ESCO-ებისთვის**, მათ შორის, წახალისება ფულადი სახსრების ნაკადებზე ან პროექტებზე დაფუძნებული დაფინანსებისკენ, მცირე პროექტების დაფინანსება ან პროექტების შეჯგუფება და სპეციალური ენერგოეფექტურობის დაფინანსების პროგრამებისა და გუნდების შექმნა.
- ▶ **ენერგოეფექტურობის შესაბამისი პროგრამებისა და კანონების შემუშავება**, მათ შორის ელექტროენერჯიაზე ფასების სუბსიდირების აღმოფხვრა და ენერგოეფექტურობის სააგენტოების ჩამოყალიბება, ენერგოეფექტურობის ვალდებულებების და წახალისების ინსტრუმენტების შექმნა.
- ▶ **პოტენციური კლიენტებისთვის ინფორმაციის მუდმივად მიწოდება** ენერგოეფექტურობისა და ESCO-ების შესახებ, ფოკუსირება პარტნიორობის დამყარებაზე და ინფორმაციის მკაფიო, ერთი ფანჯრის პრინციპით მიწოდების წყაროს შექმნა, რომელიც რეგულარულად განახლდება.
- ▶ **ESCO-ებისთვის შესაძლებლობების მუდმივად გაძლიერება დაფინანსების, დაკონტრაქტების მიდგომების, საუკეთესო პრაქტიკისა და ტექნოლოგიების კუთხით, სხვა ESCO-ებთან და კლიენტებთან, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე**, მრავალფეროვანი მიდგომების მეშვეობით, როგორცაა, მაგალითად, ინფორმაციის გავრცელება, სანაცნობო ქსელის შექმნის შესაძლებლობები და ტრენინგ კურსები.
- ▶ **ენერგოეფექტურობის საკითხებში ადამიანური რესურსების გაძლიერების ხელშეწყობა**, როგორც ESCO-ებში, ასევე კლიენტის ობიექტებში, სასწავლო პროგრამების ან სერტიფიცირების პროგრამების მეშვეობით.
- ▶ **საჯარო და კერძო სექტორის სადემონსტრაციო პროგრამებში ჩართვა ESCO-ს შესაძლებლობების გასაძლიერებლად** და ცნობიერების ამაღლება წარმატებული ისტორიების შექმნის მეშვეობით.
- ▶ **საჯარო სექტორის ენერგოეფექტურობის პროგრამების შექმნა, რომლითაც ყველა საჯარო შენობას მოეთხოვება, რომ შენობებში ენერგოეფექტურობის უზრუნველსაყოფად განახლების სამუშაოები ჩაატარონ**, რაც უწყვეტ მოთხოვნას ქმნის ESCO-ებზე.
- ▶ **ESCO-ებისთვის წინასწარი კვალიფიკაციის ან აკრედიტაციის პროგრამების შექმნა**, რათა კლიენტები ESCO-ების სანდოობაში დაარწმუნოს.
- ▶ **სტანდარტიზებული კონტრაქტების და მონიტორინგისა და შემოწმების პროტოკოლების შემუშავება ან გამოყენება**, როგორცაა „საერთაშორისო შეფასებისა და შემოწმების პროტოკოლი“ (IPMVP), ESCO-ს სანდოობის აღქმის გასაუმჯობესებლად, ისევე როგორც კონტრაქტის მოლაპარაკებებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული ხარჯების შესამცირებლად.
- ▶ **მრავალეროვნულ ESCO-ებთან ერთობლივი სანარმოების წახალისება, რათა ხელი შეუწყონ შიდა ESCO-ს შესაძლებლობების გაუმჯობესებას**, აამაღლონ მათი ცოდნა ახალი ტექნოლოგიების შესახებ და დიდი პროექტების განხორციელებაში დაეხმარონ.
- ▶ **ბანკების ან ESCO-ების მიერ მცირე პროექტების გეოგრაფიული, ტექნოლოგიური ან ინდუსტრიული შეჯგუფების ხელშეწყობა**, მცირე პროექტების სიცოცხლისუნარიანობის გაზრდის მიზნით.

- ▶ **ESCO-ს ინოვაციური მოდელების** გათვალისწინება, როგორცაა სუპერ ESCO-ები, ESCO/შენობის მართვის მოდელები ან ESCO/სალიზინგო კომპანიის მოდელები.

სპეციალურად შექმნილ სახელმძღვანელო დოკუმენტში ჩვენ განვიხილავთ, თუ რა არის ESCO-ები, როგორ მოქმედებენ ისინი და როგორ არის შესაძლებელი წარმატებით ჩართვა საქართველოს კერძო სექტორისთვის, რა პოტენციალი და სტატუსი არსებობს ენერგოეფექტურ ტექნოლოგიებში ინვესტიციების გაძლიერების მხრივ.

ამ შეფასების საილუსტრაციო და მაღალი დონის ახსნა-განმარტების მიზნით, მოდით აღვნიშნოთ, რომ ESCO-ები, ჩვეულებისამებრ, შემდეგ სერვისებს გთავაზობთ:

- ▶ ენერგოეფექტური პროექტების იდენტიფიცირება, შემუშავება და დიზაინი;
- ▶ ენერგოეფექტურობის პროექტის დაფინანსება, ან დაფინანსების მოპოვება;
- ▶ ენერგოეფექტური ტექნოლოგიის/აღჭურვილობის დამონტაჟება;
- ▶ პროექტის მიერ დაზოგილი ენერჯის გაზომვა, მონიტორინგი და გადამონმება.

ESCO-ები ენერგოეფექტურობის მრავალგვარ ღონისძიებას ახორციელებენ, მათ შორის: მაღალეფექტური განათება, გათბობა და კონდიციონირება, ეფექტური ძრავები, სამრეწველო პროცესების გაუმჯობესება, კომბინირებული გენერაცია, ცვლადი სიჩქარის ამძრავი, დაკარგული სითბოს აღდგენა და ენერჯის ცენტრალიზებული მართვის სისტემები.

ESCO შეიძლება იყოს ვენდორზე დაფუძნებული ან კონსულტაციაზე დაფუძნებული. საკონსულტაციო, ან ტექნიკურად დაფუძნებული ESCO-ები, ხშირად ისეთი საკონსულტაციო ფირმებია, რომლებსაც ინჟინერიაში ან ენერგოეფექტურობაში ზოგადი გამოცდილება აქვთ. ვენდორზე, ან ტექნოლოგიაზე დაფუძნებული ESCO-ები ხშირად ენერგეტიკული ტექნოლოგიების მიმწოდებლები არიან, ზოგჯერ კი ენერგოეფექტური აღჭურვილობის კონკრეტულ მწარმოებელთან არიან დაკავშირებულნი.

კერძო სექტორის პოტენციური როლი საქართველოში – შეხსენება, რომ ESCO-ები კერძო კომპანიებს წარმოადგენენ და კლიენტები ძირითადად არიან კერძო მცირე და საშუალო საწარმოები და საშუალო საბაზრო კაპიტალიზაციის კომპანიები (MidCaps) – შეიძლება უარი უთხრან ამ დაფინანსების მოდელების მიხედვით, იმის მიხედვით, თუ ვინ ახორციელებს წინასწარ ინვესტიციას:

- ▶ **კლიენტი იხდის** – ESCO ატარებს კვლევას და შესთავაზებს წინადადებას, რომელიც უზრუნველყოფს გარკვეული ენერჯის დაზოგვას ხელშეკრულების ვადის განმავლობაში. კლიენტი აღჭურვილობის ღირებულებას იხდის და ESCO-ს თანხას აუნაზღაურებს პროექტის განხორციელებისთვის, მიღწეული ენერჯის დაზოგვის საფუძველზე.
- ▶ **ფინანსური ინსტიტუტი გაასესხებს ფულს** – ფინანსური ინსტიტუტი ხელს აწერს სამხრივ ხელშეკრულებას კლიენტსა და ESCO-სთან, ან ერთთან, ან მეორესთან, და კრედიტს აძლევს ESCO-ს, ან კლიენტს. ESCO კვლევას განახორციელებს და ენერჯის გარკვეული ოდენობით შემცირების გარანტიას იძლევა, შემდეგ კი მას თანხას აუნაზღაურებენ პროექტის განხორციელებისთვის, მიღწეული დანაზოგის საფუძველზე.
- ▶ **ESCO ინვესტიციას ახორციელებს** – ESCO უზრუნველყოფს დაფინანსებას ყველა საჭირო ენერგეტიკული განახლების განსახორციელებლად, ESCO-ს კვლევისა და წინადადების საფუძველზე. კლიენტი საბანკო გარანტიას იძლევა ინვესტიციის ღირებულებაზე. ESCO გარანტიას იძლევა, რომ ენერჯის ოდენობა შემცირდება, საოპერაციო და ტექნიკურ ხარჯებს განეხს, შემდეგ კი დანაზოგის დიდ წილს იღებს ჩადებული თანხის ამოსაღებად.

- ▶ **SPV ახდენს ინვესტირებას** – SPV არის სპეციალური დანიშნულების მექანიზმი – როგორც წესი, კორპორაციულ ორგანო, ან პარტნიორობა, რომელიც ვიწრო დროებითი მიზნების შესასრულებლად არის შექმნილი ფინანსური რისკის იზოლირებისთვის, ზოგჯერ კი – სესხების უზრუნველსაყოფად. ESCO ყიდულობს აღჭურვილობას და მიჰყიდის მას SPV-ს, რომელიც აღჭურვილობის საექსპლუატაციო იჯარას უზრუნველყოფს. კლიენტი ენერჯის დანაზოგს ESCO-ს უხდის, ასევე ფარავს საექსპლუატაციო და ტექნიკურ ხარჯებს. ESCO იჯარის ქირას უხდის SPV-ს, რაც დაზოგილ ენერჯიაზე ნაკლები უნდა იყოს. ხელშეკრულების ვადის გასვლისას, აღჭურვილობა კლიენტის მფლობელობაში გადადის.

როგორც აღვნიშნეთ, ცალკე დოკუმენტში/თავში კონკრეტულად განვიხილავთ ისეთ საკითხებს, როგორცაა: ანაზღაურების მოდელები, წარმატების ბარიერები, დაფინანსების მექანიზმები, პოლიტიკა და კანონები, რომლებიც ეხება კერძო სექტორს, აკრედიტაცია და ESCO-ს დარგის სტანდარტიზაცია.

ბოლო სათქმელი ის არის, რომ შენობების სექტორისთვის ენერგოეფექტურობისა და ენერგომენეჯმენტის პროგრამების ზოგიერთი პრინციპი შეიძლება გამოყენებულ იქნას – ზოგ შემთხვევაში განსხვავებული მასშტაბებითა და სიღრმით – საქართველოს ინდუსტრიულ სექტორში.

12. განხორციელების სტატუსის ანალიზი კერძო საქტორის პერსპექტივიდან – მრეწველობა

CSAP ფოკუსირებულია მრეწველობის სექტორში სამრეწველო ენერჯის გამოყენებისა და სამრეწველო პროცესების შედეგად წარმოქმნილ ემისიებზე.

ამ კონტექსტში, ენერჯის მოხმარება მოიცავს ემისიებს **სანვავის პირდაპირი წვის** შედეგად სამრეწველო ობიექტებზე, ისევე როგორც **არაპირდაპირ ემისიებს, სამრეწველო ობიექტის გარეთ გენერირებული ელექტროენერჯის მოხმარებიდან.**

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ **2021-2023 წლების სამოქმედო გეგმაში მოცემული ქვეთავი მრეწველობის შესახებ თავისთავად მრეწველობის მხოლოდ რამდენიმე ქვესექტორს მოიცავს.** კლიმატის სამოქმედო გეგმის მომდევნო განახლებულ ვერსიაში მრეწველობის სხვა სფეროების დამატება და შესაბამისი აქტივობების იდენტიფიცირება არის დაგეგმილი.

2017 წელს, მრეწველობის სექტორისთვის სათბურის აირების პირდაპირი ემისიები 3.01 მგტ CO₂ე იყო (მთლიანი ემისიების 17%), საიდანაც 65% გამოწვეულია არაენერგეტიკული სამრეწველო პროცესებით (ცემენტის, ამიაკის და აზოტმჟავის, თუჯის და ფოლადის, ფეროშენადნობების წარმოება), დანარჩენი კი – ენერჯის მოხმარებიდან.

CSAP-ის ქმედებების განხორციელების შედეგად, ამ სექტორში გაკეთებული პროგნოზით, ემისიების დონეები 2030 წელს იქნება 5.19-დან 5.69 მგტ CO₂ე-მდე, რაც 10-დან 26%-მდე გაუმჯობესებას წარმოადგენს პროგნოზირებული ემისიების დონეებიდან, ყოველგვარი ქმედების გარეშე. საქართველოს განახლებული NDC ამ სექტორისთვის მიზნად ისახავს მიაღწიოს 5.69 მგტ CO₂ე დონეს 2030 წელს.

ეს კი ნიშნავს, რომ CSAP-ის ყველა ქმედების განხორციელებით, შესაძლებელი იქნება ამ სექტორში NDC-ით დასახული მიზნების მიღწევა და გადაჭარბებაც კი.

დაგეგმილი ქმედებები CSAP-დან

- ▶ სათბურის აირების ემისიების შემცირება სამრეწველო პროცესებიდან და სამრეწველო ობიექტების ენერჯის მოხმარებიდან თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვით.
- ▶ მრეწველობის სექტორში ემისიის ფაქტორების შესწავლისა და მონაცემთა მართვის სისტემის შემუშავება.

გაძლიერებული მოქმედების პრიორიტეტული სფეროები (CSAP)

- ▶ ფოლადის წარმოებიდან ემისიების შემცირება ან ენერგეტიკული აუდიტისა და სერტიფიცირების სქემების დანერგვის მხარდაჭერის ღონისძიებები.
- ▶ ცემენტის წარმოების ინდუსტრიის გადანაცვლება ნარჩენების ეფექტური გამოყენებისკენ გათბობის მიზნით.

პოლიტიკის მოცვის არეალის ანალიზი

საქართველოს მრეწველობის სექტორს არ გააჩნია ყოვლისმომცველი სტრატეგია და მიზანმიმართული პოლიტიკის ქმედება, რათა სექტორი დაბალი ემისიების მიმართულებით წავიდეს.

არსებული და დაგეგმილი შემარბილებელი ღონისძიებების უმეტესობა ნებაყოფლობით ხორციელდება კომპანიის ცალკეული აქტორების მიერ და არა ეროვნული კანონებიდან ან პოლიტიკიდან გამომდინარე, რაც სექტორის მასშტაბით შემარბილებელი ქმედებების დანერგვის საშუალებას ზღუდავს.

მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულ დონეზე პოლიტიკის ქმედებები დაიწყო ენერგოეფექტურობის გაუმჯობესების მიზნით, განსაკუთრებით ცემენტის ქარხნებისთვის, მრავალი პოლიტიკის მიმართულება რჩება, სადაც უფრო ღრმა ქმედებების განხორციელება არის საჭირო.

მრეწველობის სექტორში კერძო სექტორისთვის განსახილველად **სამი პოტენციური პრიორიტეტული ქმედება** არის გამოკვეთილი:

- ▶ **კლინკერ-ცემენტის თანაფარდობის შემცირება** და ინოვაციური ალტერნატიული მასალების გამოყენება

კლინკერის წარმოება საქართველოში სამრეწველო პროცესებიდან ემისიების ერთ-ერთი მთავარი წყაროა. სავარაუდოდ, მისი წარმოება მნიშვნელოვნად გაიზარდება მომდევნო წლების განმავლობაში, თუ ბიზნესი ჩვეული ტრადიციული განვითარდება.

მიუხედავად იმისა, რომ ცემენტის წარმოების სველიდან მშრალ მეთოდზე გადასვლა უკვე განხილულია როგორც NEEAP-ში, ასევე CSAP-ში, პროცესის კიდევ უფრო გაუმჯობესებაც არის შესაძლებელი, მათ შორის კლინკერის ჩანაცვლება კირქვით, წარტაცებული ნაცრით ან ლითონის შემცველი წილით.

კლინკერ-ცემენტის თანაფარდობის სტანდარტების დადგენისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული კალცინირებული თიხა ანუ ბუნებრივი პუცოლანი. კვლევის თანახმად, ასეთი მასალები შესაძლოა ფართოდ იყოს ხელმისაწვდომი საქართველოში.

ცემენტის წარმოებაში კლინკერ-ცემენტის თანაფარდობის შემცირება აუცილებელია სექტორის დაბალნახშირბადიანი განვითარებისთვის.

საწარმოს დონეზე სამოქმედო გეგმების შემუშავებისთვის საჭიროა მრეწველობის, საჯარო სექტორისა და კვლევების ერთობლივი ძალისხმევა. ქვეყანაში არ-

სებულ ცემენტის ქარხნებში კლინკერ-ცემენტის თანაფარდობის შემცირება სათბურის აირების ემისიას შემცირებს და დამატებით სარგებელს შექმნის მდგრადი განვითარებისთვის.

► **ცემენტის ქარხნებში საწვავის ჩანაცვლების ნახალისება**

2019 წელს, საქართველოს ცემენტის სექტორში თითქმის მთელი ენერჯის მოხმარება წიაღისეული საწვავის წყაროებიდან ხდებოდა, მათ შორის, წყაროების 80%-ზე მეტი იყო ნახშირი და 17% – ბუნებრივი აირი.

ტრადიციული საწვავის ჩანაცვლება ალტერნატიული საწვავებით, რომლებიც ნაკლებ ნახშირბადს შეიცავს, სექტორში ემისიების შემცირების მთავარ გასაღებს წარმოადგენს.

ეს მიმზიდველი მოქმედებაა საქართველოსთვის, რადგან ცემენტის მწარმოებელი ინდუსტრიის გადაყვანა ნარჩენების ეფექტურ გამოყენებაზე გათბობის მიზნით, მნიშვნელოვანი სინერჯიას გულისხმობს ნარჩენების მართვის უფრო დახვეწილი სისტემის დანერგვასთან, რაც თანხვედრაშია ევროკავშირის კანონმდებლობასთან.

პერსპექტიული ტექნოლოგიები – მათ შორის ნარჩენების ერთობლივი გადამუშავება ან ცემენტის წარმოების ელექტრიფიცირება – ხელმისაწვდომია ან ამჟამად დანერგილია საერთაშორისო დონეზე. არსებული ცემენტის ქარხნების განახლებისთვის საჭიროა ტექნიკური საჭიროებების შეფასება, ხოლო სხვადასხვა ტექნოლოგიებისთვის – ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა, რათა საქართველოს კონტექსტში სრული პოტენციალი შეფასდეს. პოლიტიკის მეშვეობით შესაძლებელია მიზნობრივი მხარდაჭერის განევა კონკრეტულ ტექნოლოგიების დანერგვაზე, ასევე, სადემონსტრაციო პროექტების განვითარების ხელშეწყობა და მასშტაბური გამოყენება მთელს ქვეყანაში.

► **მასალების ჩანაცვლების ნახალისება და ცემენტზე მოთხოვნის შემცირება**

ბეტონზე მოთხოვნა შეიძლება 50%-მდე შემცირდეს, რაც შესაძლოა ისეთმა ფაქტორებმა გამოიწვიოს, როგორცაა ახალი მიდგომების გამოჩენა დიზაინში, უფრო მაღალი ხარისხის ბეტონის გამოყენება, ბეტონის სხვა მასალებით ჩანაცვლება და მეორადი და რეციკლირებული ბეტონის წილის გაზრდა.

ცემენტი შეიძლება შეიცვალოს ალტერნატიული მასალებით, როგორცაა ხე შენობებში და გადამუშავებული ბეტონი საგზაო ინფრასტრუქტურაში.

მასალის ინტენსივობა შეიძლება გაუმჯობესდეს ოპტიმიზებული დიზაინისა და შემავსებელი მასალების უფრო აქტიურად გამოყენების გზით. უახლოეს წლებში, საქართველოში მოსალოდნელია დიდი რაოდენობით ინფრასტრუქტურული და სამშენებლო პროექტების განხორციელება, შესაბამისად, აქტუალურია სტრატეგიის შემუშავება მასალების ჩანაცვლებისთვის, ასევე, ცემენტსა და ბეტონზე მოთხოვნის შემცირებისთვის. ნებისმიერი თავიდან აცილებული ცემენტის წარმოება ყველაზე იაფი და ეფექტური გზაა ემისიების შესამცირებლად.

კერძო სექტორისთვის, ინოვაციური მიდგომებისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის რუკების შედგენა და ანალიზი ხელს შეუწყობს ამ მიმართულებით წინსვლას და საქართველოს კანონმდებლობის დაახლოებას ევროკავშირის კანონმდებლობასთან, განსაკუთრებით კი – ევროპის მწვანე შეთანხმებასთან.

აღნიშნულ ზომებს უნდა დაემატოს საინფორმაციო კამპანია და მოცდილების გაზიარება მრეწველობისა და სამშენებლო სექტორის წარმომადგენლებთან, ბაზრის შესახებ ინფორმირებულობის ამაღლების, ასევე, ბაზარზე არსებული ბარიერების მიღების და გადაჭრის მიზნით.

პოლიტიკის ვარიანტი	ყოვლის- მომცველი	ცვლი- ლების აქტივობა	ენერგო- ეფექ- ტურობა	განახ- ლებადი ენერგია	სხვა დაბალ- ნახშირ- ბადი	არა- ენერგე- ტიკული
სექტორისთვის შემუშავებული ყოვლისმომცველი სტრატეგია	Orange					
ნახშირბადის ფასების ყოვლისმომცველი სქემა ან ემისიების ლიმიტი	Orange					
მასალების ეფექტიანობის სტრატეგია		Yellow				
სამრეწველო წარმოებაში ენერგოეფექტურობის მხარდაჭერა			Green			
ენერგეტიკული ანგარიშგება და აუდიტები			Orange			
ენერგოეფექტურობის მინიმალური სტანდარტები			Orange			
მდგრადობის სტანდარტები ბიომასის გამოყენებისთვის				Orange		
განახლებადი ენერჯის მხარდაჭერის სქემა				Yellow		

ძალაშია მინი- მუმ ერთი პოლი- ტიკა	პოლიტიკა და- გეგმილია	არანაირი პო- ლიტიკა არ მოქმედებს	არ შეესაბამება
---	--------------------------	--	----------------

პოტენციალი

ევროკავშირში ცემენტის ~100 კგ CO₂/ტ შემცირება შესაძლებელია კლინკერის ჩანაცვლებით და ალტერნატიული ნედლეულით, რაც ცემენტის წარმოებიდან მთლიანი ემისიების დაახლოებით 14%-ს შეადგენს.

2019 წელს საქართველოს ცემენტის სექტორში მოხმარებული იყო დაახლოებით 1,600 გიგავატ/სთ ქვანახშირი და 325 გიგავატ/სთ ბუნებრივი აირი. ეს დაახლოებით 630 კტ CO₂-ს უდრის. ~600 კგ CO₂ე ყოველ აცილებულ ტონა ცემენტზე ან ~180 კგ CO₂ე თითო აცილებულ ტონა ბეტონზე.

ხარჯების ზეგავლენის შეფასება

კლინკერ-ცემენტის თანაფარდობის შესამცირებლად, ევროკავშირის შემთხვევაში შეფასდა, რომ საოპერაციო ხარჯები შეიძლება ერთ ტონა ცემენტზე 3.1 ევრომდე შემცირდეს კალცინირებული თიხებით, ხოლო გადაიარაღების ხარჯების დიაპაზონი 8-12 მილიონ ევროს შეადგენდა.

EU-28 ცემენტის ინდუსტრიაში ნარჩენებთან ერთობლივი გადამუშავების მაჩვენებლის 43%-დან 60%-მდე გაზრდით შესაძლებელია დაახლოებით 12 მილიარდი ევროს ხარჯების თავიდან აცილება, რაც შეიძლებოდა დახარჯულიყო საჯარო ინვესტიციების სახით სპეციალურ ნარჩენებიდან-ენერჯიამდე ინსინერაციის საწარმოებში.

კერძო სექტორის კარგი პრაქტიკის მაგალითები

1. ცემენტის მდგრადი განვითარების გლობალური ინიციატივის (CSI) დაბალნახშირბადიან წარმოებაზე გადასვლის საგზაო რუკა შეიძლება ზოგადი სახელმძღვანელო გახდეს საქართველოს ცემენტის სექტორის გრძელვადიანი განვითარებისთვის.

კვლევის ექსპერტებმა და დარგის დაინტერესებულმა მხარეებმა ერთად გამოავლინეს შემარბილებელი ქმედებები, ბარიერები და ხელშემწყობი ქმედებები. **ჰაიდელბერგ ცემენტი, რომელიც ქარხნების უმეტესობას ამუშავებს საქართველოში, CSI-ის წევრია.** რაც შეეხება კლინკერით ჩანაცვლებას, 2018 წლის საგზაო რუკა მიზნად ისახავს მიაღწიოს კლინკერის გლობალურ საშუალო კოეფიციენტის 0.60 ნიშნულს 2050 წლისთვის.

საჭიროა RD&D-ის უფრო მეტად მხარდაჭერა, განსაკუთრებით იმ ტექნოლოგიების ფართომასშტაბიანი დანერგვის ხელშემწყობისთვის, რომლებიც უკვე დადებითი განვითარება აჩვენებს. **კერძო-საჯარო პარტნიორობა და „მწვანე“ სახელმწიფო შესყიდვები ხელს შეუწყობს ადრეული მოთხოვნის გენერირებას და მწარმოებლებს საშუალებას მისცემს, რომ გამოცდილება მიიღონ და ხარჯები შეამცირონ.**

2. **ევროკავშირის ცემენტის სექტორი მსოფლიოში ლიდერია ალტერნატიული სანვავით ჩანაცვლების მაჩვენებლით,** სადაც საშუალო ჩანაცვლების კოეფიციენტი დაახლოებით 60%-ს შეადგენს. ეს ძირითადად განპირობებულია ევროკავშირის რეგულაციებით, რადგან ნარჩენების გატანა მკაცრად რეგულირდება და ნაგავსაყრელით სარგებლობა ძვირი ჯდება. ნარჩენი მასალების გამოყენება ენერჯის ერთდროული აღდგენით და მასალების რეციკლირებით, რომელსაც ერთობლივი გადამუშავება (co-processing) ეწოდება, კიდევ უფრო უწყობს ხელს ევროკავშირის ცირკულარული ეკონომიკის პაკეტით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას.

ბოსნია და ჰერცეგოვინის კაკანჯის ქარხანაში, ჰაიდელბერგ ცემენტმა და GIZ-მა, საჯარო და კერძო პარტნიორობის სახით, სამრეწველო და მუნიციპალური ნარჩენების, როგორც ცემენტის წარმოებისთვის საჭირო ალტერნატიული სანვავის გამოყენების პროექტი განახორციელეს, ქვეყნის მისწრაფების შესაბამისად, რაც ევროკავშირის მოდელზე დაფუძნებული ცირკულარული ეკონომიკის განვითარებას გულისხმობს.

ამჟამად, შვედეთში ინოვაციური პროექტი მიმდინარეობს. „ცემენტა“, რომელიც ჰაიდელბერგ ცემენტის დაქვემდებარებაში მყოფი კომპანიაა, ასევე, და ენერჯის მწარმოებელი „ვატენფალი“ ერთად მუშაობენ „CemZero“ პროექტზე, **ცემენტის წარმოების ელექტრიფიკაციისთვის,** სადაც მთავარი აქცენტი კალცინაციის პროცესზე კეთდება. ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების კვლევამ აჩვენა, რომ **ცემენტის ელექტრიფიცირებული წარმოება ტექნიკურად შესაძლებელია და, სავარაუდოდ, კონკურენტუნარიანია სხვა ვარიანტებთან შედარებით,** რადგანაც ემისიებს არსებითად ამცირებს. 2030 წლისთვის, ცემენტის მთელი წარმოების ელექტროფიკაციამ შეიძლება შვედეთის მთლიანი ემისიების დაახლოებით 5%-ით შემცირება გამოიწვიოს.

3. **„ევროკავშირის სტრატეგია მდგრადი შენობები გარემოსთვის“** ამოქმედდა, როგორც **ცირკულარული ეკონომიკის სამოქმედო გეგმის ნაწილი,** ევროპის მწვანე შეთანხმების შესაბამისად. სტრატეგია უზრუნველყოფს შენობების გარემონტებასა და მშენებლობას მდგრადი წესით. „სამშენებლო პროდუქტების რეგულაციის“ გადასინჯვის კონტექსტში, სტრატეგია მოიცავს სამშენებლო პროდუქტების მდგრადობის გაზომვას, მაგალითად, სამშენებლო მასალებისთვის რეციკლირებული კონტენტის მოთხოვნების შემოღებით. სტრატეგია კიდევ უფრო შეუწყობს ხელს არქიტექტორებს, ადგილობრივ ხელისუფლებას და ინჟინრებს შორის თანამშრომლობას, განამტკიცებს უნარებს და ცოდნას ენერგოეფექტური დიზაინისა და დაბალნახშირბადიანი ბეტონის ნარეგების მიწოდებისთვის.

TA მოთხოვნები კერძო სექტორისთვის

საქართველოს კონტექსტში ალტერნატიული შემკვრელი მასალების ხელმისაწვდომობა და ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზი; კვლევები ცემენტის ხარისხის გაუარესების თავიდან ასაცილებლად.

მდგრადი ბიომასისა და ერთობლივი გადამუშავების პოტენციალის შეფასება საქართველოში; ტექნიკური საჭიროებების შეფასება არსებული ცემენტის ქარხნების განახლებისთვის.

ინოვაციური მიდგომებისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გამოვლენა და ანალიზი; ამ პრაქტიკების მიმართ ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა საქართველოს კონტექსტში.

13. განხორციელების სტატუსის ანალიზი კერძო სექტორის პერსპექტივიდან – ნარჩენები

ნარჩენების მართვის სექტორი სათბურის აირების ემისიების კიდევ ერთი კონტრიბუტორია. სათბურის აირების პირდაპირი ემისიის დონე 2017 წელს იყო 1.56 მგტ CO₂e (მთლიანი ემისიების დაახლოებით 9%) ნარჩენების სექტორისთვის, ხოლო ამ გაფრქვევების 67% მყარი ნარჩენების გატანაზე მოდის.

CSAP-ის ღონისძიებების განხორციელების შედეგად, 2030 წელს ამ სექტორში ემისიების პროგნოზირებული დონეები იქნება 1.10-1.37 მგტ CO₂e, რაც პროგნოზირებული ემისიის დონეებთან შედარებით 35-54%-ით გაუმჯობესებულ შედეგს აჩვენებს, ყოველგვარი ქმედების გარეშე.

საქართველოს განახლებული NDC არ შეიცავს სამიზნე ემისიების ამ სექტორისთვის 2030 წელს.

პროგნოზის მიხედვით, ნარჩენების სექტორიდან სათბურის აირების ემისიები 2030 წლამდე (მოდელირება შესრულებულია დარგის ექსპერტების მიერ და მოგვიანებით ინტეგრირებულია LEAP მოდელში) დაახლოებით 33%-ით გაიზრდება 1.85 მგტ CO₂e-მდე, საბაზისო სცენარის მიხედვით.

ნარჩენების მართვის თანამედროვე მოდელების დანერგვის მიზნით, საქართველო აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით და ევროკავშირის, გაეროს განვითარების პროგრამისა და შვედეთის მთავრობის დახმარებით, EPR სისტემის დანერგვისთვის აუცილებელი საკანონმდებლო ბაზა შემუშავდა. **EPR სისტემა (მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება) არის კონცეფცია, რომელიც ნარჩენების მართვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მექანიზმად არის მიჩნეული.**

საქართველოს მთავრობამ რამდენიმე ტექნიკური რეგლამენტი მიიღო EPR სისტემაში ოთხი სხვადასხვა ტიპის ნარჩენების მართვისთვის, როგორცაა: **ნარჩენი ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობები (WEEE), გამოყენებული ზეთები, საბურავები, ბატარეები და აკუმულატორები.**

აღნიშნული კონცეფცია გულისხმობს კერძო სექტორის ჩართვას მათ მიერ წარმოებული პროდუქციისგან მიღებული ნარჩენების მართვასა და ამ მხრივ პასუხისმგებლობის განაწილებაში. ამ სისტემის დანერგვა მოითხოვს შეთანხმებულ ქმედებებს სახელმწიფოს, მწარმოებლების, სხვა ეკონომიკური ოპერატორების და მოსახლეობის მხრიდან, რის გარეშეც შეუძლებელია სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირება.

დაგეგმილი ქმედებები CSAP-დან

- ▶ არსებული უნებართვო, სტიქიური და არასახიფათო ნაგავსაყრელებიდან წარმოქმნილი სათბურის აირების ემისიების შემცირება
- ▶ ნარჩენების გადამუშავების ხელშეწყობა
- ▶ ჩამდინარე წყლებიდან წარმოქმნილი სათბურის აირის ემისიების შემცირება
- ▶ მონაცემებზე დაფუძნებული ნარჩენების მართვის სისტემის განვითარება
- ▶ თბილისის ნაგავსაყრელის განახლება და კეთილმოწყობა
- ▶ ქუთაისის, რუსთავის და ბათუმის არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელზე მეთაუნის აირების გამოყენება.
- ▶ ქალაქის ნარჩენების გადამუშავება
- ▶ თბილისის, ბათუმის და ქობულეთის ჩამდინარე წყლების გამწმენდ სადგურებზე სათბურის აირების შეგროვება და გადამუშავება
- ▶ განათლება და ცნობიერების ამაღლება ორგანული ნარჩენების მართვის შესახებ
- ▶ ნარჩენების სექტორისთვის მონაცემების შეკრებისა და განახლების კონსოლიდირებული პროცესის ჩამოყალიბება.

გამოვლენილი პრიორიტეტული სფეროები გაძლიერებული ქმედებისთვის (CSAP)

- ▶ მონაცემთა შეგროვების გაუმჯობესებული სისტემა
- ▶ ბიოდეგრადირებადი ნარჩენების მართვა
- ▶ ზღვრულად დასაშვები ნორმების დანერგვა (MPL)
- ▶ მოძრაობა შემცირების და გადამუშავების მიმართულებით.

ჩვენი ანალიზი პოლიტიკის მოცვის არეალის და ხარვეზების შესახებ

საქართველოში, ყოველწლიურად დაახლოებით 900,000 ტონა მუნიციპალური ნარჩენი გამომუშავდება. 2018 წელს, 75%-ზე მეტი ოფიციალურ ნაგავსაყრელებზე იქნა გატანილი. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში რამდენიმე გადამამუშავებელი კომპანიაა, მათ არ აქვთ წვდომა ყველა რეციკლირებად მასალაზე, რომელიც პოტენციურად შეიძლება გადამუშავდეს, რადგან **ნარჩენები სათანადოდ არ არის სეპარირებული.**

საქართველომ ნარჩენების მართვის სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში გადამუშავების ამბიციური მიზნები დაისახა და ამჟამად სხვადასხვა მხარდაჭერის პროექტი ხორციელდება. თუმცა, **ბიონარჩენების გადამუშავებაზე დღესდღეობით ნაკლებად არის ყურადღება გამახვილებული.** ქუთაისში დაგეგმილი „მწვანე ნარჩენების გადამუშავებისა და კომპოსტირების ცენტრი“ ასეთი ტიპის პირველი საწარმოა საქართველოში; საჭიროა გამოცდილების მიღება მომავალში დამატებითი კომპოსტირების სადგურების მშენებლობისთვის, განსაკუთრებით იმ ტერიტორიებისთვის, რომლებიც დიდი პარკებით, ან სხვა მწვანე სივრცეებით არის დაფარული.

ბიონარჩენების კომპოსტირების შემდგომი ხელშეწყობისთვის, სახლში ან საზოგადოებრივ ადგილებში კომპოსტირებამ შეიძლება ბიო-ნარჩენების ცალკე შეგროვების საჭიროება შეამციროს და ნარჩენების ტრანსპორტირებისა და მართვის ხარჯებიც უფრო დაიკლებს. ეს ღონისძიებები თანხვედრაშია ევროკავშირისა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით ნაკისრ ვალდებულებებთან.

ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა სტრატეგიულ ხედვას ითვალისწინებს და მნიშვნელოვან ჩარჩოს ქმნის ამ სექტორის დაბალემისიან გზაზე გადასაყვანად.

დონორთა მხარდაჭერით ძველი ნაგავსაყრელები იხურება და ახლები შენდება, რომლებიც ევროკავშირის მოთხოვნებს შეესაბამება, ხოლო მეთანის ამოღება და გამოყენება ეტაპობრივად ხორციელდება ნაგავსაყრელებსა და ჩამდინარე წყლების გამწმენდ ობიექტებზე. მიუხედავად იმისა, რომ სტრატეგიაში გათვალისწინებულია გადამუშავების სამიზნეები (მაგ. ქალაქი ან მინა), მისი ამჟამინდელი ვერსია მხოლოდ კონკრეტული სამიზნეების დადგენას და ღონისძიებების შემუშავებას მოითხოვს ბიონარჩენების ნაგავსაყრელზე გატანის შესამცირებლად. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მუნიციპალიტეტი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმიდან დებულებების ინტეგრირებას იწყებს, ნარჩენების სეპარაციისა და შემცირების კუთხით რეალური პროგრესი ამჟამად ნაკლებად იგრძნობა. ნარჩენების სექტორში კერძო სექტორის განსახილველად ორი პოტენციური პრიორიტეტული სფერო არის გამოკვეთილი:

► **ნარჩენების მართვის გაუმჯობესება ბიონარჩენებისთვის**

ბიონარჩენებში შედის ორგანული ნარჩენები, როგორცაა საკვები ან მწვანე ნარჩენები, რომლებიც ნაგავსაყრელებზე გატანის შემდეგ მეთანს გამოყოფენ. სხვადასხვა სახის ნარჩენების გაუმჯობესებული მართვა უკვე გათვალისწინებულია საქართველოს ნარჩენების მართვის ეროვნულ სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში. ამას გარდა, ამ თემასთან დაკავშირებით უკვე სხვადასხვა პროექტიც ხორციელდება. ბიონარჩენებისთვის საჭიროა, რომ გაერთიანდეს ფართომასშტაბიანი კომპოსტირების ობიექტები და დეცენტრალიზებული კომპოსტირების ისეთი მიდგომები, როგორცაა სათემო კომპოსტირება, რათა ქვეყნის სხვადასხვა ტერიტორია მოიცვან. საზოგადოების ინფორმირებულობა და განათლება განუყოფელია მოქალაქეების ჩართულობის უზრუნველსაყოფად.

► **ნარჩენების წარმოქმნის შემცირება „გადახდა გატანისას“ (Pay-As-You-Throw – PAYT) სქემების მეშვეობით**

საქართველოს ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს, რომ საქართველო გახდება ქვეყანა, სადაც „საზოგადოება ნარჩენების პრევენციას და გადამუშავებას უზრუნველყოფს“, სხვა საკითხებთან ერთად, „დამაბინძურებელი იხდის პრინციპის“ განხორციელებით.

იმ დროს, როცა კონკრეტული ქმედებები დაგეგმილია და ამჟამად ხორციელდება კიდევ ხარჯების სრულად ამოღების და მწარმოებლის გაფართოებული პასუხისმგებლობის (EPR) დანერგვის მიზნით, საშუალოვადიან პერსპექტივაში შეიძლება დამატებითი ღონისძიებები განხორციელდეს ინდივიდუალურ საყოფაცხოვრებო დონეზე.

დადასტურებულია, რომ „გადახდა გატანისას“ (PAYT) სქემებით მნიშვნელოვნად მცირდება საყოფაცხოვრებო ნარჩენები ბევრ ქვეყანაში, განსაკუთრებით ევროპაში. არასასურველი ქვეყის შეზღუდვის მაგივრად, ადამიანებისთვის ეკონომიკური სტიმულის მიცემა მათ სასურველი მოქმედებისკენ უბიძგებს. დადასტურებულია, რომ ასეთი სტიმულირება ნარჩენების შემცირებას იწვევს და, როგორც წესი, რეციკლირების მაჩვენებლებს ზრდის. მუნიციპალურ დონეზე „გადახდა გატანისას“ სისტემების ეტაპობრივი შემოღება ყველაზე პერსპექტიულია. ამას გარდა, მოქალაქეების ჩართვა სტრატეგიული ინფორმირებულობისა და საინფორმაციო კამპანიებში, მნიშვნელოვნად განაპირობებს ამგვარი ინტერვენციის წარმატებას.

„გადახდა გატანისას“ სქემის დანერგვა შეიძლება გაჭიანურებული ადმინისტრაციული პროცესი იყოს; თუმცა, საქართველოს ნარჩენების მართვის სისტემის მიმდინარე რეფორმა უნიკალურ შესაძლებლობას იძლევა ამ ღონისძიების მარტივად განხორციელებისთვის.

პოლიტიკის ვარიანტი	ყოვლის- მომცველი	ცვლი- ლების აქტივობა	ენერგო- ეფექტუ- რობა	განახ- ლებადი	სხვა დაბალი ნახშირ- ბადი	არა- ენერჯია
დარგისთვის შემუშავებული ყოვლისმომცველი სტრატეგია	■					
ნაგავსაყრელზე უფრო მცირე ნარჩენების გატანის ნახალისება და გაუმჯობესებული პრაქტიკები		■				
გადამუშავების სამიზნეები და პრაქტიკები ნარჩენების სხვადასხვა წყაროებისთვის		■				
ბიონარჩენების გაუმჯობესებული მართვა		■				
ჩამდინარე წყლების შემცირება და ხელახლა გამოყენება		■				
გაზრდილი ენერგოეფექტურობა ნარჩენების მართვის ობიექტებში			■			
ნარჩენიდან-ენერჯიამდე მიდგომის მხარდაჭერა				■		
ნაგავსაყრელებისა და ჩამდინარე წყლების ობიექტებიდან მეთანის შეგროვება და გამოყენება					■	

მინიმუმ ერთი პოლიტიკა არის ქალაში	პოლიტიკა დაგეგმილია	არანაირი პოლიტიკა არ მოქმედებს	არ შეესაბამება
---	------------------------	--------------------------------------	----------------

კერძო სექტორის სამაგალითოდ კარგი პრაქტიკის მაგალითები

ნარჩენებიდან სათბურის აირების ემისია ევროკავშირში მუდმივად მცირდება. ევროკავშირის ნარჩენების ჩარჩო დირექტივის თანახმად, 2018 წლის მაისიდან, ბიონარჩენები ან უნდა განცალკევდეს და გადამუშავდეს მისი წარმოქმნის ადგილას, ან ცალკე უნდა შეგროვდეს და არ შეერიოს სხვა ტიპის ნარჩენებს 2023 წლის ბოლოსთვის.

EBRD-ისა და ევროკავშირის მიერ დაფინანსებით, უკრაინის ქალაქ ხმელნიცკიში არსებული ნაგავსაყრელი დაიხურა და ორი ახალი უჯრედი შენდება თანამედროვე გადამუშავებისა და კომპოსტირების საშუალებებით, ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად. სავარაუდოდ, პროექტი 150 კტCO₂ ემისიებს დაზოგავს წელიწადში, დაფარვის არეალი კი 300,000 მოსახლეზე გავრცელდება. ქალაქი ნარჩენების შემგროვებელ ახალ მანქანებს და კონტეინერებს ყიდულობს, რათა მოსახლეობა, საჯარო დაწესებულებები და კერძო ბიზნესი წაახალისოს, რომ ნარჩენების სეპარაცია დაიწყონ, რასაც თან საგანმანათლებლო კამპანია ახლავს.

სლოვენიაზე ბიონარჩენების ერთ-ერთი ყველაზე დაბალი წილი მოდის ევროპის მასშტაბით წარმოქმნილ მუნიციპალურ ნარჩენებში. მოსახლეობის თითქმის ნახევარი სათემო ან სახლის პირობებში კომპოსტირებას უზრუნველყოფს. ნარმატების მნიშვნელოვანი ფაქტორია განათლება და პოპულარიზაცია ნარჩენების მართვის საჯარო კომპანია „სნაგას“ მეშვეობით, ასევე მრავალი აქტივობა მიმდინარეობს სოციალურ მედიაშიც.

2016 წლის ოქტომბერში რუმინეთმა ნარჩენების ჩარჩო კანონმდებლობაში „გადახდა გატანისას“ სქემები შეიტანა. ქვეყანა ერთ სულ მოსახლეზე ნარჩენების წარმოქმნით ყველაზე ბოლო ადგილზე მყოფ ქვეყნებს შორისაა ევროპაში.

მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა მოხდეს „გადახდა გატანისას“ სქემის ეტაპობრივი და-
ნერგვა არის ქალაქი სალაჩეა, რომელმაც 2018 წელს „Zero Waste Europe“-სთან და „Zero
Waste Romania“-სთან პარტნიორობით წარმატებით განახორციელა „გადახდა გატანისას“
სქემა თანხლები ღონისძიებებით, რის შედეგადაც ნარჩენების წარმოქმნა 55%-ით შე-
მცირდა. „გადახდა გატანისას“ სქემის შემოღების გარდა, ქუჩაში არსებული კომუნალური
ფოლადის ურნები და კონტეინერები კარდაკარ სეპარირებული შეგროვების სისტემით
ჩანაცვლდა ნარჩენების სხვადასხვა ნაკადისთვის, ბიო-ნარჩენების ჩათვლით.

**წარმატების საწინდარი იყო ყველა დაინტერესებული მხარის, მათ შორის ადგილობ-
რივი და რეგიონული ხელისუფლების და ნარჩენების ოპერატორების, ასევე ტექნიკური
ექსპერტების ჩართულობა.**

**საფრანგეთში, 2019 წლისთვის 5.6 მილიონი ადამიანი იყო ჩართული „გადახდა გატანი-
სას“ სხვადასხვა სქემაში.** „კანონი ენერგეტიკის მწვანე ზრდაზე გადასვლის შესახებ“
ითვალისწინებს, რომ სქემების გაფართოების შედეგად მათში ჩართული მოსახლეობის
რაოდენობა 25 მილიონამდე გაიზრდება.

სხვადასხვა საზოგადოებაში განსხვავებული პრაქტიკა არსებობს. მაგალითად, ერთი მი-
დგომა არის ფიქსირებული გადასახადის გადახდა, რომელშიც შედის თანხა გარკვეული
რაოდენობის ნარჩენების პარკისთვის ერთი წლის განმავლობაში, შემდეგ კი დამატე-
ბითი თანხის გადახდა თითოეული დამატებითი პარკისთვის, ან კარდაკარ შეგროვე-
ბისთვის, სადაც თითოეული ურნა ელექტრონულად აღირიცხება. **საშუალოდ, ამ პრაქტი-
კამ არარეციკლირებადი ნარჩენების დაახლოებით 30-50%-ით შემცირება გამოიწვია.**

ხარჯების გავლენის შეფასება

პროექტი უკრაინაში (ზემოთ) EBRD-ისა და ევროკავშირისგან 36.5 მილიონი ევროს ფინან-
სური პაკეტით ფინანსდება; ქუთაისში საპილოტე პროექტი 40,000 ევროდ არის შეფასე-
ბული. იტალიაში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ სათემო კომპოსტირებამ შეიძლე-
ბა ხარჯები 34-50%-ით შეამციროს, ნაგავსაყრელზე გატანასთან შედარებით.

სალაჩეაში მიღწეული იქნა ნარჩენების წარმოქმნის 55%-ით შემცირება და ნაგავსაყრე-
ლების წილის შემცირება 98%-დან 55%-მდე.

საფრანგეთში, „გადახდა გატანისას“ სქემები, საშუალოდ, არარეციკლირებადი ნარჩე-
ნების შემცირებას იწვევს 30%-დან 50%-მდე.

TA მოთხოვნები კერძო სექტორისთვის

ქუთაისში პროექტის განხორციელების პროცესისა და მიღებული გამოცდილების ანა-
ლიზი.

საპილოტე პროექტი და კვლევა სათემო კომპოსტირების მიზანშეწონილობისა და მიმ-
დგომის შესაფასებლად საქართველოს კონტექსტში.

ინფრასტრუქტურისა და ფინანსური მიზანშეწონილობის ანალიზი.

14. განხორციელების სტატუსის ანალიზი კერძო სექტორის პერსპექტივიდან – სოფლის მეურნეობა და სატყეო მეურნეობა

ზოგადად, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ – ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (MESD) (2019) მიხედვით – საქართველოში სოფლის მეურნეობის სექტორში დასაქმებულია შრომისუნარიანი მოსახლეობის დაახლოებით 40%, მაგრამ მათი უმრავლესობა „თვითდასაქმებულთა“ კატეგორიაშია დაფიქსირებული, რაც ერთგვარად მცირე ზომის საარსებო მეურნეობის მქონე ფერმერის განმარტებასთან არის ახლოს.

ნაკელის მართვა, განსაკუთრებით მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და ღორების შემთხვევაში, ემისიების დიდ წყაროს წარმოადგენს საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორში.

ინდუსტრიალიზებული ფერმერული მეურნეობის პირობებში, ემისიები მომავალ წლებში კიდევ უფრო გაიზრდება. ამ მოცემულობაში, **ნაკელის მართვის გაუმჯობესებული სისტემა ნებისმიერი სტრატეგიის ცენტრალური ელემენტია, რათა სექტორი დაბალი ემისიების გზაზე გადავიდეს.**

კერძო სექტორზე აქცენტირებით, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და ღორის ნაკელის დასამუშავებლად ლაგუნების (ნაკელის ორმოების) გამოყენება მიჩნეული იყო როგორც განხორციელებადი ვარიანტი საქართველოს კონტექსტში, წინა სექტორის დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების დროს და ხაზგასმული იყო როგორც პრიორიტეტული სფერო CSAP-ში. ბიოგაზის გადამუშავების ტექნოლოგიები მომნიშვნელოვანია ზოგიერთ ბაზარზე, მაგრამ ჯერ არ არის ფართოდ გავრცელებული ქვეყანაში, დაბალი ინფორმირებულობის და მიკროდაფინანსებაზე ცუდი წვდომის გამო.

მას შემდეგ, რაც 2017 წელს ნეტო აღრიცხვის რეგულაცია იქნა მიღებული, ბიოდაიჯესტერის გამოყენებისთვის პირობები მნიშვნელოვნად უფრო მიმზიდველი გახდა ფერმერებისთვის, ვისაც შეუძლიათ თანხა დაზოგონ, ან შემოსავალი მიიღონ მიღებული ბიოგაზის გამოყენებით.

სათბურის აირების ემისიები 2017 წელს იყო 3.48 მგტCO₂ე (მთლიანი ემისიების დაახლოებით 20%) სოფლის მეურნეობის სექტორში, ძირითადად ნაწლავური ფერმენტაციის, სასოფლო-სამეურნეო ნიადაგებისა და ნაკელის მართვის შედეგად.

მოცემული სექტორისთვის, პროგნოზის მიხედვით, CSAP-ის ღონისძიებების განხორციელების შედეგად 2030 წელს ემისიების დონე იქნება 4,62 მგტCO₂ე, რაც მხოლოდ ნომინალურ გაუმჯობესებას წარმოადგენს საანგარიშო სცენარით პროგნოზირებული ემისიისგან.

საქართველოს განახლებული NDC არ შეიცავს ემისიების სამიზნეს ამ სექტორისთვის 2030 წელს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ ქვემოთ მოცემული პრიორიტეტული სფეროები განვსაზღვრეთ გაძლიერებული ქმედებისთვის:

- ▶ მონაცემთა შეგროვების გაუმჯობესებული სისტემა
- ▶ წვის პრაქტიკების რეგულირება და ქარსაცავი ზოლების ხელახლა დარგვა
- ▶ სარწყავი პრაქტიკების რეგულირება
- ▶ გადაძოვების და ნიადაგების არამდგრადი გამოყენების რეგულირება
- ▶ აგროსატყეო მიმართულება

შემდგომი შემარბილებელი ღონისძიებების იდენტიფიცირება გადამწყვეტია სექტორისთვის.

დაგეგმილი ქმედებები CSAP-დან

- ▶ **ნიადაგისა და საძოვრების მდგრადი მართვის განხორციელება** და შინაური ცხოველების მდგრადი კვების პრაქტიკის დანერგვის მხარდაჭერა
- ▶ სოფლის მეურნეობის სექტორში კლიმატგონივრული მიდგომების განვითარებისათვის **სამეცნიერო მტკიცებულებების გენერირების შესაძლებლობების შექმნა**

იდენტიფიცირებულია პოლიტიკის დაფარვის არეალი და ხარვეზები

იმ დროს, როცა კლიმატგონივრული სასოფლო-სამეურნეო სამუშაო ჯგუფი შეიქმნა და რამდენიმე მხარდამჭერი პროექტი ხორციელდება იმისათვის, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორი უფრო მომგებიანი გახდეს, მას არ გააჩნია ცალკე მისთვის შემუშავებული პოლიტიკა შერბილების ყველა განზომილებაში. შემარბილებელი ღონისძიებების გარდა, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება სოფლის მეურნეობის სექტორის საქმიანობას, მნიშვნელოვანია გადაჭრას პოლიტიკასთან დაკავშირებული სხვა ბარიერები, როგორცაა მიწათმფლობელობასთან დაკავშირებული ვადების და უფლებების საკითხის გადაჭრა სოფლად, ან დაბალპროცენტიან ფინანსებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მიკროკრედიტების სახით.

მოკლე დროში საქართველო ძლიერ დამოკიდებული გახდა სინთეტიკურ სასუქებზე. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მზარდი ღირებულებით, სინთეტიკური სასუქების გამოყენება სამჯერ გაიზარდა 2010-2015 წლებში, სადაც ამჟამინდელი დონე გლობალურ საშუალო მაჩვენებელს მნიშვნელოვნად აღემატება. ფერმერებისთვის საჭიროა ტრენინგები და ცნობიერების ამაღლების კამპანიები, რათა ხაზგასმით აღვნიშნოთ სასუქის შემცირებული გამოყენების მოკლევადიანი და გრძელვადიანი სარგებელი, ასევე ორგანული ალტერნატივების ვარიანტები.

საჭიროა მარეგულირებელი ცვლილება მიწის ხანგრძლივი ვადით ფლობის უზრუნველსაყოფად, მდგრადი პრაქტიკების შემდგომი ნახალისების მიზნით, ხოლო სასუქებისთვის ცალკე სტრატეგიის შემუშავება, შემცირების მკაფიო მიზნებით, შეიძლება გამოსადეგი იყოს გარდამავალი პერიოდის დროს.

აქედან გამომდინარე, სოფლის მეურნეობის სექტორში განსახილველად ორი პოტენციური პრიორიტეტული მიმართულება გამოიკვეთა:

- ▶ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და ღორისთვის ნაკელის მართვის გაუმჯობესებული სისტემები

პირუტყვის ნაკელიდან წარმოქმნილი ბიოგაზის დაგროვებით და მოხმარებით სათბურის აირების ემისიების შესაძლებელია საქართველოს სასოფლო-სამეურნეო სექტორში, მეთანის თავიდან აცილების გზით. ანაერობული მონელების საშუალებები შეიძლება გამოყენებულ იქნას ცალკეულ მეურნეობებში, ან ფერმების კლასტერში ელექტროენერჯის გამოსამუშავებლად, რაც კიდევ უფრო ამცირებს ემისიებს ისეთი წიაღისეული საწვავის ჩანაცვლებისას, როგორცაა ბუნებრივი აირი, ან აღარ მოხდება ხეების მოჭრა შეშის დასამზადებლად.

საწყის ეტაპზე, საქართველომ უნდა შეაფასოს ნაკელის მართვის სხვადასხვა სისტემების მიზანშეწონილობა და მათი დანერგვა თავის კონკრეტულ კონტექსტში.

- ▶ **სინთეტიკური სასუქის მოხმარების შემცირება**

სინთეტიკური სასუქის უფრო ნაკლებად მოხმარებამ შეიძლება მნიშვნელოვნად შეამციროს სასოფლო-სამეურნეო ნიადაგებთან დაკავშირებული ემისიები.

ამგვარი ტექნიკის გამოყენება მიზნიდველია ფერმერებისთვის, თუ მათ იციან და ნასწავლი აქვთ, თუ როგორ გამოიყენონ სასუქები უფრო ეფექტიანად. ვინაიდან

პროგნოზირებულია, რომ სინთეტიკური სასუქების გამოყენება კიდევ უფრო გაზრდის ემისიებს მომდევნო წლებში, თუ რაიმე ზომები არ იქნება მიღებული. ეს მნიშვნელოვანი ღონისძიებაა საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორის დაბალემისიანი მიმართულებით განსავითარებლად.

პოლიტიკის ვარიანტი	ყოვლის- მომცველი	ცვლი- ლების აქტივობა	ენერგო- ეფექტუ- რობა	განახლე- ბადი	სხვა დაბალი ნახშირ- ბადი	არა- ენერგე- ტიკული
დარგისთვის შემუშავებული ყოვლისმომცველი სტრატეგია						
მონაცემთა შეგროვების ჩარჩო						
სასუქის მართვის გაუმჯობესება						
ნაწლავური ფერმენტაციის შედეგად ემისიების შემცირების ნახალისება						
ნათესების და საძოვრების მართვის გაუმჯობესება						
სინთეტიკური სასუქის ნაკლებად მოხმარების ნახალისება						
საკვების პროდუქტიულობის გაზრდა						
საკვებზე მოთხოვნის შემცირების ნახალისება						
მაღალეფექტური სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მხარდაჭერა						

მინიმუმ ერთი პოლიტიკა არის ქალაში	პოლიტიკა დაგეგმილია	არანაირი პოლიტიკა არ მოქმედებს	არ შეესაბამება
---	------------------------	--------------------------------------	----------------

პოლიტიკის მიღწევები კერძო სექტორისთვის

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების (DCFTA) ხელმოწერამ რეალური პერსპექტივები შექმნა ქართული პროდუქციის ევროკავშირის ბაზარზე გატანისთვის. ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელებისას კომპლექსურად განხორციელდა რეფორმები ყველა სფეროში, განსაკუთრებით სურსათის უვნებლობის სფეროში.

ქართველ მენარმეებს საშუალება მიეცათ ეტაპობრივად დაენერგათ საერთაშორისო და ევროპული სტანდარტები.

შესაბამისად, გაფართოვდა ხარისხიანი პროდუქციის წარმოებისა და მიწოდების მასშტაბი, რამაც ხელი შეუწყო პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას საერთაშორისო ბაზარზე.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, დაიწყო და ხორციელდება პროგრამა „**ერთიანი აგროპროექტი**“, რომლის მიზანია პირველადი წარმოების და სასაწყობო მეურნეობების დაკავშირება იაფ და ხელმისაწვდომ დაფინანსების მექანიზმებთან, აგროდაზღვევის ხელშეწყობა, სანერგე მეურნეობების მოწყობა, მრავალწლიანი კულტურების თანამედროვე ბაღების გაშენების ნახალისება, სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსება.

„ერთიანი აგროპროექტის“ ფარგლებში აგროკრედიტების მთლიანი მოცულობამ (30.06.2019 წლის მდგომარეობით) უკვე გადააჭარბა 2,013,139,276 ლარს (შელავათიანი აგროკრედიტის

პროგრამა); 30.06.2019 წლის მდგომარეობით გაშენებულია 7,473 ჰა ხეხილის ინტენსიური ბაღები (დაფინანსებულია / დამტკიცებულია 7,526 ჰა). დღეის მდგომარეობით სულ დაფინანსდა 200 ახალი, ხოლო გაფართოვდა და გადაიარაღდა 940 არსებული საწარმო.

წლების განმავლობაში საქართველოს მთავრობა მნიშვნელოვან ძალისხმევას ახორციელებდა სოფლის განვითარებისთვის, მაგრამ სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე სოფლის განვითარებაზე მუშაობა პირველად 2017 წელს დაიწყო.

შესაბამისად, საქართველოს მთავრობამ **საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგია** და 2017 წლის სამოქმედო გეგმა შეიმუშავა.

საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგია საქართველოს მთავრობის პრიორიტეტებს ასახავს და სოფლის განვითარებასთან დაკავშირებულ ყველა დარგობრივ და მრავალსექტორულ განვითარებას აღწერს.

სტრატეგიას სამი პრიორიტეტული სფერო გააჩნია:

1. ეკონომიკა და კონკურენტუნარიანობა;
2. სოციალური პირობები და ცხოვრების დონე; და
3. **გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა.**
 - დამცავი ინფრასტრუქტურა სამ დაცულ ტერიტორიაზე მოეწყო.
 - ერთი დაცული ტერიტორია აღჭურვილია სადემარკაციო საინფორმაციო ნიშნებით.
 - 3 დაცულ ტერიტორიაზე საინფორმაციო ინფრასტრუქტურა მოეწყო ეკოტურიზმისა და ეკოგანათლების მნიშვნელობის შესახებ.
 - მაჭახელას ეროვნული პარკის მართვის გეგმა დამტკიცდა.
 - 160.4 ჰა ტერიტორიაზე ტყის მასივი გაშენდა.
 - 11,557 ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა იქნა დაზღვეული.
 - 1 ახალი რეგიონული ნაგავსაყრელის მშენებლობა დაიწყო.
 - 3 ავტომატური მეტეოროლოგიური და 5 ჰიდროლოგიური სადგური დამონტაჟდა და ტექნიკურად გაიმართა.

სტრატეგიის პირდაპირი ბუნეფიციარები არიან სოფლის მოსახლეობა და კერძო სასოფლო-სამეურნეო სექტორში დასაქმებული პირები.

მიზანი	ინდიკატორი	საბაზისო მონაცემები	სამიზნე
მიზანი 1 – კონკურენტუნარიანი სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო სექტორები	სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი და გადამამუშავების შედეგად მიღებული პროდუქციის გამოშვება. ბიზნეს სექტორში პროდუქციის გამოშვება. აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტი. შინამეურნეობების საშუალო ყოველთვიური შემოსავლები გაანგარიშებული ერთ შინამეურნეობაზე სოფლად.	9.3 მილიარდი ლარი (2018 წ.) 450 მილიონი ლარი (2018) 959 მლნ აშშ დოლარი (2018) 880 ლარი (2018)	12 მილიარდი ლარი (2027) 770 მლნ ლარი (2027) 1,300 მლნ აშშ დოლარი (2027) 1,200 ლარი (2027 წ.)
მიზანი 2 – ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება, ეკოსისტემების შენარჩუნება, კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია	დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორთა რაოდენობა; მდგრადი მართვის გეგმებით მართული ტყეების ფართობი; დაცული გენეტიკური რესურსების რაოდენობა;	1,108.5 ათასი ვიზიტორი (2018) 348,000 ჰა (2018) 3,719 (2018)	2,600 ათასი ვიზიტორი (2027) 1,500,000 ჰა (2027) 4,641 (2027)

მიზანი 3 – სურსათის / ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეფექტური სისტემები	მოქმედი კერძო ვეტერინარული ორგანიზაციების რაოდენობა; მომხმარებელთა და მენარმეთა ცნობიერების ამაღლების მიზნით ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა; საქართველოს სანიტარული და ფიტოსანიტარული სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან	15 ერთეული (2018) 74 ღონისძიება (2018) ევროკავშირის 98 სამართლებრივ აქტთან (2018)	30 ერთეული (2027) 200 ღონისძიება (2027) ევროკავშირის 272 სამართლებრივ აქტთან (2027)
---	---	---	---

კერძო სექტორის პოტენციური ქმედება კლიმატგონივრულ სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკებში

სოფლის მეურნეობის სექტორში სათბურის აირების ემისიების შემცირებისთვის საილუსტრაციო პოტენციური ღონისძიებები ქვემოთ არის შეჯამებული.

აღნიშნული ღონისძიებები რუკაზეა გამოტანილი ფარდობითი შემცირების ხარჯების მიხედვით და საქართველოს კონტექსტში არსებული ტექნოლოგიების და პრაქტიკის მზადყოფნის შესაბამისად, იმის მისათითებლად, თუ რამდენად არის **ხელმისაწვდომი და მიმზიდველი სხვადასხვა ღონისძიებები კერძო სექტორისთვის.**

მიმოხილვა მიუთითებს, რომ სათბურის აირების ემისიების შემცირებისთვის გამოვლენილი 20 შეფასებული პრაქტიკიდან არც ერთი არ არის შესრულებული

შერბილების ღონისძიებები მიწოდების მხრიდან, კულტურების სისტემებთან დაკავშირებით, კერძო სექტორის ჩართულობით.

უკვე მრავალი ვარიანტი არსებობს, რითაც შესაძლებელია კულტურების სისტემის გადაქცევა ნახშირბადის ნეტო-შთამნთქმელად, თუმცა, ამავე დროს, მთელი რიგი ახალი ტექნოლოგიები და პრაქტიკა ვითარდება კვლევების შედეგად, რამაც შეიძლება მომავალში კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობები შექმნას კლიმატის ცვლილების შერბილებისთვის.

ნულოვანი ემისიის ფერმერული ტექნიკა და აღჭურვილობა

ღონისძიება


სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და აღჭურვილობის, მათ შორის, ბატარეებზე მომუშავე ტრაქტორების, კომბაინების და საშრობების სრული ელექტრიფიკაციით შესაძლებელია სოფლის მეურნეობაში ენერჯის მოხმარებასთან დაკავშირებული პირდაპირი ემისიების შემცირება.

სტატუსი

ტექნოლოგიების უმეტესობა საქართველოში ჯერ არ არის ხელმისაწვდომი. ფართომასშტაბიანი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და აღჭურვილობის ელექტრიფიკაცია ჯერ კიდევ არ არის გავრცელებული არც ერთ ქვეყანაში, მაგრამ არსებობს პერსპექტივები, რომ ეს ტექნოლოგიები კონკურენტუნარიანი გახდეს საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში.

პოტენციალი

100 კტCO₂ე-მდე 2030 წელს: სოფლის მეურნეობაში ენერჯის მოხმარებიდან ემისიების უმეტესი ნაწილი შეიძლება შემცირდეს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და აღჭურვილობის ელექტრიფიკაციით, განახლებადი ენერჯის წყაროებიდან ელექტროენერჯის გამომუშავებასთან ერთად.



ხარჯები

მაღალი (>\$100/ტCO2e): ნულოვანი ემისიის სამანქანო ტექნოლოგიების კიდევ უფრო განვითარების და მათი წარმოების გაიაფების პირობებში, ისინი შეიძლება დიზელზე მომუშავე მანქანების კონკურენტუნარიანი ალტერნატივა გახდეს ბევრ ქვეყანაში ფასის მხრივ. თუმცა, ვინაიდან საქართველოში ფერმების უმრავლესობა ძველ იმპორტირებულ აღჭურვილობას იყენებს, ნულოვანი ემისიების მანქანების შესაძენად საჭირო მაღალი კაპიტალური დანახარჯები, სავარაუდოდ, ჯერ კიდევ მაღალი დარჩება უახლოეს მომავალში.

გადაწყვეტა

სადემონსტრაციო პროექტების დაფინანსება: როდესაც ნულოვანი ემისიების სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ბაზარი საქართველოსთვის ხელმისაწვდომი გახდება, საჭირო იქნება სადემონსტრაციო პროექტების დაფინანსება საწყის ეტაპზე არსებული მაღალი კაპიტალური ხარჯების დასაფარავად.

მინის დამუშავების პრაქტიკების შემცირება

ღონისძიება

მინის უფრო მცირე მასშტაბით დამუშავებამ და დამუშავების შედეგად მიღებული ნარჩენების შენარჩუნებამ შეიძლება მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს ნიადაგის ხარისხი, ნიადაგის გაძლიერებული აგრეგატული შემადგენლობის, წყლის შეკავების და ორგანული აქტივობის მეშვეობით. ისეთი მეთოდებით, როგორცაა: ზოლური დამუშავება, ჩიზელ-კულტივატორით დამუშავება, დადისკოება და დარგვა დამუშავების გარეშე, ნია-

დაგში წინა მოსავლიდან ნარჩენები ადგილზე რჩება და საფარს წარმოქმნის ნიადაგის ეროზიის პრევენციისთვის. ეს კი ნიადაგის ნახშირბადის შენარჩუნების შესაძლებლობებს ზრდის და აზოტის ოქსიდის გამოყოფას ამცირებს.

სტატუსი

საკონსერვაციო ან ნულოვანი დამუშავება საქართველოში ფართოდ არ გამოიყენება. უმეტეს შემთხვევაში, არ არსებობს მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური ბარიერები დაბალი დამუშავების პრაქტიკის მიღებისთვის. ზოგიერთი პრაქტიკა ნაკლებ მანქანას მოითხოვს, ნიადაგის ტრადიციულ დამუშავებასთან შედარებით, და შეიძლება ხელითაც ადვილად შესრულდეს, ტექნიკის გარეშე. დაბალი დამუშავების პრაქტიკის გამოყენებაზე ასევე უარყოფითად მოქმედებს ინფორმირებულობის ნაკლებობა და ახლომხედველური მიდგომა მიწის მართვის მიმართ, რასაც მიწის საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული საკითხები კიდევ უფრო ამწვავებს.

პოტენციალი

დაახლოებით 150 კტCO₂ე 2030 წელს: თბილი და მშრალი კლიმატის ზონებში, სახნავ-სათეს სავარგულებზე მცენარეთა მართვის შედეგად შესაძლებელია, რომ ყოველწლიურად თითო ჰექტარზე დაახლოებით 0.35 ტCO₂ე კლიმატის ცვლილების შერბილების პოტენციალი განვითარდეს (Smith et al., 2007).

ხარჯები

ხარჯების მხრივ ნეიტრალური ან ხარჯთსარგებლიანი (~ < 0 USD/ტCO₂ე): დაზოგვა შესაძლებელია ნიადაგის ტრადიციული წესით დამუშავებისთვის საჭირო შრომისა და მძიმე ტექნიკის შემცირებით.

გადაწყვეტა

ტრენინგები და ცნობიერების ამაღლების კამპანიები; რეგულაციების ცვლილება: სარგებელი უნდა იყოს მიმზიდველი ფერმერებისთვის, თუ ისინი ინფორმირებულნი და გადამზადებულნი იქნებიან მცენარეთა მართვის პრაქტიკულ საკითხებში. მიწის ხანგრძლივად ფლობის უზრუნველსაყოფად რეგულაციების ცვლილება ასევე ხელს შეუწყობს მდგრადი პრაქტიკის დამკვიდრებას.

სახნავ-სათეს სავარგულებზე მცენარეების მართვა

ღონისძიება

ნიადაგის ხარისხი შეიძლება მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს სხვადასხვა ორგანული მცენარეული მასალების შეტანის გზით. ეს მოიცავს თესლმონაცველობას და საფარი კულტურების გამოყენებას. მაღალი ორგანული რესურსების შეტანა ნიადაგის ნახშირბადის შენარჩუნების პოტენციალს ზრდის და ნიადაგის ნიტრატების უფრო ეფექტურ გამოყენებას, ასევე, აზოტის ოქსიდის ემისიების შემცირებას უზრუნველყოფს.

სტატუსი

უცნობია და დამატებით კვლევას საჭიროებს.

პოტენციალი

დაახლოებით 170 კტCO₂ე 2030 წელს: თბილი და მშრალი კლიმატის ზონებში, სახნავ-სათეს სავარგულებზე მცენარეთა მართვის შედეგად შესაძლებელია, რომ ყოველწლიურად

რად თითო ჰექტარზე დაახლოებით 0.35 ტCO₂ე კლიმატის ცვლილების შერბილების პოტენციური განვითარდეს.

ხარჯები

დაბალი (~ 1-50 USD/ტCO₂ე): მცენარეთა დარგვის პრაქტიკების ცვლილება უფრო დიდი რაოდენობის რესურსებს ან კაპიტალურ ხარჯებს არ საჭიროებს.

გადაწყვეტა

ტრენინგები და ცნობიერების ამაღლების კამპანიები; რეგულაციების ცვლილება: სარგებელი უნდა იყოს მიმზიდველი ფერმერებისთვის, თუ ისინი ინფორმირებულნი და გადამზადებულნი იქნებიან მცენარეთა მართვის პრაქტიკულ საკითხებში. მიწის ხანგრძლივად ფლობის უზრუნველსაყოფად რეგულაციების ცვლილება ასევე ხელს შეუწყობს მდგრადი პრაქტიკის დამკვიდრებას.

სასოფლო-სამეურნეო წყლის მართვა

ღონისძიება

შეგროვებული წყლის გამოყენება სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სარწყავად სულ უფრო და უფრო მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიება ხდება კლიმატის ცვლილების ადაპტაციისთვის სასოფლო-სამეურნეო სექტორში.

წყლის შეგროვების და მორწყვის ტექნიკის მეშვეობით შესაძლებელია, რომ სასოფლო-სამეურნეო მიწები უფრო მდგრადი გახდეს გვალვის და სხვა ექსტრემალური, ადგილობრივი თუ დროებითი მეტეოროლოგიური მოვლენების მიმართ. ირიგაციას შეუძლია მნიშვნელოვანი დადებითი გავლენა მოახდინოს კლიმატის ცვლილების შერბილებაზე, რადგანაც კარგი რწყვის შედეგად ნიადაგებში ნახშირბადის სეკვესტრირების პოტენციური იზრდება და ასევე იმატებს ნიადაგის მოსავლიანობა, რის შედეგად შედარებით მცირდება ემისიების ინტენსივობა სასოფლო-სამეურნეო წარმოებიდან.

თუმცა, ნიადაგის მორწყვამ შეიძლება ასევე სინთეტიკური სასუქის რაოდენობის ზრდა და აზოტის ოქსიდის უფრო მეტად გამოყოფა გამოიწვიოს. შესაბამისად, საუკეთესო ვარიანტია, თუ ეს ზომები მიღებული იქნება სოფლის მეურნეობის სხვა კონსერვაციულ ღონისძიებებთან ერთად, რაშიც შედის ორგანული ნიადაგის აღდგენა და მიწის მინიმალურად დამუშავება, ნიადაგის ეროზიის შემცირების და სინთეტიკურ სასუქზე პოტენციურად მზარდი მოთხოვნის კომპენსირებისთვის.

მოსავლის აღების და მორწყვის მეთოდიდან გამომდინარე, შეიძლება ასევე გამოყენებული იქნას დამატებითი ენერგორესურსები, რაც ასევე ემისიებს გამოიწვევს. ემისიების თვალსაზრისით, პოტენციური უარყოფითი ზემოქმედება ასევე შეიძლება შემცირდეს წვეთოვანი ან წყლის ჰაერში მიმოფრქვევის ავტომატური (სპრინკლერი) სარწყავი სისტემების გამოყენებით, რომლებიც მნიშვნელოვნად ნაკლებ რესურსებს საჭიროებს და ნიადაგის ნაკლებ ეროზიას იწვევს, ვიდრე დატბორვით მორწყვა.

სტატუსი

საქართველოში მორწყული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების წილი მნიშვნელოვნად გაიზარდა ბოლო წლებში, დაახლოებით 10%-დან 2012 წელს, 25%-მდე 2020 წელს (მსოფლიო ბანკი, 2020).

ირიგაცია პრიორიტეტული საკითხი იყო მთავრობისთვის, რაზეც მეტყველებს „საქართველოს ირიგაციის 2017-2025 წლების სტრატეგიის“ შემუშავება. აღნიშნული დოკუმენ-

ტის მიხედვით 2025 წლისთვის გათვალისწინებულია 200,000 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მორწყვა (დაახლოებით 45%).

მორწყვის პრაქტიკამ შეიძლება უარყოფითი შედეგები მოიტანოს, როგორცაა ჩამდინარე წყლები და წყლით გამოწვეული ეროზია, აგრეთვე, მინდვრების დამლაშება ხსნადი მარილებით და კარბონატებით. დღეისათვის საქართველოში არ არსებობს რაიმე მოთხოვნა სარწყავი წყლის ხარისხთან დაკავშირებით; მინისქვეშა წყლების დონის ამაღლების შედეგად წყალი შეიძლება უფრო მეტად დაბინძურდეს მინერალური სასუქებით და პესტიციდების ნარჩენებით. გარდა ამისა, სარწყავი წყლის მნიშვნელოვანი რაოდენობა იკარგება ძველი ან გაუმართავი თხრილებით და არხებით მინოდების დროს.

აქედან გამომდინარე, სამომავლო ქმედება ორიენტირებული უნდა იყოს **წყლის მიმწოდებელი არხების გაუმჯობესებასა და სარწყავი წყლის გამოყენების რეგულირებაზე**.

პოტენციალი

დაახლოებით 120 კტCO₂ე 2030 წელს, თუ მორწყული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების წილი დაახლოებით 50%-მდე გაიზრდება 2030 წლისთვის:

თბილი და მშრალი კლიმატის პირობებში, წყლის მართვის შედეგად შესაძლებელია, რომ კლიმატის ცვლილების შერბილების პოტენციალი ყოველწლიურად დაახლოებით 1.14 ტCO₂ე გახდეს დამატებით მორწყულ თითო ჰექტარზე. თუმცა, ამან შეიძლება უარყოფითი შედეგებიც გამოიწვიოს, თუ სასუქების ან ენერგორესურსების მოხმარება გაიზრდება.

ხარჯები

მაღალი (> 100 USD/ტCO₂ე): გასულ წლებში სარწყავი და სადრენაჟო პროგრამების ხარჯებიდან გამომდინარე, საწყისი კაპიტალის ხარჯები შეიძლება მაღალი იყოს, განსაკუთრებით იმის გამო, რომ ყველაზე მისაწვდომი სარწყავი მიწა უკვე ირწყვება. უფრო მაღალი სიზუსტის წვეთოვანი სარწყავი ტექნოლოგიები ჯერ კიდევ უფრო ძვირია.

გადანყვეტა

ინვესტიციები მასშტაბის გაზრდისთვის: სარწყავი და სადრენაჟო სისტემებში ინვესტიციებმა ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაზარდა მორწყული მიწის წილი.

სინთეტიკური სასუქის მართვა

ღონისძიება

სინთეტიკური სასუქის შემცირების შედეგად, რაც, მაგალითად, სასუქების უფრო ზუსტად გამოყენების და დროში კარგად დაგეგმვით მიიღწევა, შესაძლებელია სინთეტიკური სასუქების ქარბად გამოყენების შედეგად წარმოქმნილი აზოტის ოქსიდის ემისიების მნიშვნელოვნად შემცირება. სინთეტიკური სასუქების გადაჭარბებულ გამოყენებას პროდუქტიულობის მხრივ სარგებელი არ მოაქვს, თანაც, ეს ხარჯებს ზრდის და გარემოს დეგრადაციას იწვევს.

სტატუსი

საქართველო მოკლე დროში ძალიან დამოკიდებული გახდა სინთეტიკური სასუქზე. თუ ადრე, 2010 წელს საქართველოში სინთეტიკური სასუქის მოხმარება 35 კგ იყო ერთ ჰექტარ სავარგულზე, ეს მაჩვენებელი 2015 წელს 150 კგ-მდე ამაღლდა, რადგანაც გაიზარდა საქართველოს ეკონომიკა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციამაც მოიმატა. სასუ-

